შეიარაღებული ბანდები და შანტაჟი A3

ქართველი ბიზნესმენები მზად არიან მინისტრებს ხელფასი გადაუხადონ B1

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 14 აპრილი, 2004 წელი. №87 (636 )

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### სასაქონლო ბირჟების ბოლო შანსი

საქართველოში ათწლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე ვერა და ვერ განვითარდა ჯეროვნად ვერც საფონდო და ვერც საკრედიტო ბაზრის ინფრასტრუქტურა; არადა, ამ მიმართულებით საკმაოდ სერიოზული დახმარებები იყო გამოყოფილი. რამ გამოიწვია ასეთი შედეგი, რატომ არის მნიშვნელოვანი სასაქონლო ბირჟის არსებობა საქართველოში და რა უნდა გაკეთდეს სიტუაციის გამოსასწორებლად.

A4

## უცხოეთი

### ბრძოლა უკრაინისათვის ახალ ფაზაში შედის

უკრაინაში ხელისუფლებისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. იზრდება როგორც შიდაპოლიტიკური, ასევე გარე ძალების აქტივობა. უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, ვის დარჩება გამარჯვება - პროდასავლურ თუ პრორუსულ პოლიტიკოსებს.

A5

## საზოგადოება

### ახალი მთავრობის "სამაგიდო წიგნი"

საქართველოს ახალმა მთავრობამ პირველი ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. "ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის - ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით" - ასეთია ამ დოკუმენტის ოფიციალური სახელწოდება. უფრო მოკლედ მას "ეროვნული გადარჩენის პროგრამა" ეწოდება. ვნახოთ, როგორია ის ძირითადი პრინციპები, რომელმაც ახალი საქართველოს სოციალურ პოლიტიკას უნდა შეუქმნას საფუძველი.

A6

## სამართალი

### პანკისის ხეობის ტერორისტული წარსული საფრანგეთის პოლიციამ გაიხსენა

პანკისის ხეობის ტერორისტული წარსული დასავლეთმა კიდევ ერთხელ გაიხსენა. "The Financial Times"-ის ინფორმაციით, რამდენიმე თვიანი გამოძიების შემდეგ საფრანგეთის პოლიციამ საბოლოო დასკვნა გააკეთა და განაცხადა, რომ რამდენიმე თვის წინ პარიზის პერიფერიაში დაკავებული ტერორისტები მომზადებას ჩეჩნეთსა და პანკისის ხეობაში არსებულ სამხედრო ბაზებზე გადიოდნენ.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | |
| ქუთაისი | 25 | |
| ბათუმი | 23 | |
| სოხუმი | 21 | |
| ფოთი | 23 | |
| თელავი | 22 | |
| ზუგდიდი | 24 | |
| გორი | 22 | |
| ახმეტა | 22 | |
| ჭიათურა | 23 | |
| გაგრა | 19 | |
| სამტრედია | 24 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9800 |
| ევრო | 2.3755 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6137 |
| რუბლი | 0.0693 |

# ჭვანია ბათუმიდან გაბრაზებული ბრუნდება

*აჭარის ხელისუფლება განიარაღებაზე უარს ამბობს. სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და უშიშროების საბჭოს მდივნის ვანო მერაბიშვილის ვიზიტი აჭარაში უშედეგოდ დასრულდა. ურთიერთობა ცენტრსა და რეგიონს შორის კვლავ იძაბება.*

გუშინ ბათუმში ჩასულ პრემიერ-მინისტრს ასლან აბაშიძე აეროპორტში არ დახვედრია. ეს თავისთავად გახლდათ ერთგვარი დემონსტრირება იმისა, რომ აჭარის მეთაური ცენტრთან დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე როსტომ ჯაფარიძე კი დილითვე აცხადებდა, რომ "**განიარაღების საკითხი მათთვის გაუგებარია, რადგან აჭარის მოსახლეობას იარაღი 90-იანი წლებიდან აქვს და მათ სრული უფლება აქვთ, ამ იარაღით დაიცვან მშვიდობა**". ორშაბათს საღამოს კი ცოტნე ბაკურია საუბრობდა იმის შესახებ, რომ, თურმე, აჭარის მოსახლეობისთვის

გაგრძელება A3 გვერდზე



ბათუმის გამაგრებული სანაპირო.

# სერიიდან „ქალაქები": მარნეული

ნესტან ნიჟარაძე

ქალაქ მარნეულში იმდენი ჩაიხანა, საქორწილო კაბების გამქირავებელი პუნქტი და რუსეთში გასამგზავრებელი ვიზების სააგენტოა, რომ შეიძლება იფიქროთ, აქ ადამიანები მხოლოდ იმისთვის იბადებიან, რომ ჩაი დალიონ, ნარდის თამაშისას დუ-შაში თუ არა დუ-ბეში მაინც გააგორონ, დაქორწინდნენ და რუსეთში გაემგზავრონ. სინამდვილეში კი დუ-შაში არც თუ ისე ხშირად გორდება და არც რუსეთში გამგზავრების შესაძლებლობა აქვს ყველა მსურველს. სამაგიეროდ, ქორწილი და ტელევიზორი აქაური მოსახლეობის ერთადერთი გასართობია. შესაბამისად, ისინიც კი, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს, ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც იხდიან ქორწილს და ქორწილამდე და ქორწილის შემდეგაც ტელევიზორს უყურებენ, თუ, რა თქმა უნდა, რაიონს ელექტროენერგია მიეწოდება. თუ არადა, ისინი ამბობენ:

გაგრძელება A8 გვერდზე



# ერევანში ოპოზიციის მიტინგი დაარბიეს

გუშინ დილის 3 საათისთვის სომხეთის პარლამენტის წინ შეკრებილი დემონსტრანტები პოლიციამ წყლის ჭავლის და ხელკეტების გამოყენებით დაშალა. როგორც სომხური მედია იუწყება, ათეულობით დაშავებული საავადმყოფოებში გადაიყვანეს. პარლამენტის წინ ღამის გასათევად დარჩენილ, დაახლოებით, 2000 ადამიანს პოლიციელები ორი მხრიდან გარს შემოერტყნენ. შეკრებილებს ჯერ წყლის ჭავლი მიუშვეს, ხოლო შემდეგ საქმეში ხელკეტიანი სამართალდამცველები ჩაერთვნენ.

დარბევის დაწყებიდან მცირე ხანში, პარლამენტის წინ ოპოზიციის ლიდერები - არტაშეს გეღამიანი და არამ სარგსიანი გამოჩნდნენ. მათ მომხდარს "ბარბაროსობა" უწოდეს. "მე დანამდვილებით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ვითარებაში კოჩარიანი ქვეყნის მართვის გაგრძელებას ვერ შეძლებს. ხელკეტებით ხალხის ნების გატეხვა შეუძლებელია, - განაცხადა ეროვნული ერთიანობის პარტიის ლიდერმა გეღამიანმა, - ხალხმა კიდევ ერთხელ დაინახა, რაზეა წამსვლელი ეს ხელისუფლება".

გაგრძელება A5 გვერდზე



## ტერიტორიული მთლიანობა და საქართველოს სამხედრო ძლიერება

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

*საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა თავისი პრეზიდენტობის მთავარ დანიშნულებად მიაჩნია, აღარ მალავს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად, შესაძლოა, სამხედრო ძალის გამოყენებაც გახდეს საჭირო. მეტიც, მიხეილ სააკაშვილმა თვის დასაწყისში, ელიტური მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებს მოუწოდა, იყვნენ მზად ნებისმიერ სეპარატისტულ რეგიონში საბრძოლო დავალების შესასრულებლად. საქართველოს ხელისუფლების მილიტარისტულ სამზადისზე მეტყველებს ახალი კონტრაქტები და სამხედრო მანევრები, რომლებმაც მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ საქართველოს არმიის საბრძოლო პოტენციალი.*

"განიარაღდით, დაშალეთ თქვენი შეიარაღებული ფორმირებები და ჩადექით საქართველოს სამხედრო ძალების სამსახურში,"- მოუწოდა 1 აპრილს ქართველი სპეცრაზმელებითა და პირადი დაცვით

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს "ოპტიმიზაცია" ემუქრებათ

ეთერ მამულაშვილი

*წელს საგარეო საქმეთა სამინისტრო 37 მილიონ ლარს ითხოვს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების დასაფინანსებლად. 30 მილიონი კი ის მაქსიმუმია, რასაც ფინანსთა სამინისტრო 2004 წლის ბიუჯეტში მათთვის "გაიმეტებს". არ არის გამორიცხული, რომ ხარჯების შემცირებას უცხოეთში აკრედიტებული ქართული დიპლომატიური კორპუსის ოპტიმიზაცია მოჰყვეს.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## საქართველოს სახელმწიფო გერბისა და გერბის დევიზის პროექტების შესარჩევი კონკურსის შესახებ

საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 9 ივნისის N2060-IIს დადგენილებით საქართველოს პრეზიდენტს ეთხოვა „საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ორგანული კანონის პროექტი სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლისა და ისტორიული ტრადიციული ატრიბუტიკის აღდგენის თაობაზე". როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, 2004 წლის 14 იანვარს ქვეყნის პარლამენტმა მიიღო საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ". ამავე დროს, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 2 მარტის N76 ბრძანებულებით შექმნილია „საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი და წინადადებათა შემმუშავებელი დროებითი სახელმწიფო კომისია", რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთიანი ჰერალდიკური საქმიანობის შესახებ წინადადებების შემუშავება და საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენა.

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 რეალიები

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# შალვა ნათელაშვილი სტრიქონებს შორის სასურველს კითხულობს

*მყვირალა, ხმაურიანი განცხადებების გაკეთება შალვა ნათელაშვილის სტილია. ლეიბორისტული პარტიის ლიდერის "გამჭრიახი გათვლები", როგორც წესი, არ მართლდება, მაგრამ ეს მის ენთუზიაზმს ოდნავადაც ვერ ანელებს - ნათელაშვილი უმალ ახალ "სენსაციას" აცხობს. ნომერ პირველმა ლეიბორისტმა გუშინ კიდევ ერთხელ "დაზაფრა" საზოგადოება. "4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებისთვის, მიხეილ სააკაშვილი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს საბრალდებო სკამზე მოხვდა!" - აცხადებს შალვა ნათელაშვილი.*

აღნიშნული "დასკვნა" იმ წერილის საფუძველზე კეთდება, რომელიც ცესკო-ში ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლის, ბადრი ნიაურის სახელზე 17 მარტს გამოგზავნა ევროსასამართლომ. წერილში ნათქვამია: "ვადასტურებ თქვენი, 2004 წლის 16 თებერვლით დათარიღებული ფაქსისა და 2003 წლის 16 დეკემბრით დათარიღებული წერილის მიღებას თანდართული საბუთებითა და სათანადოდ შევსებული საჩივრის ფორმით, საიდანაც ჩანს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, თქვენ სასამართლოში საჩივრის შემოტანა გსურთ. ამ საქმეს მიეკუთვნა ზემოაღნიშნული ნომერი (№ 9103/04). გთხოვთ, ეს ნომერი მიუთითოთ ამ საჩივართან დაკავშირებულ ყოველ მომდევნო კორესპონდენციაში" (სტილი დაცულია).

ამ წერილიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ევროსასამართლო ადასტურებს, რომ ქართველი ლეიბორისტების მიერ გაგზავნილი საბუთები ნამდვილად მიიღო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რასაც ლეიბორისტები აღნიშნულ წერილში "კითხულობენ", თითქოს, სტრასბურგის სასამართლო მათ საჩივარს წარმოებაში აუცილებლად მიიღებს და განიხილავს: როგორც წესი, მოსარჩელე მხრიდან საბუთების მიღების შემდეგ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო იკრიბება და იღებს გადაწყვეტილებას, სარჩელის წარმოებაში მიღება-არმიღების თაობაზე, ხოლო ამ გადაწყვეტილების შესახებ აუცილებლად აცნობებს ქვეყნის ოფიციალურ სტრუქტურას - იუსტიციის სამინისტროს. ასეთი დოკუმენტი კი ამ უწყებას ნამდვილად არ მიუღია.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში შალვა ნათელაშვილმა "მოვლენებს გაასწრო" და ევროსასამართლოს მისთვის სასურველი ვერდიქტი რეალობად გამოაცხადა.

რაც შეეხება თავად სარჩელს, მასში ნათქვამია, რომ 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა უფლებამოსილება კანონდარღვევით გაიგრძელა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა, ხოლო ცესკო-მ ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის წესი ასევე უკანონოდ შემოიღო. ლეიბორისტები ევროსასამართლოში საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმ გადაწყვეტილებასაც აპროტესტებენ, რომლის თანახმადაც, 2 ნოემბერს მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება ძალაში დარჩა, ხოლო პროპორციული არჩევნების შედეგები გაუქმდა.

სტრასბურგის სასამართლოში ლეიბორისტები, ჯერჯერობით, მხოლოდ 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ასაჩივრებენ, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიმართაც იგივეს გააკეთებენ, როგორც კი 28 მარტის არჩევნების შემაჯამებელ ოქმს მიიღებენ.

სხვათა შორის, შალვა ნათელაშვილი ფრიად ორიგინალურად წარმოაჩენს ევროსასამართლოს როლს საქართველოს უახლეს ისტორიაში. ლეიბორისტების ლიდერის მტკიცებით, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების დამხობა სტრასბურგში მის მიერ შეტანილმა წინა სარჩელმა განაპირობა. **"სტრასბურგი-1-მა შევარდნაძის კარიერა შეიწირა, სტრასბურგი-2 კი დღევანდელ ხელისუფლებას იმსხვერპლებს",** - ამბობს ნათელაშვილი.

ეს სამომავლოდ. დღეს კი ის მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, სიმბოლურად, 1 ლარს ითხოვს, რომელსაც ლეიბორისტების სარჩელზე დადებითი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლო სააკაშვილსა და ჟვანიას დააკისრებს.

*გიორგი ასანიშვილი*

# მინისტრები დემონტაჟს ითხოვენ



*მინისტრები იცავენ თბილისის ისტორიულ ნაწილს.*

საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრი თამარ სულუხია და კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე რესტორნის დემონტაჟს მოითხოვენ. გუშინ მათ ამ შენობასთან ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მინისტრებმა განაცხადეს, რომ რესტორანი კერძო პირების მიერ სრულიად უკანონოდ შენდება და აზიანებს ქალაქის ისტორიულ იერსახეს. **"ქალაქი თბილისი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვედრის ნომინანტია, მაგრამ ეს არ მოხდება, თუკი ქვეყანა თავის ისტორიულ იერსახეზე არ იზრუნებს,"** - აღნიშნა გიორგი გაბაშვილმა. თავის მხრივ, თამარ სულუხიამ გამოთქვა იმედი, რომ მშენებლები გაითვალისწინებენ მთავრობის მოთხოვნას და შენობის დემონტაჟს საკუთარი ნებით მოახდენენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, **"სპეციალურ ქმედებებს სააღმსრულებო პოლიცია განახორციელებს".** რესტორნის მშენებლობა, უკვე ორი წელია, მიმდინარეობს. მისი მფლობელია უცხოეთში მოღვაწე ბიზნესმენი ელგუჯა ქებურია. როგორც ბიზნესმენის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, **"ინვესტორი გააკეთებს იმას, რაც დღეს საქართველოს სურს".**

*ინტერ-პრესი*

# გია ჯოხთაბერიძის ადვოკატი სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვს

კომპანია "მაგთიკომის" დამფუძნებლის გია ჯოხთაბერიძის ადვოკატმა გენერალურ პროკურატურას ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა წარუდგინა და მის საფუძველზე მოითხოვს ბრალდებულის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

გია ჯოხთაბერიძის ადვოკატის გიორგი ყავლაშვილის განცხადებით, დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა სისხლის სამართლის საქმეს დაერთვება. ექპერტიზა გასულ თვეში დაინიშნა და დასკვნა ახლახან მომზადდა. ადვოკატის თქმით, პროკურატურასთან სადავო თანხის გადახდაზე საუბარი არ ყოფილა და დღემდე ჯოხთაბერიძის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხი არ დამდგარა. თავად ბრალდებული წაყენებულ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და, შესაბამისად, არც სადავო თანხის გადახდას აპირებს. თუმცა, იგი თანახმაა, გადაიხადოს გირაო ორი მილიონი ლარი, რასაც გენერალური პროკურატურა არ თანხმდება.

კომპანია "მაგთიკომის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ექსპრეზიდენტ შევარდნაძის სიძე გია ჯოხთაბერიძე 20 თებერვალს, თბილისის აეროპორტში დააკავეს. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე საქართველოს გენერალურ პროკურატურაშია აღძრული. საქმე გადასახადების დაფარვას შეეხება. საუბარია, 700 ათას ლარზე. ჯოხთაბერიძე ამჟამად წინასწარ სამთვიან პატიმრობაში იმყოფება.

*ინტერ-პრესი*

# ათვლის წერტილი - კახეთი



*ამ ვანდალიზმისთვის სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელი პასუხს აგებს.*

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი თამარ ლებანიძე გუშინ კახეთში ჩავიდა. რწმუნებულთან ერთად მან ლაგოდეხის რაიონში ჭიაურის დატბორილი ნაკრძალი მოინახულა. კახეთის ტყეებში და ჭალებში არსებულ კანონდარღვევებთან დაკავშირებით პრეზიდენტის რწმუნებული სატყეო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ვარაუდობს.

*ინტერ-პრესი*

# ლევან მამალაძის სიძე ძებნილად გამოაცხადეს

ქვემო ქართლის პროკურატურამ ლევან მამალაძის დის ქმარზე ძებნა გამოაცხადა. შპს "გარდაბანნავთობპროდუქტის" დირექტორზე, 42 წლის გოჩა ანთიძეზე სისხლის სამართლის საქმე 31 მარტს აღიძრა და მას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი. პროკურატურამ ამ საქმის გამოძიება "გარდაბანნავთობპროდუქტის" მუშა-მოსამსახურეების წერილის საფუძველზე დაიწყო.

გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ ანთიძემ 1997 წელს გუბერნატორ ლევან მამალაძის უშუალო ჩარევითა და დახმარებით კონცერნ "საქნავთობპროდუქტის" გარდაბნის კომერციულ-საშუამავლო საწარმოს პრივატიზება მოახერხა. იმ პერიოდში სახელმწიფოში პრივატიზაციის პროცესი დროებით შეჩერებული იყო, ამიტომ გუბერნატორმა მამალაძემ სახელმწიფო ქონების მართვის მაშინდელ მინისტრს, ავთანდილ სილაგაძეს წერილობით სთხოვა აღნიშნული საწარმოს ქონების იჯარით, ოღონდ გამოსყიდვის უფლებით, გაცემა. ამ წერილის საფუძველზე მინისტრმა გარდაბნის ნავთობსაწარმო საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეიყვანა და შემდგომი პროცედურების ჩატარება გარდაბნის ქონების მართვის სამმართველოს დაავალა, რომელმაც კონკურსი "შესანიშნავად" ჩაატარა - მასში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა ადამიანმა, გოჩა ანთიძემ მიიღო. და ბუნებრივია, გაიმარჯვა კიდეც.

82 ათას დოლარად შეფასებულ საწარმოში ანთიძემ 52 ათასი ნაღდი ფული გადაიხადა. იმის გამო, რომ ანგარიშსწორება ბანკის საშუალებით არ მომხდარა, ჩნდება ეჭვი, რომ გადახდილი თანხის წარმოშობა არაკანონიერია. არსებობს ეჭვი, რომ ფული თავად მამალაძეს ეკუთვნოდა. დღეს პროკურატურის გამომძიებლები სწორედ ამ 52 ათასი დოლარის წარმოშობის კანონიერების საკითხს იკვლევენ.

დღეს გარდაბნის ნავთობბაზა, ფაქტობრივად, გაძარცვულია. სხვა დანადგარებთან ერთად, ტერიტორიიდან გატანილია საკმაოდ ძვირადღირებული ნავთობის უზარმაზარი რეზერვუარები. მათი ბოლო პარტია ბაზიდან 2003 წლის ნოემბერში, რევოლუციის წინა დღეებში გაიტანეს.

გამოძიების მოთხოვნით, შპს "გარდაბანნავთობპროდუქტში" რევიზია ჩატარდა. დადგინდა, რომ იქ გოჩა ანთიძისთვის გადაცემული, 81 ათას დოლარად შეფასებული ქონების, დაახლოებით, ნახევარიღაა დარჩენილი. რევიზიამ ვერ შეძლო საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, რადგან საბუღალტრო-საფინანსო დოკუმენტაცია იქ საერთოდ ვერ იქნა აღმოჩენილი.

ამ საქმესთან ყოფილ გუბერნატოს მამალაძეს რომ საკმაოდ ახლო კავშირი აქვს, ამაზე საწარმოს მუშა-მოსამსახურეებიც საუბრობენ და სხვა საინტერესო დეტალებიც იკვეთება. ჯერ კიდევ გასარკვევია, საიდან ჰქონდა 52 ათასი დოლარი მამალაძის სიძეს, ხომ არ ეკუთვნოდა ის მამალაძეს ან სხვა თანამდებობის პირებს, რამდენად კანონიერი იყო ნავთობბაზის გასხვისება და ასე შემდეგ. პრივატიზების პროცესში დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში პასუხისგებაში მისცემენ გარდაბნის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მაშინდელ უფროსს, რომელიც დღეს "ნაციონალია", ასევე ერთი კვირის წინ გაუგებარი მიზეზით მოხსნილ გარდაბნის გამგებელს და სხვა თანამდებობის პირებს.

ოლქის პროკურორის მამუკა ცაავას თქმით, უახლოეს პერიოდში დასრულდება კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმის გამოძიება. პროკურორი არ აკონკრეტებს, რა საქმეებზე კეთდება აქცენტი, თუმცა არსებობს არაოფიციალური ინფორმაცია - დაპატიმრება ემუქრება რამდენიმე რაიონული მასშტაბით მოქმედ მსხვილ ფიგურას, შესაძლოა ეს იყოს გამგებელი ან საგადასახადოს უფროსი. ამ ამბის მთავარი მარილი კი ის იქნება, რომ ეს ადამიანები თანამდებობებზე ქვემო ქართლის დღევანდელი ხელისუფლების მოყვანილნი არიან და დარტყმის მთელი სიმძიმეც მათზე მოვა.

*მაია მოსიაშვილი*

# გია გეწაძე იუსტიციის საბჭოს მდივანი გახდება

იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილეს გია გეწაძეს, სავარაუდოდ, იუსტიციის საბჭოს მდივნის პოსტზე წარადგენენ. ეს თანამდებობა ერთი კვირის წინათ ზურაბ აბაშიძემ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის გამო დატოვა.

გავრცელებული ინფორმაციით, გეწაძე და აბაშიძე თანამდებობებს გაცვლიან, ანუ გია გეწაძის წასვლის შემდეგ ზურაბ აბაშიძე იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნება. რეორგანიზაციაა დაგეგმილი იუსტიციის საბჭოს სისტემაშიც. სასამართლო რეფორმისთვის ექვსი წლის წინათ შექმნილი პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელსაც, სხვა ფუნქციებთან ერთად, მოსამართლეთა დისციპლინური დევნაც ეკისრება, უახლოეს მომავალში პროკურორების დისციპლინურ დევნასაც განახორციელებს. გია გეწაძე იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ სამი თვის წინ დაინიშნა და სასჯელაღსრულების სისტემას უწევდა ზედამხედველობას. წლების წინ გია გეწაძეს იუსტიციის საბჭოს მდივნის პოსტი ერთხელ უკვე ეკავა. იგი მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების საბჭოში, არასამთავრობო ორგანიზაცია "IRIS-საქართველოში".

*მედია-ნიუსი*

# თბილისში დანაშაულის რიცხვმა იმატა

გასულ კვირას თბილისში დანაშაულის რიცხვმა იმატა. თბილისის პოლიციის განყოფილებების მიერ რეგისტრირებულია 53 დანაშაული, რაც შვიდით მეტია 27 მარტიდან 3 აპრილამდე რეგისტრირებულ დანაშაულზე. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, გასულ კვირას აღირიცხა ერთი მკვლელობის, სამი მკვლელობის მცდელობის, ოთხი ჯანმრთელობის დაზიანების, ცხრა ყაჩაღობის, ცხრა ქურდობის, ხუთი ხულიგნობის, ოთხი ძარცვისა და სხვა დანაშაულებრივი ფაქტები.

პოლიციელებმა დააკავეს თოთხმეტი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი ორმოცდაერთი პირის შემადგენლობით, რომელთაც ბრალი 19 დანაშაულის ჩადენაში ედებათ. გამოვლენილია ნარკოტიკის უკანონოდ მოხმარების 10 ფაქტი და დაკავებულია ორი ნარკორეალიზატორი, ამოღებულია 6.4 გრ. მარიხუანა, 0.1 გრ. ჰეროინი, 1000 გრ ყაყაჩოს თესლი, 0.246 მლ. ოპიუმი. დაკავებული პირებისაგან ამოღებულია ექვსი პისტოლეტი, ერთი გადაჭრილი თოფი, 32 ცალი საბრძოლო ვაზნა. დაკავებულია რვა ძებნილი, მათ შორის - ყაჩაღობისა და ქურდობისათვის ძებნილები. საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა ავტოსაგზაო წესების დარღვევის 1389 ფაქტი აღრიცხეს.

*მედია-ნიუსი*

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №275

*2004 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი*

გ. კირვალიძის თელავის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გელა კირვალიძე თელავის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №122

*2004 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი*

"საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობების შემოღების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის № 61 ბრძანებულებაში დამატების შეტანის თაობაზე.

1. "საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობების შემოღების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის № 61 ბრძანებულებაში (სსმ, III ნაწილი, 2004 წელი, № 17, მუხ. 168) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ე" ქვეპუნქტი:

"ე) სახელმწიფო მინისტრი - რეგიონალური პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში".

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის დაფინანსება აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №273

*2004 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი*

თ. დუღაშვილის გურჯაანის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს თამაზ დუღაშვილი გურჯაანის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №276

*2004 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი*

რ. კაჭარავას წალენჯიხის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს რობერტ კაჭარავა წალენჯიხის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №271

*2004 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი*

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ალტერნატიული მმართველობის შესახებ.

დაინიშნოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ალტერნატიულ მმართველად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №411

*2004 წლის 9 აპრილი ქ. თბილისი*

თ. სამადაშვილის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს თეიმურაზ სამადაშვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №401

*2004 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი*

ქ. ლონდონში "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს დელეგაციის მივლინების შესახებ.

1. 2004 წლის 18-19 აპრილს ქ. ლონდონში "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მივლინებულ იქნეს საქართველოს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ ნოღაიდელი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი, დელეგაციის ხელმძღვანელი

ნიკა გილაური - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი

ირაკლი მანაგაძე - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

2. მივლინების ხარჯები აანაზღაურონ შესაბამისმა უწყებებმა.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №402

*2004 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი*

ნ. ნათენაძის საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის - პრემიერ-მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ნიკოლოზ ნათენაძე საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის - პრემიერ-მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №274

*2004 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი*

გ. ცინცაძის ჩოხატაურის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გრიგოლ ცინცაძე ჩოხატაურის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №272

*2004 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი*

მსოფლიო ბანკის ალტერნატიული მმართველის შესახებ.

1. გათავისუფლდეს გიორგი გაჩეჩილაძე მსოფლიო ბანკის ალტერნატიული მმართველის მოვალეობისაგან.

2. დაინიშნოს საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ირაკლი რეხვიაშვილი მსოფლიო ბანკის ალტერნატიულ მმართველად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №403

*2004 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი*

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის შეუფერხებელი რეალიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფნისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის, უსაფრთხოების დაცვისა და გარემოსდაცვითი ნებართვის დამტკიცების პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (გ. პაპუაშვილი) მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად მიიღოს სათანადო ზომები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დერეფნისათვის აუცილებელი მიწის ნაკვეთების გამოყოფის პროცესის დასრულებისათვის.

2. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ (ზ. ადეიშვილი), სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა (ო. ქველიძე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ (თ. ლებანიძე) საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან ერთად სათანადოდ ჩამოაყალიბოს და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვების პირობებთან დაკავშირებით შექმნილ სამთავრობო ჯგუფს უმოკლეს დროში წარუდგინოს ინფორმაცია გარემოსდაცვითი ნებართვის თითოეული პირობის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება №14

*2004 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი*

ქ. ფოთთან, მდინარე რიონზე ავარიული წყალგამყოფი ჰიდროკვანძის აღდგენა-გამაგრების პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

ქ. ფოთთან, მდინარე რიონზე ავარიული წყალგამყოფი ჰიდროკვანძის აღდგენა-გამაგრების პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოთა შესრულებისა და მოსალოდნელი კატასტროფული შედეგების თავიდან აცილების მიზნით:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ქ. ფოთის მერიამ განიხილონ ქ. ფოთის წყალგამყოფი ჰიდროკვანძის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბალანსიდან ქ. ფოთის მერიის ბალანსზე გადაცემის საკითხი და განახორციელონ მის გადაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებები არსებული წესის შესაბამისად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება მსოფლიო ბანკთან, რათა მიღწეულ იქნეს შეთანხმება მსოფლიო ბანკის კრედიტების მეშვეობით განსახორციელებელი "მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის" ფარგლებში გამოყოფილი სახსრებიდან 2004 წელს დაიწყოს და განხორციელდეს წყალგამყოფი ჰიდროკვანძის პირველი რიგის აღდგენა-გამაგრების სამშენებლო სამუშაოები 2.5 მლნ ლარის რაოდენობით.

3. ჰიდროკვანძის პირველი რიგის გადაუდებელი აღდგენა-გამაგრების მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყოს მიმდინარე წლის მაისში, ძირითადი სამუშაოები - ივლისში, ხოლო აღდგენა-გამაგრების სამუშაოები - სექტემბერში.

4. ამ ნაგებობის ქ. ფოთის ბალანსზე გადაცემის შემდეგ დამკვეთის ფუნქციები დაეკისროს ქ. ფოთის მერიას, რომელსაც მიეცეს უფლება პირველი რიგის აღდგენა-გამაგრების სამუშაოთა ტექნიკური დოკუმენტაციის დამტკიცებამდე გადაუდებელი ავარიული სამუშაოები განახორციელოს ცალკეული სამუშაო ნახაზებითა და ერთეული განფასებებით.

5. სააქციო საზოგადოება "საქწყალპროექტმა" საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს, ქ. ფოთის მერიისა და სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შერჩეული ვარიანტის საფუძველზე 2004 წლის პირველ ნახევარში წინსწრებით დაამუშაოს პირველი რიგის აღდგენა-გამაგრების გადაუდებელ სამუშაოთა ტექნიკური დოკუმენტაცია და უზრუნველყოს სამშენებლო ორგანიზაცია ცალკეული სამუშაო ნახაზებით. მშენებლობა განხორციელდეს ფორს-მაჟორული სიტუაციისა და სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით.

6. ქ. ფოთის მერიამ, ფოთის საზღვაო ნავსადგურმა, შპს "საქართველოს რკინიგზამ" და შპს "საქავტოგზამ" ხელი შეუწყონ ავარიულ სამუშაოთა დროულად შესრულებას, სამშენებლო ტვირთების გადაზიდვას, ტერიტორიების დროებითი სარგებლობისათვის გამოყოფას, მასალების დასაწყობებას, კონსტრუქციების დამზადებას, სათანადო მცურავი მექანიზმებისა და ტექნიკის იჯარით გამოყენებას.

7. წყალგამყოფ ჰიდროკვანძზე შექმნილი ავარიული სიტუაციიდან გამომდინარე სს "საქწყალპროექტმა" და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტმა "საქწყალეკოლოგიამ" გააგრძელონ და სისტემატური დაკვირვება აწარმოონ ნაგებობის მდგრადობის პროგნოზირებისათვის.

8. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ჯ. ბაკურაძემ უხელმძღვანელოს სტიქიური მოვლენებით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ასაცილებლად განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შექმნასა და მუშაობას. გეგმა წარმოდგენილ იქნეს ორ კვირაში.

9. მეტეოროლოგიური სამსახურის პროგნოზით გაზაფხულზე მდინარე რიონზე შესაძლო წყალდიდობის შემთხვევაში მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით გაღებულ იქნეს ჰიდროკვანძის ყველა ფარი.

10. წყალგამყოფი ჰიდროკვანძის ნგრევის პროცესების თავიდან აცილების მიზნით პირველი რიგის აღდგენა-გამაგრების სამუშაოთა დამთავრებამდე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდეს შემოვლითი გზით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ქ. ფოთის მერიამ უზრუნველყონ აღნიშნულის შესრულება.

11. საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ - საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (რ. დალაქიშვილი) ქ. ფოთის ადგილობრივ ხელისუფლებასა და სხვა უფლებამოსილ მხარეებთან ერთად მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებამდე შეიმუშაოს და ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს წარუდგინოს ავტოტრანსპორტის მოძრაობის ალტერნატიული პროექტი ხიდზე მოძრაობის სრული შეზღუდვის შემთხვევისათვის.

12. ქ. ფოთის ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებმა პრესისა და ტელევიზიის საშუალებით უზრუნველყონ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება სახიდე გადასასვლელზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვის მიზეზების შესახებ.

13. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჟვანია ბათუმიდან გაბრაზებული ბრუნდება

პირველი გვერდიდან

ორშაბათს ევროსაბჭოს ელჩი საქართველოში პლამენ ნიკოლოვი ასლან აბაშიძეს კიდევ ერთხელ შეხვდა. ჟვანიას ვიზიტის წინ მას აჭარის ლიდერი კიდევ ერთხელ უნდა მოელბო, მაგრამ...

ჟვანია და მერაბიშვილი ასლან აბაშიძემ მეტისმეტად გააწბილა. ავტონომიის მეთაურზე ასეთი გაბრაზებული და რადიკალურ პრემიერი არავის ახსოვს. მარად დიპლომატიური ჟვანიას მძაფრი ტონი ჰქონდა: "**ეს შეხვედრა აბსოლუტურად უშედეგოდ დასრულდა. ასლან აბაშიძეს განიარაღებაზე საუბარიც კი არ სურს".** აბაშიძის უარს ჟვანია კონფრონტაციად აფასებს. უფრო კატეგორიულია უშიშროების საბჭოს მდივანი: **"მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ განიარაღებას ალტერნატივა არა აქვს და თუ ამ პროცესს წინააღმდეგობას გაუწევს ავტონომიის ხელისუფლება, ცენტრი მიმართავს შესაბამის ზომებს, რათა აიძულოს არაკანონმორჩილი მოქალაქეები დაემორჩილონ კანონს".** მერაბიშვილი არ აკონკრეტებს რას გულისხმობს "შესაბამის ზომებში" და დასძენს, რომ დიალოგი აღარ შედგება.

სამაგიეროდ, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ გასულ კვირას განაცხადა, რომ "**იძულებული გახდება კონსტიტუციით მინიჭებული უფლება გამოიყენოს და აჭარის პარლამენტის ახალი არჩევნები დანიშნოს, თუ ასლან აბაშიძე არ მოეგება გონს და არ განაიარაღებს რეგიონში მის დაქვემდებარებაში მყოფ უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებს".**



აბაშიძე განიარაღებაზე უარს ამბობს.

ვრცელდება არაოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ სინამდვილეში ჟვანია-აბაშიძის შეხვედრის მთავარი თემა განიარაღება სულაც არ ყოფილა. სინამდვილეში საუბარი აბაშიძის მშვიდობიან წასვლას შეეხებოდა, რაზეც აჭარის ლიდერმა, გარანტიების მიუხედავად, უარი განაცხადა.

ცენტრი და რეგიონი აგრესიულ პოლიტიკას ირჩევენ. აბაშიძე ომისთვის მზადაა. გარდა იმისა, რომ შეიარაღებულია მოსახლეობა, მას მძიმე ტექნიკით კარგად აქვს გამაგრებული საკუთარი სახლის მიმდებარე ტერიტორია, მშენებარე ბიზნეს-ცენტრი "რივიერა", პეტრას ციხე, ქობულეთის რაიონში სოფლები - ქაქუთი და ლელვა და, რაღა თქმა უნდა, ჩოლოქი, სადაც სანგრები ჯერ კიდევ "ვარდების რევოლუციის" მეორე დღესვე გაათხრევინა აჭარლებს რუსმა გენერალმა ნეტკაჩოვმა. აბაშიძის ოფიციალურ დაქვემდებარებაშია "ქელფეთა", თავისი 1500 კაციანი დაცვის სამსახურით, ყოფილი ნეტკაჩოვის რაზმი ლევან ხალვაშის ხელმძღვანელობით. აგრეთვე "ალფა" და "ომეგა", სხვა არაოფიციალურ ფორმირებებთან ერთად.

განიარაღების თაობაზე რიგითი ბათუმელების შეხედულება არაერთგვაროვანია. ძირითადი ნაწილის აზრით, განიარაღება აუცილებელია, სხვები კი ფიქრობენ, რომ "ასეა საჭირო". შეიარაღებული ადამიანების პოზიცია კი (ვისთან გასაუბრებაც ჩვენმა კორესპონდენტმა ინკოგნიტოდ დარჩენის გარანტიით მოახერხა), ასეთია: **"500 ლარად კი არა, 500 დოლარიც რომ გადაგვიხადონ, იარაღს მაინც არ ჩავაბარებთ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იარაღი გვიყვარს, მეორეც - ჩვენ აღებული გვაქვს გარკვეული პასუხისმგებლობა, რაზე უარის თქმასაც ბრძანების მიღებამდე არ ვაპირებთ".**

*24 საათი*

# შეიარაღებული ბანდები და შანტაჟი

## აბაშიძის ძალაუფლების ერთადერთი წყარო

ეკა კვესიტაძე

მთავარი პრობლემა, რომლის მოგვარება პრეზიდენტისა და აბაშიძის შეხვედრის შემდეგ ცენტრმა დღის წესრიგში უპირველეს მოთხოვნად დააყენა, აჭარის მოსახლეობიდან იარაღის ამოღება იყო.

იარაღი, რომელსაც ადგილობრივი კლანი წლების განმავლობაში მიზანმიმართულად არიგებდა, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აბაშიძის მთავარ საყრდენად რჩება.

თუ თენგიზ ასანიძის ციხიდან გამოშვება მხოლოდ პირველი სიგნალი იყო, რომელსაც აჭარის და ცენტრის ურთიერთობაში გარკვეული მიმართულება უნდა გამოეკვეთა, ადგილობრივი მოსახლეობის განიარაღება ის ცენტრალური საკითხია, რომელიც საბოლოო სახეს მისცემს ოფიციალური ბათუმისა და თბილისის ურთიერთდამოკიდებულებას.

აჭარის პრობლემის გეგმაზომიერ თუ თანდათანობით მოგვარების ფორმულაში საპარლამენტო არჩევნებს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. რადგან ამ არჩევნებში აღორძინების დამარცხების შემთხვევაში აჭარის ხელისუფლების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგებოდა.

მაგრამ აბაშიძისთვის ლეგიტიმურობა არც არასდროს ყოფილა მნიშვნელოვანი და ღირებული, შესაბამისად, ლეგიტიმურობის დაკარგვა მისთვის ძალაუფლების დაკარგვასთან არასოდეს ასოცირდებოდა.

სამაგიეროდ ის, რაც აბაშიძისთვის ძალაუფლების დაკარგვასთან პირდაპირ ასოცირდება, შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებაა, რადგან მისი ძალაუფლების წყარო დღეს მხოლოდ და მხოლოდ შეირაღებული ბანდები და შანტაჟია - რომ აუცილებლად დაღვრის სისხლს, თუ მის ხელისუფლებას დაემუქრებიან.

ეს არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც დღეს აბაშიძის სასარგებლოდ მოქმედებს, მაშინ როდესაც ყველაფერი - დრო, ისტორიული კანონზომიერება, მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოების განწყობა - მის წინააღმდეგაა მიმართული.

ისეთი საკითხები, როგორიც ცენტრალური ბიუჯეტისთვის ფულის გადახდა ან თუნდაც ასანიძის გათავისუფლებაა, რომლის ციხეში გამომწყვდევა წლების განმავლობაში აბაშიძის შეუზღუდავი ძალაუფლების სიმბოლო იყო, აჭარის ხელმძღვანელმა ძნელად, მაგრამ მაინც დათმო, მაგრამ ის არასოდეს დათმობს იარაღს. რადგან ყველა სხვა დანარჩენისაგან განსხვავებით, განიარაღება მისთვის ისეთ პრინციპულ კომპრომისზე წასვლას ნიშნავს, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში ნალოლიავები ძალაუფლების დაკარგვას უქადის, ძალაუფლების დაკარგვა კი აჭარის ლიდერის დამახინჯებულ ფსიქიკაში უკვე პიროვნულ ტრაგედიად, ცხოვრებისეულ მარცხად თუ სირცხვილად აღიქმება.

ცხადია, რაც არ უნდა სერიოზული გარანტიები მისცეს ცენტრმა ასლან აბაშიძეს, ის დათმობებზე არასოდეს წავა. მით უმეტეს, რომ შევარდნაძისაგან განსხვავებით, მას დასაკარგი არაფერი აქვს - მისი წარსული ყოფილი პრეზიდენტის წარსულისაგან განსხვავებით, მას არაფრით ავალდებულებს.

თუმცა, ამ შემთხვევაში გაცილებით მნიშვნელოვანი არის კითხვა, რის გაკეთებას მოახერხებს ცენტრი და რას დაუპირისპირებს აბაშიძის ავადმყოფურ პატივმოყვარეობას და რაც მთავარია, აჭარაში მობილიზებულ შეირაღებას.

გუშინ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ რამდენიმე სცენარი მუშავდება, მაგრამ მათზე საუბარს არ აპირებს.

თუმცა, ისედაც ნათელია, რომ ახალი პარლამენტი პირველივე სხდომებზე აჭარაში რიგგარეშე ადგილობრივი არჩევნების ჩატარების საკითხს დააყენებს, ხოლო თუ აბაშიძემ ეს არჩევნები ჩაშალა, მაშინ ყველა მშვიდობიანი რესურსი ამოწურული იქნება და ცენტრალური ხელისუფლება დაიტოვებს უფლებას, განაცხადოს, რომ ძალისმიერი მოქმედების დრო დგება.

# ცესკო-ს თავმჯდომარე აჭარაში ჩადის

დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი ხელახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის სპეციალურად დაბეჭდილ ბიულეტენებს აჭარაში თავად ჩაიტანს. თუმცა, ცესკო-ს თავმჯდომარეს, ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად, პოლიტიკური პრობლემის გადაჭრაც მოუწევს. საქმე ის არის, რომ ქობულეთსა და ხულოში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლთა "ძალისხმევით", ხელახალი არჩევნების გამართვა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

განსაკუთრებით მძიმე ფონია შექმნილი ხულოს რაიონში, სადაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილ სპეციალურ ჯგუფს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სერიოზულ პრობლემებს უქმნიან. განსაკუთრებით აქტიურობს რაიონის გამგებელი შოთა აბაშიძე, რომელიც მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტისაკენ ღიად მოუწოდებს, სპეცჯგუფს კი მუშაობის საშუალებას არ აძლევს.

ცესკო-ს წევრის, ხულოში წარგზავნილი სპეცჯგუფის ხელმძღვანელის კარლო კვიტაიშვილის თქმით, რაიონში ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა გამოჩენამ დაპირისპირებაც კი გამოიწვია. "აღორძინების" ადგილობრივმა წარმომადგენლებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ სპეცჯგუფს არჩევნების გამართვის საშუალებას არ მისცემდნენ. ამასთან, რაიონის გამგეობა საარჩევნო უბნების შესაქმნელად შენობების გამოყოფის თაობაზე უარს აცხადებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებები აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულია, რადგან, როგორც კარლო კვიტაიშვილი ამბობს, **"დღესავით ნათელია, ასლან აბაშიძის ნებართვის გარეშე რაიონის ადმინისტრაცია და "აღორძინების" აქტივი არჩევნების ჩაშლის სასარგებლოდ ასე აშკარად არ იმოქმედებდნენ".**

საგულისხმოა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი წინასწარი კომენტარებისაგან თავს იკავებს და მხოლოდ იმას აცხადებს, რომ სიტუაციას ადგილზე უნდა გაეცნოს. **"არჩევნების ჩატარებისთვის ხელისშეშლა კანონით ისჯება და თუკი ეს ინფორმაცია ნამდვილად დადასტურდება, მაშინ ყველა დამნაშავე კანონის წინაშე პასუხს აგებს",** - ასეთია ზურაბ ჭიაბერაშვილის პოზიცია.

და ბოლოს: ჯერ კიდევ უცნობია, როდის განიხილავს უზენაესი სასამართლო "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" სარჩელს, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენლები აჭარის ამ ორ საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნების დანიშვნას აპროტესტებენ. ყოველ შემთხვევაში, გუშინ საღამოს სასამართლო უწყება არც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა" და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ შესულა.

*24 საათი*

# ტერიტორიული მთლიანობა და საქართველოს სამხედრო ძლიერება

პირველი გვერდიდან

გარშემორტყმულმა საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და აჭარის ავტონომიათა ხელმძღვანელებს, რომლებიც საკუთარ არმიებს და საკმაოდ მნიშვნელოვან საბრძოლო ტექნიკას ფლობენ.

იმ ფონზე, როდესაც საქართველოს 12 წელზე მეტია დაკარგული აქვს კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, ხოლო აჭარის ლიდერი არაფრად აგდებს ცენტრალური ხელისუფლების ნებას, ბევრს, შესაძლოა, მოსჩვენებოდა, რომ ეს იყო პრეზიდენტის საპირველაპრილო ხუმრობა. თუმცა, მიხეილ სააკაშვილი არც იმდენად მიამიტია, არ იცოდეს, რომ სეპარატისტული რეჟიმები არავითარი მიმართვებით არ განიარაღდებიან. თანაც, ასეთმა ფუჭმა მოწოდებებმა, შესაძლოა, დააზარალოს იმიჯი თავად საქართველოს პრეზიდენტისა, რომელმაც ინაუგურაციის დღეს და შემდეგაც არაერთგზის განაცხადა, რომ თავისი პრეზიდენტობის მთავარ მიზანს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში ხედავს.

ამიტომაც, ყოველგვარი ეჭვები რომ გაეფანტა, იმავე ვაზიანის ბაზაზე, სადაც მეორე წელია დაბანაკებულნი არიან ელიტური მე-11 მოტომსროლელი ბრიგადა და მასში შემავალი "კომანდოსთა" სპეცდანიშნულების ნაწილი, სხვა უფრო მკვეთრი შინაარსის განცხადებაც გაკეთდა: შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა მოუწოდა სამხე.დროებს, იყვნენ მუდმივ მზადყოფნაში, რათა შეასრულონ საბრძოლო ამოცანა ნებისმიერ სეპარატისტულ რაიონში. ამ დღეებში კი ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტის განკარგულებით, დაჩქარებული ტემპით ხდება შეიარაღებული ძალების გადაიარაღება. თავდაცვის მინისტრ გელა ბეჟუაშვილის თქმით, აპრილში სამხედრო უწყება რამდენიმე ერთეულ გარემონტებულ საბრძოლო ტექნიკას მიიღებს.

**"ხუთი საბრძოლო ვერტმფრენი ჩამოვა აპრილის პირველ ნახევარში. აპრილის ბოლოსთვის საქართველოში შემოდის სამი საბრძოლო გემი. ეს არის ის გემები, რომლებიც გაგზავნილ იქნა სარემონტოდ საბერძნეთში. ერთი არის ახალი სარაკეტო კატარღა, რომელიც იქნება ყველაზე დიდი გემი საქართველოს სამხედრო ძალებში,"** - ამბობს ბეჟუაშვილი.

მიუხედავად აღდგომის უქმეებისა, ფოთში, სადაც საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებია დისლოცირებული, 13 აპრილს საქართველო-თურქეთის ერთობლივი საზღვაო მანევრები გაიმართა. თვის ბოლოს კი, ფოთში სტარტს აიღებს საქართველოს შეიარაღებული ძალების კომპლექსური სამხედრო სწავლება. სოხუმიდან და ბათუმიდან თითქმის თანაბარი მანძილით დაშორებული ფოთი საბრძოლო მანევრების ადგილად ადრეც არაერთხელ ქცეულა, თუმცა ამჯერად საქართველოს ხელისუფლება ფოთში თითქმის მთელი სამხედრო პოტენციალის კონცენტრირებას გეგმავს. სწავლებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც სამხედრო-საჰაერო, ისე სამხედრო-საზღვაო და სანაპირო დაცვის ძალები, აგრეთვე "კომონდოსთა" და "კოჯრის" სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები.

თუმცა, ამ სწავლების სცენარი ცოტა უცნაურ ხასიათს ატარებს - ქართველმა სამხედროებმა კონფლიქტის რაიონში დარჩენილი მოსახლეობის ევაკუაცია უნდა მოახდინონ. თუმცა, სწავლების ფორმალური სცენარი, შესაძლოა, ერთგვარი პირბადის როლსაც ასრულებდეს, რეალური ჩანაფიქრის შესანიღბავად. მით უფრო, რომ სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის გენერალ ზურაბ ირემაძის თქმით, მანევრებში ჩაბმული არიან ქართული შეიარაღებული ძალების სწორედ ისეთი დანაყოფები, რომელთა პროფილსაც შეტევითი ამოცანების შესრულება წარმოადგენს.

**"კომბინირებულად მოხდება საჰაერო და საზღვაო დესანტის გადასხმა, ავიაციის გამოყენება. მეორე ეტაპზე ჩატარდება ქალაქ ფოთის ბლოკირება, დესანტსაწინააღმდეგო ოპერაციები, სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა (კოჯრის სპეცდანიშნულების ძალების მონაწილეობით). დესანტსაწინააღმდეგო სწავლებაში მონაწილეობას მიიღებენ "კომანდოსთა" ბატალიონი და საზღვაო ქვეითები,"** - ამბობს გენერალი ირემაძე.

სწავლებისადმი ყურადღებას ის გარემოებაც აძლიერებს, რომ მასში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს თავდაცვის მინისტრს გამოძახებული ჰყავს ბათუმში დისლოცირებული 25-ე მოტომსროლელი ბრიგადა, რომლის მეთაური და პირადი შემადგენლობის ნაწილი ჩოლოქის ინციდენტის დროს გამოვიდა ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან. თუმცა, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში აცხადებენ, 25-ე ბრიგადის პირადი შემადგენლობის მონაწილეობა ფოთის მანევრებში ჯერ ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

**იქცევა თუ არა სააკაშვილი პირველ ქართველ პრეზიდენტად, რომელიც შეძლებს გამარჯვებამდე მიიყვანოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის წამოწყებული სამხედრო-პოლიტიკური კამპანია.**

შესაბამისად, გამალებული სამხედრო მზადების დასაფინანსებლად, არმიის ხელმძღვანელობა წელს სამხედრო ბიუჯეტის 30-50 პროცენტით გაზრდას ელოდება. ფოთში დისლოცირებული საბრძოლო დანაყოფების მებრძოლებმა უკვე მიიღეს გაზრდილი სახელფასო დანამატი, რომელიც პრეზიდენტის განკარგულებით საშუალოდ 200 ლარით განისაზღვრა. ეს არის ერთგვარი ავანსი მომავალი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ექსპერტებს აფიქრებინებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი სერიოზულად ემზადება სეპარატისტული რეჟიმების განსაიარაღებლად და გარკვეული ანტიტერორისტული ოპერაციების ჩასატარებლად. სპეცდანიშნულების ნაწილებმა ერთგვარი მოთელვა უკვე გაიარეს სვანეთში აფრასიძეების მიუვალი ციხესიმაგრის ასაღებად.

მაგრამ, სვანეთის მაღალმთიანი სოფლისაგან განსხვავებით, სეპარატისტულ რაიონში დიდია სხვა სახელმწიფოების არაპირდაპირი ჩარევის ალბათობა, რასაც არაერთხელ ჰქონდა ადგილი საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში. შესაბამისად, სამზადისის ფაზაში აუცილებელია ამ ფაქტორთა გათვალისწინება და მათი თავიდან აცილება. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს რუსეთთან კონსულტაციებს, რათა ჩრდილოელმა მეზობელმა დაიცვას სრული ნეიტრალიტეტი, თუკი შიდა პრობლემის გადასაწყვეტად თბილისს მოუწევს სამხედრო ძალის გამოყენება. ამგვარი გარანტიები, როგორც თავად აცხადებს, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მარტის ბოლოს მოსკოვში ყოფნის დროს მიიღო.

**"ჩვენ მივეცით ძალიან მაღალი შეფასება რუსეთის ასეთ პოზიციას, რომ ეს არის ცივილიზებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, არამედ სერიოზულ მიდგომას, რათა სამხედრო ჩარევა, ნებისმიერ შემთხვევაში, გამორიცხულ იქნას,"** - განაცხადა მოსკოვიდან დაბრუნებულმა ბეჟუაშვილმა.

დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველო მარცხს მარცხზე განიცდიდა სეპარატისტულ ნიადაგზე გაღვივებულ შიდა კონფლიქტებში. ახლა კითხვა ასე დგას: იქცევა თუ არა სააკაშვილი პირველ ქართველ პრეზიდენტად, რომელიც შეძლებს გამარჯვებამდე მიიყვანოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის წამოწყებული სამხედრო-პოლიტიკური კამპანია.



# საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური "ეგმონტის ჯგუფის" წევრობის კანდიდატია

"ეგმონტის ჯგუფის" იურიდიული დეპარტამენტის ცნობით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა წარმატებით გაიარა აღნიშნულ ჯგუფში გაწევრიანების მეორე ეტაპი და დღეისათვის იგი ოფიციალურად წარმოდგენს "ეგმონტის ჯგუფის" წევრობის კანდიდატს.

"ეგმონტის ჯგუფი" შეიქმნა 1995 წელს და აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური მონიტორინგის სამსახურებს. ჯგუფის შექმნის მიზანს წარმოადგენს ტერორიზმის, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ გზით მიღებული ფულის "გათეთრების" საწინააღმდეგო პროგრამების განხორციელებისათვის ხელის შეწყობა, რაც გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას წევრ ქვეყნებს შორის და შესაბამისი ორგანიზაციების პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების სრულყოფას.

საქართველომ წარმატებით გაიარა აღნიშნულ ჯგუფში გაწევრიანების ორი ეტაპი (განაცხადის განხილვა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მუშაობის შეფასება) და ა.წ. 23 ივნისს ჯგუფის წევრი ქვეყნების შეხვედრაზე მოხდება "ეგმონტში" საქართველოს გაწევრიანების საკითხის განხილვა.

როგორც ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ნიკა გეგუჩაძემ განაცხადა, საქართველოს გაერთიანება "ეგმონტის ჯგუფში" მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან აღნიშნული ნაბიჯი კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთაშორისო ფინანსური სტრუქტურების სრულფასოვან წევრად საქართველოს აღიარებას.

*24 საათი*

# "ეარბასი" ჩინეთის ბაზარზე მკვიდრდება

თორნიკე შარაშენიძე

ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი ავიაკომპანია "ჩაინა საუსერნი" 21 ლაინერს შეიძენს ევროპული კონსორციუმის "ეარბასისაგან." გარიგების მიხედვით, რომელიც 1.2 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, ჩინური კომპანია 15 ცალ "ეი320-200"-ს და 6 ცალ "ეი319-1ეს"-ს შეისყიდის. ისინი "ჩაინა საუსერნის" ფლოტს 2005-2006 წლებში შეემატება.

"ჩაინა საუსერნის" ფლოტი 125 ლაინერს აერთიანებს. აქედან უმრავლესობას "ბოინგები" შეადგენს, მაგრამ თუკი "ეარბასმა" ასეთი ტემპით გააგრძელა ჩინეთში დამკვიდრება, ამერიკული ავიაგიგანტის ჰეგემონიას მსოფლიოს უდიდეს ბაზარზე ბოლო მოეღება.

"ერაბასი" დღესდღეობით ჩინეთის ავიაბაზრის ერთმესამედს აკონტროლებს და, კონსორციუმის გათვლებით, ათიოდე წელიწადში ეს მაჩვენებელი 50 პროცენტზე უნდა ავიდეს.

"ჩაინა საუსერნი" ირწმუნება, რომ ჯერჯერობით "ბოინგისათვის" ზურგის შექცევას არ აპირებს და ამას მოწმობს მიმდინარე წელს ამერიკული გიგანტისაგან "737"-ების შესყიდვა; თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს "737"-ები სულ 7 ცალი იყო; ასე რომ, ალბათ, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ეარბასი" ჩინეთშიც ისეთ პრობლემებს უქმნის "ბოინგს," როგორც ევროპაში.

"ერაბასმა" გასული წლის აპრილში გააფორმა ჩინეთში მსხვილი კონტრაქტი. ეს უკანასკნელი 5 ჩინური ავიაკომპანიისათვის 30 ცალი ლაინერის მიწოდებას ითვალისწინებდა.

## ორი სიტყვით

**სოხუმი.** "სახელმწიფო სტანდარტის" უფროსი ელენე გუნია თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობას პურის ფასის შემცირებას და იმ ზღვრამდე დაყვანას ურჩევს, რომელიც გაძვირებამდე არსებობდა. 2004 წლის 6 თებერვალს აფხაზეთის მთავრობამ პურის ფქვილის შესასყიდი ფასი გაზარდა და მასზე ზღვრული ფასი დააწესა. გაძვირების შედეგად უმაღლესი ხარისხის 600-გრამიანი პურის ფასმა 7 რუსული მანეთი და 50 კაპიკი შეადგინა, პირველი ხარისხის ფქვილისაგან გამომცხვარი პურის ფასმა - 7 რუსული რუბლი, მე-2 ხარისხის ფქვილისგან გამომცხვარი და ე. წ. "სასაუზმე" პურის ფასმა კი - 6 რუსული რუბლი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მონაკვეთზე "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის შეუფერხებელი მშენებლობის უზრუნველსაყოფად "პეტროფაკმა" ახალი კონტრაქტორი აიყვანა. ნავთობსადენის მშენებლობაზე, მოქმედ კონტრაქტორებთან ერთად, ინდური კომპანია "პუჩ ლოიდიც" იმუშავებს. მილსადენის დერეფანი 170 კილომეტრზეა გაწმენდილი. მილი დალაგებულია 158 კილომეტრზე, შედუღაბებულია 154 კილომეტრის სიგრძის მილი. თხრილი გაყვანილია 80 კილომეტრზე, მილები ჩალაგებულია 68 კილომეტრზე, ხოლო მიწა უკვე მიყრილი აქვს 56 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთს. **ინტერ-პრესი**

**შ.პ.ს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება**

შ.პ.ს "საქართველოს რკინიგზა" საჯაროდ აცხადებს, რომ ჩაატარა ღია ტენდერი დიზელის საწვავის შესყიდვაზე, რის შედეგადაც 2004 წლის 8 აპრილს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება დაიდო შ.პ.ს "კოსმო"-სთან.

**შ.პ.ს "საქართველოს რკინიგზის"**
**შესყიდვების სააგენტო**
**ტელ/ფაქსი: 953205, 950096**

**სს "თელასი" აცხადებს ტენდერს შემდეგ სამუშაოებზე :**

**12 სატრანსფორმატორო ჯიხურის სარემონტო სამუშაოებზე**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ: სს "თელასი"; III სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება; ტელ: 77 98 55 / 77 98 53 / 77 99 29; ფაქსი: 77 98 19. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა დაიწყება 2004 წლის 14 აპრილს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 20 აპრილი

**შენიშვნა:** ანგარიშსწორება შესრულებული სამუშაოებისთვის იწარმობს სამუშაოს შესრულების შემდეგ, 40 დღის განმავლობაში.

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**16 აპრილს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
სოფელ წავკისის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

**16 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ნუცუბიძის პლატოს 2 მიკრორაიონის 1, 2, 3, 4 და 5 კვარტლების, ნუცუბიძის პლატოს 2 მიკრორაიონის, ნუცუბიძის პლატოს 3 მიკრორაიონის 1, 2, 3 და 4 კვარტლის, გურიელის, მარგიანის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), შატილის, ძოწენიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**16 აპრილს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ფონიჭალის დასახლების, რუსთავის გზატკეცილის, მარნეულის, სადგურის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს "ოპტიმიზაცია" ემუქრებათ

პირველი გვერდიდან

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ოცდაათი მილიონი ლარი, რაც დაახლოებით 15 მილიონი ამერიკული დოლარია, წელს იმ 21 საელჩოს დასაფინანსებლადაც არ იქნება საკმარისი, რომლებიც ბოლო რამდენიმე წელია, რაც სხვადასხვა ქვეყნებში ფუნქციონირებენ. ცალკე საუბრის თემაა სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურებში საქართველოს წარმომადგენლობები და მისიები, რომელთა წლიური ხარჯებიც საკმაოდ სოლიდურია.

გარდა ამისა, დასაფარია გასული წლების დავალიანებაც, რომლის ოდენობა, უკანასკნელი მონაცემებით, ოთხ მილიონ ლარს აჭარბებს. აქედან ყველაზე ბევრი - ნახევარ მილიონ ლარზე მეტი - აშშ-ში საქართველოს საელჩოს მიმართ არსებულ დავალიანებაზე მოდის.

პირველი კვარტლის ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებამ მთავრობას საშუალება მისცა, რომ, სხვა დავალიანებებთან ერთად, საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების ვალის გასტუმრება ნელ-ნელა დაეწყო. უკვე დაფარულია დეკემბრის - 1 მილიონ 800.000 და აპრილის თვის 1.500.000 მილიონის ხარჯები. ორიოდე დღის წინათ კი ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა საგარეო საქმეთა სამინიტროს 1.617.902 ლარი გადაურიცხა, რომლითაც, სავარაუდოდ, იანვრის ხარჯები დაფინანსდება.

საგარეო საქმეთა სამინიტროში აცხადებენ, რომ არასრული დაფინანსების პირობებში წელს მათ გარკვეული საელჩოების დახურვა და ოპტიმიზაცია მოუწევთ. **"თანხების სიმწირე გვაიძულებს, რომ საზღვარგერეთ საქართველოს საელჩოების რიცხვი შევამციროთ. ჩვენ შევარჩევთ პრიორიტეტულ და სტრატეგიულ საელჩოებს, რომელთა არსებობასაც აქვს ქვეყნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ბუნებრივია, მათი გაუქმება გამორიცხულია, დანარჩენებზე კი საბოლოო გადაწყვეტილებას მინისტრთან შეთანხმებით მიიღებს ქვეყნის პრეზიდენტი"**, - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს საგარეო საქმეთა სამინიტროს საფინანსო-სავალუტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ გიორგი ხოჯიაშვილმა.

არადა, საგარეო საქმეთა სამინისტრო წელს საზღვარგარეთ ხუთი ახალი საელჩოს გახსნას ვარაუდობდა; მათ შორის - ჩინეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში. ამისთვის კი მას დამატებით შვიდი მილიონი ლარი ესაჭიროება. არ არის გამორიცხული, რომ საზღვარგარეთ ახალი საელჩოების პრეზენტაცია საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაისისთვის გადადოს.

გთავაზობთ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების 2003 წელს მიუღებელი დაფინანსების ცხრილს 2004 წლის 8 აპრილის მდგომარეობით.

| | დაწესებულების დასახელება | მიუღებელი დაფინანსება |
|---|---|---|
| 1 | საელჩო ავსტრიაში | 353.444 |
| 2 | საელჩო აზერბაიჯანში | 122.910 |
| 3 | საელჩო აშშ-ში | 539.460 |
| 4 | საელჩო ბენილუქსში | 271.457 |
| 5 | საელჩო გერმანიაში | 150.538 |
| 6 | საელჩო დიდ ბრიტანეთში | 215.143 |
| 7 | საელჩო ეგვიპტეში | 200.562 |
| 8 | საელჩო თურქეთში | 130.240 |
| 9 | საელჩო თურქმენეთში | 378.667 |
| 10 | საელჩო ირანში | 50.596 |
| 11 | საელჩო ისრაელში | 136.345 |
| 12 | საელჩო იტალიაში | 222.529 |
| 13 | საელჩო ლატვიაში | 95.335 |
| 14 | საელჩო რუსეთში | 141.067 |
| 15 | საელჩო საბერძნეთში | 185.023 |
| 16 | საელჩო საფრანგეთში | 245.348 |
| 17 | საელჩო სომხეთში | 96.241 |
| 18 | საელჩო უზბეკეთში | 78.421 |
| 19 | საელჩო უკრაინაში | 221.831 |
| 20 | საელჩო ყაზახეთში | 89.368 |
| 21 | საელჩო შვეიცარიაში | 249.591 |
| 22 | მისია ეუთო და ვენაში | 233.035 |
| 23 | მისია ნატოსთან | 357.000 |
| 24 | წარმომადგენლობა გაეროში | 371.330 |
| 25 | წარმომადგენლობა ევროსაბჭოში | 321.725 |
| 26 | გენერალური საკონსულო ოდესაში | 86.503 |
| 27 | გენერალური საკონსულო საბერძნეთში | 30.645 |
| 28 | გენერალური საკონსულო სტამბოლში | 86.625 |
| 29 | გენერალური საკონსულო ტრაპიზონში | 43.421 |
| | სულ: | 5.704.400 |

# სასაქონლო ბირჟების ბოლო შანსი

*საქართველოში ათწლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე ვერა და ვერ განვითარდა ჯეროვნად ვერც საფონდო და ვერც საკრედიტო ბაზრის ინფრასტრუქტურა; არადა, ამ მიმართულებით საკმაოდ სერიოზული დახმარებები იყო გამოყოფილი. რამ გამოიწვია ასეთი შედეგი, რატომ არის მნიშვნელოვანი სასაქონლო ბირჟის არსებობა საქართველოში და რა უნდა გაკეთდეს სიტუაციის გამოსასწორებლად. წინამდებარე წერილი ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობაა.*



*ვახტანგ ხომიზურაშვილი.*

ვახტანგ ხომიზურაშვილი
*თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის გენერალური დირექტორის მოადგილე*

საბირჟო საქმიანობის ისტორია პოსტსოციალისტური ქვეყნების სივრცეში ე.წ. "პერესტროიკის" დაწყებას დაემთხვა და სავსე იყო ძალზე საინტერესო მომენტებითა და პარადოქსებით.

საქართველოში საბირჟო სტრუქტურების გაჩენა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. საბირჟო ინსტიტუტებიდან პირველად სასაქონლო ბირჟა (კავკასიის, თბილისის უნივერსალური, თბილისის ბირჟების სახით) ჩამოყალიბდა და დამკვიდრება დაიწყო საბირჟო ვაჭრობის ორგანიზების კულტურამ. მაშინ საბირჟო ვაჭრობის მექანიზმები და ტექნოლოგიები, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად შეესაბამებოდა უცხოური სასაქონლო ბირჟების სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, საბირჟო საქმიანობაში მიმდინარე მოვლენებმა საკმაოდ ძლიერი ბიძგი მისცა საბირჟო სპეციალისტებისა და ბროკერების პროფესიონალიზმის ამაღლებას. ამას დაერთო გამსახურდიას მთავრობის ხელშეწყობა.

იმდროინდელი ბირჟების ძირითადი დამახასიათებელი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ არ იყო ბოლომდე გათვითცნობიერებული საბირჟო საქონლის სტანდარტიზაციისა და უნიფიცირების მნიშვნელობა. აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა სასაქონლო ბირჟებზე სხვადასხვა სახის ე.წ. არასაბირჟო (არასტანდარტიზებული) საქონლის წარმოდგენა, რის შედეგადაც სასაქონლო ბირჟის ინსტიტუტი გარდაიქმნა უფრო საბითუმო, სავაჭრო სახლების მსგავს სუბიექტად; თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ამ ინსტიტუტებში საბირჟო ვაჭრობის ძირითად პრინციპებს იცავდნენ.

სამწუხაროდ, ჩვენთან (90-იანი წლების მეორე ნახევრიდან) პრიორიტეტი ცალსახად კაპიტალის ბაზრის განვითარებას და, შესაბამისად, საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებას მიენიჭა, რის შედეგადაც ორგანიზებული სასაქონლო ბაზრის განვითარება იგნორირებული იქნა. დრომ აჩვენა, რომ ეს თვალსაზრისი, რომელიც სასაქონლო ბაზარს არ მოიაზრებდა საფონდო და სავალუტო ბაზრების განვითარების ერთიან ჭრილში, მცდარი იყო. სწორედ აღნიშნული მცდარი მიდგომა და ბირჟის (როგორც უნივერსალური ხასიათის სტრუქტურის) იგნორირება გახდა შემდგომში იმის წინაპირობა, რომ, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში ვერც საფონდო და ვერც საკრედიტო ბაზრის ინფრასტრუქტურა ჯეროვნად ვერ განვითარდა.

ნიშანდობლივია, რომ სასაქონლო ბირჟების ფუნქციონირების დროს შეინიშნებოდა უამრავი ისეთი დადებითი ფაქტორი, როგორიცაა: სასაქონლო საბითუმო ბაზრის გამჭირვალობა და შედეგად მოღებული ფისკალური ეფექტი, საბაზრო ურთიერთობის განვითარება, დარგობრივი ბაზრების მარკეტინგის ცოდნის და საბირჟო ურთიერთობების კულტურის ამაღლება და ბევრი სხვა. შემდგომში არასტაბილურმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ საქართველოში და დსთ-ს ქვეყნებში სასაქონლო ბაზრების მონოპოლიზაციამ საბირჟო მოძრაობას საკმაოდ მძიმე დარტყმა მიაყენა, რის შედეგადაც ერთი მეორეს მიყოლებით დაიწყო ბირჟების დახურვა და საბირჟო "ბუმი" ჩაქრა.

დატოვა კი საქართველოსათვის რაიმე პოზიტიური უკვე წარსულში არსებულმა სასაქონლო ბირჟამ? თავისთავად! დარჩა ცივილური საბაზრო ურთიერთობების ნოსტალგია, და კიდევ რამოდენიმე ბირჟის სპეციალისტი ე.წ. "ბოლო მოჰიკანები", რომლებსაც დღეს ისევ ოპტიმისტურად სჯერათ ერთი გამონათქვამისა, რომ "ახალი უკვე კარგად დავიწყებული ძველია".

არსებობს, თუ არა საქართველოში სასაქონლო ბირჟის განვითარების პერსპექტივა?

რასაკირველია! თანაც - უნიკალური პერსპექტივა, რომელიც არ გააჩნია ძალზე ბევრ განვითარებულ ქვეყანასაც კი.

აღნიშნული პრიორიტეტი მდგომარეობს უკვე ბანალურად ჟღერად "მომგებიან გეოპოლიტიკურ მდებარეობაში", რასაც ადასტურებს "დიდი აბრეშუმის გზის" ისტორიული არსებობა. რომ გადავხედოთ მსოფლიო ბირჟების განვითარების ისტორიას, შევნიშნავთ, რომ იმდროინდელი წამყვანი სასაქონლო ბირჟები (ამსტერდამი, ლონდონი, ჩიკაგო და სხვა) ფუნქციონირებდნენ საკვანძო სავაჭრო მარშრუტების გადაკვეთის ცენტრებში და არც ერთი ბირჟა არ ჩამოყალიბებულა ამა თუ იმ საბირჟო საქონლის წარმოების არეალის მიხედვით.

დღეს საქართველოს პრეზიდენტი სავსებით სამართლიანად ანიჭებს პრიორიტეტს არა ქვეყნის როგორც სატრანზიტო სტატუსის მქონე ტერიტორიის განვითარებას, არამედ ერთიანი კავკასიური ბაზრის ფორმირებას საინვესტიციო და სასაქონლო ნაკადების აკუმულირების მიმართულებით. აღნიშნული მიდგომები ემთხვევა გრძელვადიანი სტრატეგიის ფარგლებში ეკონომიკის მდგრადი განვითარების ახალ კონცეფციაზე გადასვლის მიმართულებასაც და არა თუ გამორიცხავს, არამედ თავის თავში მოიცავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასაქონლო ბირჟის ფუნქციონირებასაც.

მიგვაჩნია, რომ ყველაზე ოპტიმალური მოდელი იქნებოდა არა მხოლოდ სასაქონლო საბირჟო მოედნის მოწყობა, არამედ ისეთი უნივერსალური სტრუქტურის ფორმირება, რომელიც ანალოგი იქნებოდა ჩიგაკოს სასაქონლო ბირჟისა. ამ სახის სტრუქტურაში წარმოდგენილი იქნება ერთდროულად ყველა სახის საფინანსო ონსტრუმენტი და არა მხოლოდ ე.წ. სასაქონლო კონტრაქტები.

ამასთან ერთად, ლოკალური საბირჟო საქონლის გარდა, ბირჟაზე ძირითადად წარმოდგენილი უნდა იყოს საბირჟო საქონელი, როგორც აზერბაიჯანიდან (ნავთობის და ნავთობპროდუქტები), ისე შუა აზიის რესპუბლიკებიდან (ბამბა) იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს (საზღვაო პორტამდე **FOB**-ის პირობებზე) ტერიტორიაზე განლაგებული სატრანსპორტო-სავაჭრო მარშრუტი წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ მარშრუტს კავკასიის და შუა აზიის ქვეყნებისათვის. რაც შეეხება საქართველოში მყოფ საბირჟო საქონელს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის არსებობს და საკმაოდ ფართო ნომენკლატურით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის: ნავთობპროდუქტები, ხე-ტყე, ოქრო, ელექტროენერგია.

რაც მთავარია, ბირჟის სახით შეიქმნება რეალური და გამჭირვალე ფასწარმოქმნის მექანიზმი და ფასთა ცვალებადობის რისკის დაზღვევის სისტემა.

დღეს საქართველოში არსებობს ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ შეიქმნას საერთაშორისო დონის ისეთი საფინანსო ინსტიტუტი, როგორცაა სასაქონლო ბირჟა. რაც მთავარია, არსებობს კანონი "სასაქონლო ბირჟების შესახებ", რომლის თანახმად, ბირჟის საქმიანობას არეგულირებს და კოორდინაციას უწევს ეკონომიკის სამინისტრო.

საქართველოსათვის სასაქონლო ბირჟა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ანტიმონოპოლიური და ანტიდემპიგური ტენდენციების დანერგვისათვისაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ ლიკვიდური და კონცენტრირებული საბირჟო ბაზრის ეფექტურობაზე.

ქვეყნისათვის საბირჟო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს დამახინჯებული საბაზრო ურთიერთობების რეკონსტრუქციის მექანიზმი; მაგალითისათვის, ბირჟის პოზიტიური როლი შეიძლება გამოყენებული იქნას იგივე პრობლემებით სავსე ენერგობაზრის მოწესრიგებისათვის. დღეისათვის არსებული სისტემა არა მხოლოდ არ ითვალისწინებს ცივილიზირებულ საბაზრო ურთიერთობების ნორმებს, არამედ ზოგ შემთხვევებში არაკონსტიტუციურია იმ ასპექტში, სადაც ირღვევა "პროდუქციის და მომსახურეობის რეალიზაციის თავისუფლების უფლება". ეს ეხება ელექტროენერგიის მწარმოებლებისა და საბითუმო ბაზრის ურთიერთობებს, რის შედეგადაც ფერხდება და ითრგუნება მწარმოებლებსა და მყიდველს შორის არსებული პირდაპირი საკონტრაქტო ურთიერთობები.

ენერგობაზრის ოპტიმალური მოდელი უნდა იყოს სასაქონლო ბირჟის სავაჭრო, საანგარიშსწორებო და რისკების მართვის სისტემური და კომპლექსური მექანიზმი და არა სრულიად ზედმეტი საშუამავლო და მონოპოლიური ისეთი რგოლი, როგორიცაა საბითუმო ბაზარი. აღნიშნული მიდგომა აპრობირებულია მთელ მსოფლიოში, მათ შორის - რუსეთშიც, სადაც "რაო-იე-ეს"-ის ინიციატივით მთავრობაში განხილული იყო საკითხი ელექტროენერგიის საბირჟო ბაზრის შექმნის შესახებ. რაც შეეხება ფასწარმოქმნის მექანიზმს - აქაც მოქმედებს არა საბაზრო, არამედ ადმინისტრაციული მეთოდები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია უდგენს ენერგიის მწარმოებლებს სარეალიზაციო ტარიფებს, რაც, უბრალოდ, გაუგებარია.

ფასწარმოქმნა უნდა რეგულირდებოდეს საბაზრო პრინციპების საფუძველზე თუნდაც ტარიფის ზემოთა ზღვრული ლიმიტის დაწესებით. ეს მხოლოდ გარკვეული ფრაგმენტია იმ შესაძლებლობებისა, რომელიც შეიძლება მიღწეული იყოს სასაქონლო-საბირჟო ინსტიტუტის ჩამოყალიბებით. რა თქმა უნდა, ამას დასჭირდება გარკვეული თანხები, რომლებიც შეიძლება გაღებული იქნას იგივე სახელმწიფო ნავთობკორპორაციის (**GIOC**), მადნეულის ოქროს გადამამუშავებელი კომბინატის, საქართველოს რკინიგზის, თელასის და სხვა, ანუ იმ სტრუქტურული ერთეულების მიერ, ვინც, წესით, პირველ რიგში, უნდა იყოს დაინტერესებული სასაქონლო ბირჟის გამართული ფუნქციონირებით.

შექმნილ სიტუაციაში მიგვაჩნია, რომ საქართველომ უნდა გამოიყენოს უნიკალური შანსი ორგანიზებული საბაზრო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. არსებობენ საკმაოდ კვალიფიციური კადრები, რომლებსაც გააჩნიათ კომპლექსური ცოდნა საბირჟო საქმიანობისა და დარგობრივი ბაზრების ანალიზისა კორპორაციულ ფინანსებში და სამართალში, რასაც ვერ დაიკვეხნის საქართველოში მოღვაწე ბევრი მაღალანაზღაურებადი უცხოელი ექსპერტი.

ამ ამოცანის რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი იქნება ახალი მთავრობის პოზიცია, ანუ ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით რამდენად იქნება გააზრებული სასაქონლო ბირჟის ხელშეწყობისა და ფორმირების აუცილებლობა.

# ერევანში ოპოზიციის მიტინგი დაარბიეს

პირველი გვერდიდან

"ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამგვარ ვითარებაში კოჩარიანი ქვეყნის მართვას ველარ გააგრძელებს და იგი ქვეყნიდან უნდა წავიდეს", - დასძინა არამ სარგსიანმა.

ორივე ლიდერის თქმით, პოლიციამ ისინი სცემა. მომიტინგეებთან ანგარიშსწორების პარალელურად, პოლიცია ეროვნული ერთიანობის პარტიის შტაბ-ბინაში შეიჭრა და რამდენიმე ადამიანი დააპატიმრა, მათ შორის, გეღამიანის მოადგილე ალესკან კარაპეტიანი. საღამოს კი პოლიციამ თავად გეღამიანიც დააპატიმრა. ანალოგიური რეიდები სარგსიანის პარტია "რესპუბლიკასა" და დემირჭიანის "სახალხო პარტიაზეც" განხორციელდა. ლიდერების ინფორმაციით, პოლიციამ ოფისებში ტექნიკა დაამტვრია და ათეულობით მათი აქტივისტი დააკავა.

გუშინ, კარაპეტიანის გარდა, კიდევ ორი დეპუტატი - ვართან მკრტიჩიანი და შავარშ კოჩარიანი დააკავეს.

თავად პოლიციამ დაკავებულთა ზუსტი რიცხვის დასახელებაზე უარი განაცხადა. მათ არც ძალის გამოყენების მიზეზები დაუსახელებიათ.

ოპოზიციის ლიდერების თქმით, ეს დემონსტრაციებს ვერ შეაჩერებს. "ჩვენ აუცილებლად მეტ დემონსტრაციებს გავმართავთ, - განაცხადა სარგსიანმა, - მე ვფიქრობ, რომ მთელი სომხეთი ფეხზე დადგება. კოჩარიანმა თავისი წასვლა მხოლოდ დააჩქარა".

დეპუტატების გარდა, სომხეთის ერთ-ერთი წამყვანი ოპოზიციური გაზეთის "ჰაიკაკან ჟამანაკის" რედაქტორიც დააკავეს.

თავისუფლების მოედანზე, სადაც ოპოზიცია უკანასკნელი დღეების განმავლობაში მიტინგებს მართავდა, ახლა კონცენტრირებულია პოლიცია და, სავარაუდოდ, ოპოზიციას იქ დემონსტრაციების გაგრძელების საშუალებას აღარ მისცემენ.





*თავისუფლების მოედანზე, სადაც ოპოზიცია უკანასკნელი დღეების განმავლობაში მიტინგებს მართავდა, ახლა კონცენტრირებულია პოლიცია.*

# ერაყის ამბები

ერაყელი შიიტების გავლენიანმა სასულიერო ლიდერებმა ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, მას შემდეგ, რაც ისინი ამბოხებული შიიტების წინამძღოლს მოქთად ალ-სადრის შეხვდნენ. შიიტი ლიდერები კოალიციის ჯარების ქმედებასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამენ, კერძოდ, შიიტების წმინდა ქალაქ ნეჯეფში სისხლისმღვრელი ბრძოლების და ალ-სადრის ლიკვიდაციის განზრახვის თაობაზე. **"ერაყში მიმდინარე კრიზისი გასცდა ნებისმიერი პოლიტიკური ჯგუფის მოქმედების ფარგლებს, მმართველი საბჭოს ჩათვლით, და ამჟამად უკვე რელიგიური ხელისუფლებისა და კოალიციური ძალების ურთიერთობის საკითხს წარმოადგენს,"** - ნათქვამია განცხადებაში. შიიტი ლიდერები, ამასთანავე, ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისათვის კომპენსაციას ითხოვენ. **"ვინც ამ კრიზისის წარმოქმნას ხელი შეუწყო, უნდა გადაიხადოს,"** - აცხადებენ შიიტთა წინამძღოლები.

ამბოხებულების ხელმძღვანელთან, მოქთად ალ-სადრისთან გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებდნენ: დიდი აიათოლა ალი ალ-სისტანის ვაჟი; დიდი აიათოლები: მოჰამედ ისაქ ალ-ფავადჰი, მოჰამედ საიდ ალ-ჰაკიმი, ბაშირ ჰუსეინ ალ-ნეიაფი, მოჰამედ საიდ რედჰა ალ-სისტანი და საიდ ალი ალ-სიბზვარი.

სააგენტო "სიენენის" ინფორმაციით, ამბოხებული შიიტების ლიდერი ამჟამად ქალაქ ნეჯეფის ერთ-ერთ მეჩეთში იმყოფება, ხოლო მისდამი დამორჩილებული გასამხედროებული ფორმირება "მეჰდის არმია" კი კვლავ აკონტროლებს ქალაქს.

კოალიციის სარდლობამ მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა, რაც შიიტი კლერიკანების დიდ შეშფოთებას იწვევს. ისინი აცხადებენ, რომ კოალიციას ალ-სადრის მოკვლა აქვს განზრახული.

სუნიტი პარტიზანების ხელში რჩება ქალაქი ფალუჯაც, სადაც კოალიციის შეტევები, ჯერჯერობით, შეჩერებულია.

გუშინ ბაღდადში, ამერიკელმა სამხედროებმა ალ-სადრის მოადგილე და უახლოესი თანამებრძოლი შეიხ ჰაზემ ალ-არაჯი დააპატიმრეს, დაკითხეს და შემდეგ გაათავისუფლეს. კოალიციის სარდლობის განცხადებით, დაკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ის ამბოხებაში მონაწილეობას არ ღებულობდა.

გუშინვე, ერაყში დისლოცირებული ამერიკული კონტინგენტის სარდლობამ პენტაგონს დამატებით ათი ათასი ჯარისკაცის გაგზავნა სთხოვა.

რაც შეეხება მძევლად აყვანილ რუს და უკრაინელ მოქალაქეებს, ისინი ნიღბიანმა ამბოხებულებმა რამდენიმე საათში, ყოველგვარი პირობის გარეშე გაათავისუფლეს.

# ჯორჯ ბუში სპეცსამსახურების რეფორმებს იწყებს

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სპეცსამსახურების მასშტაბურ რეფორმაზე უკვე სერიოზულად ფიქრობს. მისი თქმით, ქვეყნის სადაზვერვო თანამეგობრობა მრავალი პრობლემის წინაშე დგას, რაც დროულ აღმოფხვრას საჭიროებს.

სადაზვერვო თანამეგობრობის ორი ფლაგმანის - გამოძიების ფედერალური ბიუროს და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიმართ კრიტიკის ქარცეცხლი ჯერ კიდევ სამი წლის წინ, 11 სქეტემბრის ტრაგედიას მოჰყვა. მათ შეცდომებზე უამრავი პუბლიკაცია და წიგნი გამოქვეყნდა. მსოფლიოში სახელგანთქმულ ამერიკულ სპეცსამსახურებს მონაცემების გაანალიზების დაბალ უნარსა და ინფორმაციების არასწორად დალაგებაში სდებდნენ ბრალს.

**"შესაძლოა სწორედ ახლა დადგა დრო, რომ ჩვენი სპეცსამსახურების ძირეული რეფორმირება დავიწყოთ. ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ ამ საკითხზე და საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობის დაწყებას მოუთმენლად ველით,"** - განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა.

11 სექტემბრის ტრაგედიის გამოძიების მიზნით შექმნილმა კომისიამ კი თავისი საქმიანობის მეორე ეტაპი დაიწყო, რაც სწორედ სპეცსამსახურების მაღალი თანამდებობის პირთა დაკითხვას ითვალისწინებს. კომისიამ უნდა დაადგინოს, თუ რამდენად ადეკვატურად ხდებოდა ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროში ტერორისტული საფრთხეების შეფასება. გუშინ, კომისიის წევრების წინაშე გენერალური პროკურორი ჯონ ეშკროფტი, მისი წინამორბედი ჯენეთ რენო, გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი დირექტორები ლუის ფრი და თომას პიკარდი წარდგნენ.

საგამოძიებო კომისიის პირველი ეტაპი ბუშის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირების დაკითხვით დასრულდა. თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა და პრეზიდენტის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისმა რაიმე სერიოზული საფრთხის შემცველი ინფორმაციის სპეცსამსახურებიდან მიღება კატეგორიულად უარყვეს. კომისიას სურდა გაერკვია, იყო თუ არა გაგზავნილი რამე ინფორმაცია ადმინისტრაციაში და თუ იყო, რატომ არ იმოქმედა პრეზიდენტ ბუშის გარემოცვამ. თავად პრეზიდენტმაც მკაფიოდ და გასაგებად განაცხადა, რომ მის ადმინისტრაციას ტერორისტული დარტყმების შესახებ რაიმე გაფრთხილება არ მიუღია. რაც შეეხება 2001 წლის 6 აგვისტოს სრულიად საიდუმლო ინფორმაციის მიღებას "ალ-ქაიდას" შესახებ, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მასში არ იყო დაკონკრეტებული ის საშიშროება, რაც 11 სექტემბერს სრულიად ამერიკისათვის რეალური გახდა. **"მე დარწმუნებული ვარ, მათ საფრთხის შესახებ რაიმე რეალური ინფორმაცია რომ ჰქონოდათ, აუცილებლად მაცნობებდნენ,"** - განაცხადა ბუშმა ქვეყნის სპეცსამსახურების თაობაზე.



*ჯორჯ ბუში*

გასულ შაბათს, თეთრმა სახლმა დღის სინათლეზე გამოიტანა 6 აგვისტოს საიდუმლო ინფორმაცია, რამაც გამოძიების ფედერალურ ბიუროს მიმართ საზოგადოების და პოლიტიკოსების კრიტიკა გამოიწვია.

**"მე მასში ვერ ვიპოვე ვერავითარი ზუსტი ინფორმაცია, რომ ფედერალური სააგენტოები ზუსტად, დარწმუნებით და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდნენ პრეზიდენტს აშშ-ში "ალ-ქაიდას" ქსელის არსებობასა და მისი აღმოფხვრის გზებზე,"** - განუცხადა "ნიუ-იორკ ტაიმსს" საგამოძიებო კომისიის წევრმა ბობ კერიმ.

მოსალოდნელია, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს წინააღმდეგ კრიტიკა კიდევ უფრო გამწვავდება, როდესაც კომისია ამ უწყების ყოფილი დირექტორების ჩვენებებს მოისმენს. **"ჩვენ გვსურს გავიგოთ, თუ რა იყო არასწორი და რა ნაბიჯები გადაიდგა ამერიკელი ხალხის უსაფრთხოებისა და დაცვისათვის,"** - განაცხადა კომისიის ვიცე-თავმჯდომარემ ლი ჰამილტონმა.

# ბრძოლა უკრაინისათვის ახალ ფაზაში შედის

*უკრაინაში ხელისუფლებისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. იზრდება როგორც შიდაპოლიტიკური, ასევე გარე ძალების აქტივობა. უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, ვის დარჩება გამარჯვება - პროდასავლურ თუ პრორუსულ პოლიტიკოსებს.*

გასულ კვირას უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის ჩავარდნამ, მთლიანად პოლიტრეფორმის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. უკრაინის უმაღლესმა რადამ მხარი არ დაუჭირა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას. კანონპროექტის მიღებას 294-მა დეპუტატმა მისცა ხმა, მისი დამტკიცებისთვის კი 300 იყო საჭირო. წარმოდგენილი ე.წ. პოლიტრეფორმის პროექტის თანახმად იზღუდებოდა პრეზიდენტის ძალაუფლება და ქვეყანა, ფაქტობრივად, საპარლამენტო მმართველობაზე გადადიოდა.

პარლამენტში განცდილმა მარცხმა შემოდგომაზე დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში სახელისუფლებო კანდიდატის ვიქტორ იანუკოვიჩის წარმატებაც ეჭვქვეშ დააყენა. "შეთქმულების თეორიის" მოყვარული რუსი ექსპერტების აზრით, პარლამენტში კანონპროექტი პრეზიდენტ კუჩმასა და მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერ ვიქტორ იუშენკოს შორის გარიგების შედეგად ჩავარდა. ისინი თვლიან, რომ ხელშეუხებლობის სანაცვლოდ, კუჩმა დათანხმდა საპრეზიდენტო არჩევნები და პოლიტრეფორმა გაეწირა. თუმცა, თავად უკრაინელი პოლიტოლოგები ამტკიცებენ, რომ არავითარ გარიგებას ადგილი არ ჰქონია და კანონპროექტის მიღება უკრაინელი პოლიტიკოსების სიხარბის გამო ვერ მოხერხდა. ერთგვარი მინიშნებები კეთდება იმაზე, რომ ხელისუფლების მომხრე ზოგიერთი დეპუტატი თავისი ლოიალობის სანაცვლოდ ძალიან დიდ საფასურს ითხოვდა. პრემიერ-მინისტრ იანუკოვიჩის აზრით, პოლიტრეფორმის შესახებ კენჭისყრამ დაგვანახა, რომ **"გაიმარჯვეს არა სახელმწიფო, არამედ ვიწროპარტიულმა ინტერესებმა, ცალკეული პოლიტიკოსების ამბიციებმა. სამწუხაროდ, დეპუტატთა კორპუსის ნაწილს სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა არ ეყო. მათ ვერ შეძლეს კონფორმიზმის, ეგოიზმის დაძლევა. ჯგუფურ ინტერესებზე მაღლა დადგომა ვერ შეძლეს"**. ასეთია კუჩმას ოფიციალური "მემკვიდრის" წყენანარევი განცხადება და არ შეიძლება ეჭვი არ გაგიჩნდეს, რომ დეპუტატთა კორპუსის ნაწილში ხელისუფლების მომხრეებიც იგულისხმებიან.

მართალია, პოლიტრეფორმის განხორციელების თეორიული შანსი კიდევ არსებობს და, აქედან გამომდინარე, უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას მოვლენების განვითარების თავის სასარგებლოდ შემოტრიალება ჯერ კიდევ შეუძლია, მაგრამ რუს დამკვირვებელთა აზრით, ამისათვის უკრაინულ პოლიტიკაში რუსეთის აქტივობა უნდა გაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინის, როგორც პოტენციურად უახლოესი პარტნიორის, დაკარგვის საფრთხე სერიოზულ მასშტაბებს იღებს.

რუსი პოლიტმიმომხილველები უკრაინის უმაღლეს რადაში განვითარებული მოვლენების მთლიანად რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების სიბრტყეში გადატანით აშკარას ხდიან იმას, თუ რა მოხდა გასულ პარასკევს უკრაინაში და მართლაც რა დონის გამარჯვებას (შესაძლოა დროებითს) მიაღწია პროდასავლურმა ოპოზიციამ. ექსპერტები თვლიან, რომ პოლიტრეფორმის გატარება იმ შემთხვევაშიც კი, თუ რა შედეგებით დასრულდება საპრეზიდენტო არჩევნები შემოდგომაზე, რუსეთისათვის მომგებიანი იქნებოდა. მათი აზრით, საპარლამენტო ხელისუფლება გაცილებით პრაგმატული იქნება, ვიდრე ნებისმიერი ხარისხის "ავტორიტარული" საპრეზიდენტო მმართველობა. ხოლო რუსეთში საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, და ეს, ალბათ, ნაწილობრივ სიმართლეცაა, ერთად აღებული რამდენიმე ასეული პარლამენტარი, ანტირუსული განწყობის ვერანაირად ვერ იქნება. საბოლოო ჯამში, ყველა მიიჩნევს, რომ რეფორმის რეალიზაციის შემთხვევაში, მომავალში მრავალი მომგებიანი პროექტის განხორციელებისათვის რუსეთს რეალური შანსი მიეცემოდა. თუმცა, დღეს მოვლენების ამგვარი განვითარება ეჭვქვეშ დადგა.

ზოგიერთი რუსი ანალიტიკოსის აზრით, იმის მტკიცება, რომ კუჩმამ სულ რაღაც ექვსი ხმის მობილიზაცია ვერ შეძლო, უბრალოდ, სასაცილოა. რუს ანალიტიკოსებს, ტრადიციულად, შეთქმულების თეორიების სჯერათ და კუჩმასა და იუშენკოს, ანუ უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების ამერიკასთან გარიგებაზე აზრს თამამად ავითარებენ. მათი აზრით, კუჩმას ქმედებებს პირადად მისთვის არასახარბიელო მომავლის შიში უფრო განსაზღვრავს და, ხელშეუხებლობის გარანტიის სანაცვლოდ, ძალაუფლებას უბრძოლველად აბარებს. თუმცა, აქვე ისმის ნიშნისმოგებითი კითხვა - ალბათ, კუჩმამ შევარდნაძის მაგალითიდან დასკვნები ვერ გამოიტანა. **"კუჩმას პოლიტიკური წინდაუხედაობა გაგაოცებს, მას შევარდნაძის ბედმა ვერაფერი ასწავლა. თუ დავაკვირდებით, მიუხედავად იმისა, რომ თავად შევარდნაძე თავისუფალია, ბევრი მისი მომხრე და ოჯახის წევრიც კი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა,"** - აღნიშნავს დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის უკრაინის განყოფილების ხელმძღვანელი კირილ ფროლოვი.

საქმე ის არის, რომ აღნიშნული კანონპროექტის ჩავარდნამ შეიძლება მისი მიღების დაგვიანება გამოიწვიოს და შემოდგომამდე ველარ მოესწროს. ალბათ, იუშენკოს გათვლებიც სწორედ ამაზე იყო გაკეთებული. უკრაინის კონსტიტუციის თანახმად, საკითხი ხელახალ კენჭისყრაზე მხოლოდ შემოდგომაზე შეიძლება დადგეს. ამიტომ, რეფორმამ საპრეზიდენტო არჩევნებს შეიძლება ვერ მოუსწროს. ამის დიდი იმედი აქვს უკრაინის ოპოზიციასაც. თუმცა, კანონპროექტთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები საკმაოდ ბუნდოვანია. პარლამენტის სახელისუფლებო უმრავლესობა ამტკიცებს, რომ კანონპროექტი კენჭისყრაზე "არასწორი" ნომრით დააყენეს და ამ ტექნიკურ მიზეზს ხელახალი კენჭისყრის ჩატარების საფუძვლად მიიჩნევს. თუ სახელისუფლებო ფრაქციას შესაბამისი პოლიტიკური რესურსი აღმოაჩნდა, საკითხი განსახილველად შესაძლოა უახლოეს მომავალში გაიტანონ.

ამგვარად, პოლიტრეფორმის და, მასთან ერთად, უკრაინის მომავლის ბედი უახლოეს მომავალში გადაწყდება. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, რუს პოლიტოლოგთა აზრით, რუსეთი მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში აქტიურად უნდა ჩაერთოს და უკრაინაში რუსეთისათვის ხელსაყრელი რეფორმების განხორციელებას ყოველნაირად ეცადოს. თუ რეფორმის განხორციელება ვერ მოხერხდა, საპრეზიდენტო არჩევნებში ამჟამინდელი ხელისუფლების მემკვიდრის იანუკოვიჩის მარცხი და იუშენკოს ავტომატური გამარჯვება უკვე აშკარა გახდება. ხოლო იუშენკო, რუსების მტკიცებით, როგორც უკრაინული ელიტის, ასევე რუსეთის მიმართაც დაუნდობელი იქნება.




# ფრანგების მიერ მოწოდებული წყალი

*გუშინ თბილისის საკრებულოში პარიზიდან ახლად დაბრუნებულმა საკრებულოს ცხრაკაციანმა დელეგაციამ ჟურნალისტებს იმ მოლაპარაკების შედეგები გააცნო, რომელსაც თბილისი ფრანგულ კომპანია "გენერალ დეზოსთან" აწარმოებს. ეს კომპანია წყლის ოპერირებას 75 ქვეყანაში ახდენს. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, "ჯენერალ დეზო" თბილწყალკანალის 10 წლით მართვისა და მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილ 25 მილიონი დოლარის განკარგვის უფლებას მიიღებს.*

თამარ დვალი

**"მინდა, გარკვევით ვთქვა, რომ თბილწყალკანალის პრივატიზაცია კი არ ხდება, არამედ იგი კომპანია "ჯენერალ დეზოს" გადაეცემა 10 წლის განმავლობაში მართვის უფლებით. ჩვენი პარიზში გამგზავრების მიზანი ამ კომპანიის ახლოს გაცნობა იყო,"** - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა. მისივე თქმით, საკრებულო მზად არის, ფრანგულ კომპანიას ლობირება გაუწიოს. ეს გადაწყვეტილება მათ კომპანიის გაცნობის შემდეგ მიიღეს.

"თბილწყალკანალზე" 2002 წელს, მსოფლიო ბანკის ეგიდით, ტენდერი გამოცხადდა. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, კრედიტის სახით, გამოყოფილი 25 მილიონი დოლარი საქართველოში წყლის ხარისხის გაუმჯობესებას, უწყვეტ წყალმომარაგებასა და საწარმოს სრულ რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს. ქართულმა მხარემ ფრანგულ ფირმას ოთხი ძირითადი მოთხოვნა წაუყენა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

1. წყლის ხარისხის გაუმჯობესება;
2. 24-საათიანი წყალმომარაგება;
3. ტარიფის შენარჩუნება;
4. მთლიანი გაყვანილობის გამოცვლა.

შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია, თუმცა საკრებულოს თავმჯდომარე პასუხისმგებლობას ვერ იღებს და აღნიშნული საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას საკრებულოს სხდომაზე სპეციალისტებთან ერთად გეგმავს. ბეგაშვილის თქმით, საქართველოში შემოსული უცხოური კომპანიების უმეტესობა სამომხმარებლო ხელშეკრულებებს არ აფორმებს, რაც მომხმარებლის უფლებებს ლახავს. ამ შემთხვევაში ეს პუნქტიც გათვალისწინებული იქნება.



*საკრებულოს დელეგაცია პარიზული ვოიაჟით კმაყოფილია.*

თბილწყალკანალის ხელმძღვანელი იუზა ცარციძე მიჩნევს, რომ, რადგანაც სახელმწიფოს არა აქვს შესაძლებლობა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატაროს, უცხოური ინვესტიციის მოზიდვა ქვეყნისთვის ერთადერთი გამოსავალია. თუკი აქამდე წყალკანალის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელიწადში 12 ათასი ლარი იხარჯებოდა, ამიერიდან ეს თანხა ქალაქის ბიუჯეტს მოხმარდება, წყალკანალი კი თვითდაფინანსებაზე გადავა.

პროგრამის პირველი ეტაპი მოსახლეობის გამრიცხველიანებას ითვალისწინებს. თავდაპირველად საერთო მრიცხველები დამონტაჟდება, რაც აღწერის ჩატარებას შეუწყობს ხელს. შემდეგ ეტაპზე მრიცხველებს ინდივიდუალურად დააყენებენ. რაც შეეხება ტარიფს, ბეგაშვილის მტკიცებით, ის არ გაიზრდება. თუმცა, მოსახლეობას გადასახადის გადახდა მოხმარებული წყლის რაოდენობის მიხედვით მოუწევს. საერთო მრიცხველზე დაწერილი თანხა მოსახლეობაში სულადობის მიხედვით გადანაწილდება. ეს მეთოდი, საკრებულოს წევრების აზრით, გაურკვევლობას სულაც არ გამოიწვევს - პირიქით, ქართველი მომხმარებელი ასე წყლის ეკონომიურ ხარჯვას მიეჩვევა.

საქართველო დსთ-ს სივრცეში პირველი ქვეყანაა, სადაც "ჯენერალ დეზომ" თავის საქმიანობა დაიწყო.

# ღარიბ ექიმებს წელსაც პრობლემები ელით

*1993 წელს დაწყებული სასერტიფიკაციო გამოცდა 32 ათასი ექიმიდან 23 697-მა ათასმა ჩააბარა - ანუ, დაახლოებით, 9 ათასმა ექიმმა დაკარგა სამსახური. ამ რიცხვში არ იგულისხმებიან ის ექიმები, რომელნიც გამოცდაზე უსახსრობის გამო ვერ გავიდნენ. უსერტიფიკატოდ დარჩენა, საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლებას ან უმცროს ექიმად ჩამოქვეითებას ნიშნავს. ღარიბ ექიმებს იგივე პრობლემა ახალ სასერტიფიკაციო გამოცდაზე წელსაც დაუდგებათ.*

ნანა ქადაგიშვილი

**"მართალია, უკვე საპენსიო ასაკის ვარ, მაგრამ მთავარი ექიმი შემპირდა, თუკი სერტიფიკატს ავიღებდი, სამსახურში დამტოვებდა. მაგრამ, გამოცდაზე გასასვლელად 60 ლარი ნამდვილად არ მქონდა. მეუღლე, რამდენიმე წელია, ლოგინად არის ჩავარდნილი და რასაც ვიღებდი, მის წამლებს ვახმარდი. შვილი უცხოეთში ცხოვრობს და ჩვენს დახმარებას ყოველთვის ვერ ახერხებს,"** - ამბობს დიდუბე-ჩუღურეთის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში მომუშავე ედიკა ექიმი, რომელსაც უბნის ექიმს ეძახდნენ, რადგან უბნის, თითქმის, ყველა ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ზეპირად იცოდა, უსერთიფიკატოდ, ბუნებრივია, არავინ ამუშავებდა.

ფასიანმა გამოცდამ და კრედიტსაათებმა, მართლაც, ბევრი ექიმი ჩააგდო საგონებელში. წინა სასერტიფიკატო გამოცდაზე გასასვლელად ექიმს 25 კრედისაათი უნდა მოეგროვებინა - მის მიერ მოსმენილი სემინარების ქულები 25-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო (სასემინარო პროგრამებს აკრედიტაციის საბჭო ქულების მიხედვით აფასებდა). 25 ქულის მოსაგროვებლად, საშუალოდ, სამი პროგრამის მოსმენა მაინც იყო საჭირო. სემინარების ფასები კი 5-დან 50 ლარამდე მერყეობდა **"პროგრამების ფასები ქულების რაოდენობის მიხედვით არ განსაზღვრულა. ფასებს პროგრამების ავტორები საკუთარი სურვილის მიხედვით ადგენდნენ. სამინისტრო ამ პროცესში არ ჩარეულა. ექიმებს ის შეღავათი ჰქონდათ, რომ ერთსა და იმავე სპეციალობაში რამდენიმე, სხვადასხვა ღირებულების პროგრამა არსებობდა და ექიმს მათი არჩევა შეეძლო; თანაც, სემინარის დამსწრეებს უფასოდ უმასპინძლდებოდნენ,"** - განგვიმარტეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტში.

საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის მიხედვით, ექიმთა სასერტიფიკაციო გამოცდები ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. პირველი გამოცდიდან ხუთი წელი წელს გავიდა და სასერტიფიკაციო კომისიაში გამოცდაზე გამსვლელთა საბუთების მიღება უკვე დაიწყეს. სერტიფიცირების პროცესი წელსაც გინეკოლოგებიდან იწყება. შემდეგ თერაპევტებისა და ჰიგიენისტების ჯერია. სერტიფიცირებას ყველა სპეციალობის ექიმი გაივლის. სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის ქეთევან კაციაშვილის განცხადებით, გამოცდაზე გასვლა წელსაც ფასიანია - კვლავ 60 ლარი ღირს. რაც შეეხება კრედიტსაათებს, საჭირო ქულების რაოდენობამ იმატა. **"საგაზაფხულო სემინარებზე ექიმმა 35 კრედისაათი უნდა დააგროვოს, საშემოდგომოზე კი - 50",** - აცხადებს ქეთევან კაციაშვილი.

თუკი 25 კრედისაათი, საშუალოდ, სამი პროგრამის მოსმენას უდრიდა, 50 ქულის მისაღებად ექვსი პროგრამის მოსმენა მაინც იქნება საჭირო. თითო პროგრამის ფასი, საშუალოდ, 10 ლარი რომ ვიანგარიშოთ, გამოცდაზე გასასვლელად ექიმს 120 ლარი მაინც სჭირდება. ეს კი ბევრი მათგანისთვის იოლად გადასახდელი თანხა არ არის. სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტი კი აცხადებს, რომ ყველაფერი საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის მოთხოვნის მიხედვით ხდება.

# ახალი მთავრობის "სამაგიდო წიგნი"

## რას გულისხმობს განათლებისა და მეცნიერების რეფორმა

*საქართველოს ახალმა მთავრობამ პირველი ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. "ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის - ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით" - ასეთია ამ დოკუმენტის ოფიციალური სახელწოდება. უფრო მოკლედ მას "ეროვნული გადარჩენის პროგრამა" ეწოდება. ვნახოთ, როგორია ის ძირითადი პრინციპები, რომელმაც ახალი საქართველოს სოციალურ პოლიტიკას უნდა შეუქმნას საფუძველი.*

მაკა ჭაიანი

ამ მიმართულებით, სამოქმედო პროგრამის ძირითად მიზნები შემდეგი გახლავთ: მოქალაქეთა შემოსავლების, პენსიებისა და შემწეობების თანმიმდევრული ზრდა; მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრება; აუცილებელი სამედიცინო მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობა; განათლების სტანდარტების თვისობრივი გაუმჯობესება; განათლებასა და მეცნიერებაში ინვესტირების ზრდა. ყველაფერი ეს, როგორც ხუთწლიანი გეგმის მიმოხილვითი ნაწილი გვამცნობს, კეთდება "წარსულის მწარე გამოცდილების საპირისპიროდ, როდესაც საქართველოს მოქალაქეები ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების, განათლების, ეკონომიკური პერსპექტივის გარეშე, პრაქტიკულად, დაუცველნი იყვნენ ცხოვრების რეალიების წინაშე - ახალი ხელისუფლების უპირობო ვალდებულებაა, თავისი საქმიანობით მოქალაქეებს მომავლის რწმენა აღუდგინოს."

ყველა ეს ვალდებულება კონკრეტულ სახეს იძენს თითოეული მიმართულების მიხედვით. დღეს განათლებისა და მეცნიერების სფეროში დასახულ გეგმებზე მოგითხრობთ. აქ ნავარაუდევია: კონსტიტუციით გარანტირებული და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების შესაძლებლობის მიცემა საქართველოს ყველა მოქალაქისათვის; სოციალურად დაუცველი ფენების სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში; პროფესიული და უმაღლესი განათლების სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა შრომის გლობალურ ბაზარზე; მეცნიერების იმგვარი ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სამეცნიერო ინფრასტრუქტურაში საქართველოს სრულუფლებიან წევრობას.

ამის მისაღწევად დაგეგმილია:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და ბავშვთა სახლებში - საბავშვო ბაღების გადაქცევა სოციალურად დაუცველ ფენებზე ორიენტირებულ დაწესებულებებად; საზოგადოების წარმომადგენლების აქტიური ჩართვა საბავშვო ბაღების, ისევე, როგორც ბავშვთა სახლების მართვაში (მზრუნველთა და სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა და საზოგადოებრივი მონაწილეობის სხვა მექანიზმების გამოყენება).

სასკოლო დაწესებულებებში - მმართველობის დეცენტრალიზაცია: არჩევითი სასკოლო საბჭოების ამოქმედება და დირექტორების საბჭოების მიერ დანიშვნა; დაფინანსების სქემის გამარტივება სასკოლო ბიუჯეტების პირდაპირი დაფინანსების მეშვეობით და "ერთ მოსწავლეზე (PER CAPITA) გათვლილი ბიუჯეტის" სისტემის ამუშავება; სახელმწიფოსა და სკოლას შორის მმართველობითი შუალედური რგოლების შემცირება და საბოლოო გაუქმება; სახელმწიფო ჩარევის დაყვანა ეროვნული სასწავლო გეგმების შედგენისა და ამ გეგმების შესრულების კონტროლის ფუნქციამდე; ერთიანი ეროვნული სასკოლო გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების სისტემის შემუშავება და დანერგვა.

პროფესიულ სასწავლებლებში - პროფესიული განათლების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დადგენა; ადგილობრივი და გლობალური შრომის ბაზრების მოთხოვნებზე ორიენტაცია და კვალიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტებთან უპირობო შესაბამისობა.

უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში - უმაღლესი სასწავლებლების სრული ფინანსური ავტონომია; უმაღლეს სასწავლებლებში ფაკულტეტების ავტონომიის მნიშვნელოვანი ზრდა; უმაღლესი სასწავლებლების მართვის გამჭვირვალე და დემოკრატიული პრინციპების საკანონმდებლო უზრუნველყოფა; ვაუჩერული სისტემის - "ფული მიჰყვება სტუდენტს" - შემოღება და ამ სისტემის სასწავლო პროცესის სახელმწიფო დაფინანსების ერთადერთ წყაროდ დადგენა; ლიცენზირებისა და აკრედიტაციის ზუსტი წესების დადგენა; მეცნიერების განვითარების უპირობო დაკავშირება სწავლებასთან და წარმოებასთან.

შემდეგ პუბლიკაციაში ჯანდაცვის სფეროში დაგეგმილ ცვლილებებზე მოგითხრობთ.

განცხადება

# საქართველოს სახელმწიფო გერბისა და გერბის დევიზის პროექტების შესარჩევი კონკურსის შესახებ

პირველი გვერდიდან

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელმა და წინადადებათა შემმუშავებელმა დროებითმა სახელმწიფო კომისიამ, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო გერბის პროექტისა და გერბის დევიზის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ.

**I. საქართველოს სახელმწიფო გერბის პროექტის კონკურსის პირობები**

1. სახელმწიფო გერბის პროექტი უნდა ასახავდეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციასა და ისტორიულ სამართალმემკვიდრეობას.

2. სახელმწიფო გერბის პროექტი უნდა გამოხატავდეს ქვეყნის საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ფასეულობებს.

3. სახელმწიფო გერბის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის სამართლებრივ და პოლიტიკურ მდგომარეობას.

4. სახელმწიფო გერბის პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს ისტორიულად არსებული სახელმწიფო სიმბოლიკა და ჰერალდიკური ტრადიციები.

5. სახელმწიფო გერბის პროექტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს საყოველთაოდ აღიარებულ ჰერალდიკურ ნორმებს.

6. კონკურსში წარმოდგენილი პროექტი, რომელიც არ აკმაყოფილებს მე-5 პუნქტში მოცემულ პირობას, კონკურსიდან მოიხსნება.

7. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს.

8. სახელმწიფო გერბის კონკურსი ცხადდება 2004 წლის 14 აპრილს. პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 7 მაისი (18 საათამდე), მისამართი: რუსთაველის პროსპექტი N 8, საქართველოს პარლამენტის კანცელარია (საკონტაქტო ტელეფონები - 93-10-49, 93-14-05).

9. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის სახით (დევიზის წარწერის გარეშე).

10. საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს A-2 ფორმატით (60X42 სმ) ორ ფურცელზე:

ა) ფერითი გამოსახულება;

ბ) გრაფიკული გამოსახულება.

11. სახელმწიფო გერბის პროექტს თან უნდა ერთვოდეს გერბის აღწერილობა (ბლაზონი).

12. სახელმწიფო გერბის პროექტი მოთავსებული უნდა იყოს A-2 ზომის დალუქულ კონვერტში.

13. კონვერტის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახული უნდა იყოს ავტორის მიერ შედგენილი ხუთნიშნა კოდი (შავი ფერის ციფრები - ზომით 5X10 მმ-ზე). აღნიშნული კოდი უნდა იყოს გამოსახული წარმოდგენილი პროექტის ყველა ფურცელზე ზემოთ მითითებული წესით.

14. ავტორის პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, ტელეფონი და მისამართი) წარმოდგენილი უნდა იყოს (A-4 ზომის) დალუქული კონვერტით, რომელზეც ასევე გამოსახული იქნება საავტორო ხუთნიშნა კოდი (ზემოთ მითითებული წესით).

15. წარმოდგენილ კონვერტზე საავტორო ხუთნიშნა კოდის გარდა აღნიშნული უნდა იყოს - "საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელ და წინადადებათა შემმუშავებელ დროებით სახელმწიფო კომისიას" (შავი ფერის ნაბეჭდი შრიფტით კონვერტის მარცხენა ქვედა კუთხეში).

16. წარმოდგენილი სახელმწიფო გერბის პროექტები გაიხსნება 2004 წლის 8 მაისს, კომისია 11 მაისამდე გამოავლენს კონკურსზე დასაშვებ პროექტებს.

17. კომისიის მიერ შერჩეული საუკეთესო სახელმწიფო გერბის პროექტები 14-17 მაისს გამოიფინება საექსპოზიციო დარბაზში საჯარო დათვალიერებისათვის (სამომავლოდ გამოიცემა გამოფენილი პროექტების ფერადი ბუკლეტი).

18. კონკურსის ჩასატარებლად კომისია უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის ჟიურის დაკომპლექტებას.

19. 18 მაისს კომისია საჯარო დათვალიერებისათვის გამოფენილი ნამუშევრებიდან შერჩეულ პროექტებს გადასცემს ჟიურის საუკეთესოს გამოსავლენად.

20. ჟიური გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე ერთი დღის განმავლობაში - 18 მაისს.

21. ჟიური რეკომენდაციას საუკეთესო პროექტთან დაკავშირებით გადასცემს "საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელ და წინადადებათა შემმუშავებელ დროებით სახელმწიფო კომისიას" სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად.

**II. საქართველოს სახელმწიფო გერბის დევიზის შესარჩევი კონკურსის პირობები**

1. სახელმწიფო გერბის დევიზის კონკურსი ცხადდება 2004 წლის 14 აპრილს. პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 27 აპრილი (18 საათამდე), მისამართი: რუსთაველის პროსპექტი N 8, საქართველოს პარლამენტის კანცელარია (საკონტაქტო ტელეფონები - 93-10-49, 93-14-05).

2. სახელმწიფო გერბის დევიზის პროექტი შემოტანილი უნდა იქნეს A-4 ზომის ფურცელზე ნაბეჭდი ფორმით A-4 ზომის დალუქულ კონვერტში.

3. კონვერტის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახული უნდა იყოს ავტორის მიერ შედგენილი ხუთნიშნა კოდი (შავი ფერის ციფრები - ზომით 5X10 მმ-ზე). აღნიშნული კოდი უნდა იყოს გამოსახული წარმოდგენილი პროექტის ყველა ფურცელზე ზემოთ მითითებული წესით.

4. ავტორის პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, ტელეფონი და მისამართი) წარმოდგენილი უნდა იყოს (A-4 ზომის) დალუქული კონვერტით, რომელზეც ასევე გამოსახული იქნება საავტორო ხუთნიშნა კოდი (ზემოთ მითითებული წესით).

5. წარმოდგენილ კონვერტებზე საავტორო ხუთნიშნა კოდის გარდა აღნიშნული უნდა იყოს - "საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელ და წინადადებათა შემმუშავებელ დროებით სახელმწიფო კომისიას" (შავი ფერის ნაბეჭდი შრიფტით კონვერტის მარცხენა ქვედა კუთხეში).

6. წარმოდგენილი სახელმწიფო გერბის პროექტები გაიხსნება 2004 წლის 28 აპრილს, კომისია 1 მაისამდე გამოავლენს კონკურსზე დასაშვებ პროექტებს.

7. კონკურსის ჩასატარებლად კომისია უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის ჟიურის დაკომპლექტებას.

8. 4 მაისს კომისია შერჩეულ პროექტებს გადასცემს ჟიურის საუკეთესოს გამოსავლენად. კომისიის მიერ ჟიურისათვის წარდგენილი დევიზის პროექტები საჯაროობისათვის ქვეყნდება პრესაში.

9. ჟიური გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე ერთი დღის განმავლობაში - 4 მაისს.

10. ჟიური რეკომენდაციას საუკეთესო დევიზის პროექტთან (პროექტებთან) დაკავშირებით გადასცემს "საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელ და წინადადებათა შემმუშავებელ დროებით სახელმწიფო კომისიას", რომელიც წარუდგენს დევიზის პროექტს (პროექტებს) საქართველოს პრეზიდენტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

**III. საქართველოს სახელმწიფო გერბისა და გერბის დევიზის პროექტის შესარჩევი კონკურსის დასკვნითი ეტაპი**

1. მიმდინარე წლის 20 მაისს კომისიის მიერ გათვალისწინებულია გამარჯვებული სახელმწიფო გერბისა და დევიზის პროექტების იდენტიფიცირება მის ავტორებთან, რის შემდეგაც გამარჯვებული პროექტები კომისიის სათანადო დასკვნით წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს.

2. გამარჯვებული დევიზის პროექტი აისახება გერბის საბოლოო ვარიანტში.

3. წარმოდგენილი პროექტი ავტორს არ უბრუნდება.

4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ სახელმწიფო გერბის კონკურსში გამარჯვებულ პროექტზე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საავტორო უფლება არ ვრცელდება.

# ქუთაისის "ავტოქარხნის" განადგურებაში ეჭვმიტანილი მაღალჩინოსნები პასუხისგებაში მიეცემიან

*დაახლოებით ერთი თვის წინ დაკავებულ, სააქციო საზოგადოება ქუთაისის "ავტოქარხნის" გენერალურ დირექტორს ამირან ნაცვლიშვილს პროკურატურა ქარხნის საწესდებო კაპიტალის 13 მილიონი ლარით შემცირებასა და სააქციო საზოგადოების კუთვნილი თანხების გაფლანგვა-მითვისებას ედავება. გამოძიება არ გამორიცხავს, რომ ნაცვლიშვილის დაპატიმრებას ქონების მართვისა და მრეწველობის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავებაც მოჰყვეს; მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია ვაჭრობისა და მრეწველობის დარგობრივი სამმართველოს უფროსის მიმართ, მას პროკურატურა სამსახურებრივ გულგრილობაში სდებს ბრალს.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

ამირან ნაცვლიშვილის წინააღმდეგ კონკრეტული ფაქტები კონტროლის პალატამ ჯერ კიდევ 2000 წელს მოიკვლია. ნაცვლიშვილი მაშინ შემოწმებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და, შესაბამისად, დაწერილი დასკვნაც არასრულყოფილი გამოვიდა. მიუხედავად ამისა, კონტროლის პალატამ მაინც მოახერხა რამდენიმე კონკრეტული სამართალდარღვევის დაფიქსირება. აღნიშნული ფაქტები თავის დროზე "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორმა გიგა შუშანიამ გაახმოვანა. **"მიუხედავად იმისა, რომ ქარხანას 9 წელია მოგება არ ჰქონია, მომუშავე პერსონალს კი ხელფასები თვეობით არ მიუღია, ამირან ნაცვლიშვილი გამორჩეულად კომფორტულად ცხოვრობდა. კერძოდ, მისმა შვილმა განათლება საზღვარგარეთ მიიღო. ნაცვლიშვილს მოსკოვსა და თბილისში გააჩნია საცხოვრებელი ბინები, ქარხნის წინ აქვს ბენზოგასამართი სადგური, ხოლო გელათის ტაძრის ჩრდილოეთით აშენებს ფეშენებელურ სახლს. საკუთარ სახლს შემოარტყა ავტოქარხანაში დამზადებული ძვირად ღირებული, 2-მეტრიანი ღობე, რომელიც განკუთვნილი იყო ქობულეთის ყოფილი პიონერთა ბანაკისათვის. მან შეიძინა "ვოლვოს" მარკის ორი ავტომანქანა და "გაზ-31". სერიოზული თანხები იწერებოდა მისი მივლინებებისა და კაბინეტის რემონტისათვის. პარალელურად, მიზანმიმართულად მიმდინარეობდა ავტოქარხანის გაჩანაგების პროცესი. ქარხნიდან სისტემატურად იყიდებოდა ჯართი, ალუმინი, სპილენძი, რომელიც ქარხნის მარაგს შეადგენდა და განკუთვნილი იყო საწარმოს შიდა მოხმარებისთვის. იმის ნაცვლად, რომ ქარხანას გამოეშვა ბაზარზე დიდი მოთხოვნილების მქონე პროდუქცია და ამ საქმიანობით მოგება მიეღო, მოხდა პირიქით - ნაცვლიშვილმა დაიწყო მომგებიან საწარმოთა გაჩერება. წლების განმავლობაში გვესმოდა, რომ ავტოქარხანა დასავლეთ საქართველოში იყო ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმო ცენტრი, რომელიც მზად იყო მანქანების გამოსაშვებად, მაგრამ აღმოჩნდა, უნიკალური დაზგები ირანსა და გერმანიაში ჩალის ფასად გაიყიდა,"** - აცხადებს გიგა შუშანია და ნაცვლიშვილის საეჭვო საქმიანობის დამადასტურებლად კონკრეტული ფაქტებიც მოჰყავს; მაგალითად, ავტოქარხნის ყოფილი თანამშრომელი იგორ წულაია 2 წლის წინ ირანის ქალაქ თავრიზში იმყოფებოდა, "ავტოქარხნიდან" გაყიდული უნიკალური ავტომანქანის ზამბარის დამხვევი დაზგის დასამონტაჟებლად. მან შუამავალი ფირმისგან შეიტყო, რომ დაზგის გაყიდვა ავტოქარხანაში ოფიციალურად გაფორმებული იყო 1000 ლარად, როცა მყიდველს 10 ათასი აშშ დოლარი გადაუხდია.

"ავტოქარხნის" ხემლძღვანელობა ქარხნის მიერ გამოშვებულ ძველ ავტომანქანებს ყიდულობდა, კაპიტალურ რემონტს უტარებდა, აახლებდა მათ და ყიდდა, როგორც ქარხნის მიერ გამოშვებულ პროდუქციას. მოხდა ისეც, რომ რუსული "გაზელის" მარკის ავტომანქანების შეძენა ძარის გარეშე დაიწყო და მათგან მიკროავტობუსები და საბარგო ავტომანქანები დაამზადეს. გიგა შუშანიას განმარტებით, მათი გასაყიდი ფასი ორჯერ სჭარბობდა რუსეთში დამზადებულს. **"როგორც ამ საქმეს, ასევე ჯიპების გამოშვებას ქარხნისათვის არავითარი მოგება არ მოუტანია. უფრო მეტიც, ჯიპები საწარმოში კი არ იწყობოდა, როგორც ამას თემურ შაშიაშვილი ამტკიცებდა, არამედ ქარხანაში მზა პროდუქციის სახით შემოდიოდა. ამასვე ადასტურებს საქართველოს კონტროლის პალატის დასკვნაც,"** - აცხადებს შუშანია, რომელიც თავის დროზე ავტოქარხნის აქციების ნულოვან აუქციონზე გაყიდვას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, თუმცა აღნიშნული აუქციონი მაინც შედგა და ქარხნის აქციათა საკონტროლო პაკეტი ამირან ნაცვლიშვილისა და ბონდო შალიკიანის ხელში აღმოჩნდა. მაშინდელმა გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა განგაში პოსტფაქტუმ ატეხა და განაცხადა, რომ ქარხანა ქურდებმა ჩაიგდეს ხელში (მას მხედველობაში ბონდო შალიკიანის მეგობარი ტარიელ ონიანი ჰყავდა). შაშიაშვილმა მაშინ აუქციონის შედეგების გასაუქმებლად ქუთაისის საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლის განხილვაც ჯერაც არ დასრულებულა. აუქციონზე სახელმწიფოს ხელში არსებული ავტოქარხნის აქციათა 78,6 პროცენტიდან გასაყიდად 30 პროცენტი გავიდა.



*ნაცვლიშვილის დაპატიმრებას, შესაძლოა, სხვა მაღალჩინოსნების დაპატიმრებაც მოჰყვეს.*

ქონების მართვის სამინისტროს ინფორმაციით, ავტოქარხნის აქციათა 30 პროცეტში სულ 240 ათასი ლარი გადაიხადეს. ყველაზე დიდი შენატანი ბონდო შალიკიანმა დააფიქსირა - 80 ათასი ლარი. შემდეგი იყო ამირან ნაცვლიშვილი - 46 ათას ლარი (აუქციონამდე მას ქარხნის აქციათა დაახლოებით 13 პროცენტი ეკუთვნოდა), ამირან ნაცვლიშვილის მეუღლემ რუსუდან ტოგონიძემ 20 ათასი ლარი გადაიხადა, ვინმე ერგემლიძემ - 30 ათასი ლარი, ფირმა "ვანო და კომპანია" - 5 ათასი ლარი. სავარაუდოდ, ერგემლიძე შალიაკინის "კაცი" უნდა იყოს, ხოლო ავტოქარხნის დირექტორები - ნაცვლიშვილის.

აუქციონის ჩატარებიდან დაახლოებით ერთ თვეში ამირან ნაცვლიშვილი გაიტაცეს. ამ გატაცებასთან დაკავშირებით ქუთაისში რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ერთი ვერსიით, ნაცვლიშვილი წილების განაწილების გამო გაიტაცეს და მისი აქციების წილობრივი გადანაწილება სხვა ქარხნის მოწილეების სასარგებლოდ მოსთხოვეს. მეორე ვერსია კი მხოლოდ ფულის გამოძალვის მცდელობას უკავშირდებოდა. სამართალდამცველები კულუარულ საუბრებში მიუთითებენ, რომ ოჯახის წევრებს გამტაცებლებთან შუამავლობას ბონდო შალიკიანი უწევდა. ამირან ნაცვლიშვილის სამდღიანი ტყვეობა 50 ათასი დოლარი დაჯდა. გამოსასყიდის გადაცემა გელათის მონასტრის მომდებარე ტერიტორიაზე მოხდა. გამტაცებელთა უმეტესობა ამჟამად დაკავებულია.

ნაცვლიშვილის გატაცების შემდეგ გამოძიებამ ქარხანაში კონტროლის პალატის რევიზორთა ჯგუფის შესვლის საკითხი დასვა. მიუხედავად იმისა, რომ კონტროლის პალატის თანამშრომლების ქარხანაში შესვლას ნაცვლიშვილი კვლავ კეტეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, შემოწმება მაინც ჩატარდა, რასაც, საბოლოო ჯამში, ქარხნის გენერალური დირექტორის ამირან ნაცლიშვილისა და აღმასრულებელი დირექტორის შიო ობოლაძის დაკავება მოჰყვა.

საქმე აღიძრა საწესდებო კაპიტალის 13 მილიონი ლარით შემცირების გამო. **"საწესდებო კაპიტალის შემცირება ქარხნის ძირითადი საშუალებების ჩამოწერისა და რეალიზაციის გზით ხდებოდა. დაზგა-დანადგარები აბსოლუტურად ტრაფარეტული მოტივით იწერებოდა, თითქოსდა ისინი გამოუყენებელი და ქარხნისათვის უვარგისი იყო. ამ მხრივაც ძალიან ბევრი დარღვევაა, რადგანაც დაზგების უმეტესობა ჩამოწერას არ ექვემდებარებოდა,"**- აცხადებს ქუთაისის პროკურორი გელა გოგლიჩიძე. გამოძიებით დადგენილია, რომ ჯართის რეალიზაციით ქარხანამ 4 მილიონ 500 ათასი ლარი მიიღო, საიდანაც თანხის ნახევარი, კანონით, ახალი ძირითადი საშუალებების შეძენას უნდა მოხმარებოდა. რეალურად კი, ამისათვის სულ 117 თასი ლარი დაიხარჯა, დანარჩენი თანხა საბიუჯეტო დავალიანებებისა და მუშა-მოსამსახურეების ხელფასის დასაფარავად გადაირიცხა.

ცალკე თემაა ნაცვლიშვილის მიერ შვილობილი საწამოების დაფუძნება. როდესაც ქარხანა იყოფა, მისი აქტივები და პასივები ყველა საწარმოზე პროპორციულად უნდა გადანაწილდეს. კონკრეტულ შემთხვევაში ასე არ მოხდა, რითაც შვილობილი საწარმოები პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

**"ქარხანაში დაახლოებით ცხრა შვილობილი საწარმოა შემნილი. ამ საწარმოებს სამი წლის განმავლობაში ერთი თეთრი მოგება არა აქვთ დაფიქსირებული. მაგალითად, შესაბამისმა დარგობრივმა სამინიტრომ ერთ-ერთ შვილობილ საწარმოს - "ავტოაგრეგატს" ავტოქარხნის ხარჯზე 11 მილიონის ძირითადი საშუალები გადასცა. "ავტოაგრეგატი" უკვე დამოუკიდებელი სუბიექტია და შეუძლია ეს საშუალებები გაყიდოს კიდეც. ასეც ხდებოდა: ქარხნის კაპიტალის შემცირება, ერთი საწარმოდან მეორეში გადატანა არამართებული და უკანონოა. ამას ჩვენ დავადასტურებთ. უკვე აღძრული გვაქვს სისხლის სამართლის საქმე ქონების მართვის სამინისტროსა და ვაჭრობის, მრეწველობისა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელ პირთა მიმართ, რომელთა ხელშეწყობითაც მოხდა შვილობილი საწარმოების დაარსება,"** - აცხადებენ პროკურატურაში.

ნაცვლიშვილის საქმეში იკვეთება კონკრეტულ მაღალჩინოსანთა დანაშაულებრივი საქმიანობაც. თუმცა, პროკურატურა, ჯერჯერობით, მხოლოდ ვაჭრობისა და მრეწველობის დარგობრივი სამმართველოს უფროსის მეიშვილის გვარს ასახელებს, რომელსაც ბრალი ედება ქარხნის აქციათა სახელმწიფო წილის შემცირებაში. პროკურატურაში განმარტავენ, რომ "ავტოქარხნის" სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბების პროცესში ქონებაში მარტო შენობა-ნაგებობები მოყვა, მასში არ შესულა მიწა, რომლიც მოგვიანებით სახელმწიფომ ოთხ მილიონ ლარად შეაფასა. აღნიშნული თანხა უნდა ასახულიყო სახელმწიფოს კუთვნილ აქციათა პაკეტზე; კერძოდ იგი, 78 პროცენტიდან 82 პროცენტამდე უნდა გაზრდილიყო. **"ნაცვლიშვილმა შესთავაზა სახელმწიფოს, რომ აღნიშნული მიწა პროპორციულად ეჩუქებინათ აქციონერებისთვის. ამ სხდომას სახელმწიფოს მხრიდან ვაჭრობისა და მრეწველობის დარგობრივი სამმართველოს უფროსი მეიშვილი ესწრებოდა. იგი დაეთანხმა ნაცვლიშვილის ამ წინადადებას და ამ ფორმით სახელმწიფომ რამდენიმე მილიონი ლარი კერძო პირებს აჩუქა. ამის გარდა, საქმეში უამრავი ეპიზოდია გამოსაძიებელი, ავტოქარხანაში არსებულ კანონდარღვევებზე უზარმაზარი მასალაა დაგროვილი, რომელსაც სერიოზული გამოძიება ესაჭიროება,"** -აცხადებს გოგლიჩიძე.

მეიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თანამდებობრივი გულგრილობის მუხლითაა აღძრული; ამირან ნაცვლიშვილს კი ბრალი ედება მინდობილი ქონების გაფლანგვა-მითვისებაში. პროკურატურაში აცხადებენ, რომ ნაცვლიშვილი აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის სანაცვლოდ თანახმაა, "ავტოქარხნის" აქციათა თავისი წილი (დაახლოებით 22 პროცენტი) სახელმწიფოს დაუბრუნოს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საკუთარი წილის სახელმწიფოსთვის დაბრუნებაზე თანახმაა ბონდო შალიკიანიც. ქუთაისის პროკურორის გელა გოგლიჩიძის განცხადებით, აღნიშნულ აქციათა ღირებულება 13 მილიონამდე ვერ აღწევს, ამიტომაც ნაცვლიშვილს მხოლოდ აქციების დაბრუნების სანაცვლოდ თავისუფლების მინიჭებაზე, ჯერჯერობით, უარს ეუბნებიან.

**"ამირან ნაცვლიშვილი 13 მილიონი ლარის გაფლანგვის გამო დააკავეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეები აღძრულია ეკონომიკის სამინისტროსა და ქონების მართვის სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელ პირებზეც და ძალიან მალე დადგება მათი პასუხისმგებლობის საკითხიც,"** - აცხადებს იმერეთის გუბერნატორი დავით მუმლაძე, თუმცა კონკრეტულ გვარებს, ჯერჯერობით, არც მხარის გუბერნატორი ასახელებს.

# "სეპარატისტები ისე ფანტაზიორობენ, როგორი ჭკუაც აქვთ"

სოხუმის ხელისუფლების უშიშროების სამსახური თბილისში მოქმედ აფხაზეთის უშიშროების სამსახურს აფხაზური უშიშროების მაღალი რანგის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადებაში ადანაშაულებს.

სეპარატისტთა უშიშროების სამსახურის უფროსის გივი აგრბას ინფორმაციით, აფხაზეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებმა დააკავეს მოქალაქე თემურ გოგოხია, რომელსაც თბილისში მოქმედმა აფხაზეთის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელებმა ჯერ აფხაზური სპეცსამსახურის თანამშრომლის ედუარდ ემიმზადეს, შემდეგ კი უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილის მიხეილ თარბას წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადება დაავალეს.

აგრბას მტკიცებითვე, დაკავებული გოგოხია ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე საქართველოს უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა გიორგი ბარამიამ, რომან შამათავამ და ზაზა კაკულიამ დააკავეს, რის შემდეგაც ის დევნილობაში მოქმედი აფხაზეთის უშიშროების სამსახურის უფროსს ლევან კიკნაძეს შეხვდა.

**"თუ დავალებას შეასრულებდა, ლევან კიკნაძე და მისი თანამშრომლები თემურ გოგოხიას მისი აფხაზეთში მცხოვრები დედისა და დის თბილისში გადაყვანასა და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას დაჰპირდნენ",** - აცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის უფროსი გივი აგრბა.

თავად ლევან კიკნაძე აფხაზური უშიშროების სამსახურის წარმომადგენელთა ბრალდებებს "აბსურდულს" უწოდებს.

**"ხან თბილისში და ხანაც აფხაზეთში მცხოვრები, გონებრივად შეზღუდული თემურ გოგოხია საკუთარი სურვილით გამოცხადდა უშიშროების სამსახურში და თავად სთავაზობდა სპეცსამსახურს აფხაზეთში დივერსიული საქმიანობის განხორციელებას. გივი აგრბა და მისი მოადგილე მიშა თარბა ისე ფანტაზიორობენ, როგორი ჭკუაც აქვთ",** - აცხადებს ლევან კიკნაძე. ის დარწმუნებულია, რომ თემურ გოგოხია თბილისში სწორედ აფხაზური სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებდა.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამართლებრივ ოლიმპიადაში გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოება გაიმართა. ოლიმპიადა საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაციის, აშშ-ის იურისტთა ასოციაციის და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა სისხლისა და სამოქალაქო სამართალში და სტუდენტური გუნდების მიერ იმიტირებული სასამართლო პროცესების გათამაშებას ითვალისწინებდა. ორ ტურად გამართულ ღონისძიებაში იურიდიული ფაკულტეტების 24-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, გამოვლინდა რვა გამარჯვებული გუნდი: ორი - საუკეთესო მოსამართლეების და ექვსი პროცესში მონაწილე მხარეთა (პირველი, მეორე, მესამე ადგილის მფლობელები) გუნდები. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, ადვოკატები და სამართლის ექსპერტები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა ღონისძიება "ხაფანგი-2004" ფარგლებში დააკავეს ორი ძებნილი საქართველოს მოქალაქე. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ რუსეთის ფედერაციის პრიმორკის მხარის ქალაქ ნახოდკაში დააკავეს ქურდობისთვის წალკის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 47 წლის ამველ აბგარიანი. ქალაქ მოსკოვში კი დააკავეს ზუგდიდის შს სამმართველოს მიერ ქურდობისთვის ძებნილი, 26 წლის თემურ ბიგვავა. მიმდინარეობს ღონისძიებები აღნიშნული პირების საქართველოში ექსტრადიციის მიზნით.

მიმდინარე წლის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ტერიტორიაზე საქართველოს შს ორგანოების მიერ ძებნილი 30-ზე მეტი პირი იქნა დაკავებული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ს/ს "თბილავიამშენმა" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჩუქრად ცხრა ავტომანქანა გადასცა. როგორც სააქციო საზოგადოების წევრები აცხადებენ, სამინისტროს გადაეცა ინგლისური წარმოების "ჯიპის" ტიპის ორი ავტომანქანა, ორი "ნივა" და ხუთი "უაზის" ტიპის ავტომობილი. ავტომანქანების გადაცემის ღონისძიებას შს მინისტრი გიორგი ბარამიძე, ს/ს "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა თორდია და "თბილავიამშენის" გენერალური დირექტორი ნოდარ ბერიძე დაესწრნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს ყაჩაღობისთვის ძებნილი, 29 წლის დავით ქუცნაშვილი, რომელიც 8 იანვარს დაკავებულ გოგიტა გულიშვილთან და მიმალვაში მყოფ ზურაბ ქაშაიასთან ერთად თავს დაესხა დუშეთში მცხოვრებ ციური წიკლაურის ოჯახს, საიდანაც დანების მუქარით გაიტაცეს ფული და ოქროულობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისელი გელა ხმელიძე პოლიციელებმა "ცხელ კვალზე" ავტომანქანის გატაცების ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, 11 აპრილს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციას მოქალაქე გიორგი ბედოიძემ მიმართა, რომელიც აცხადებდა, რომ თემქის დასახლებაში ავტომანქანა "ვაზ 2106" წაართვეს. პოლიცია გამტაცებელს დაედევნა და მისი დაკავება, საგზაო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, ნატახტრის საგუშაგოსთან მოახერხა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ხმელიძეს 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება. **მედია-ნიუსი**

# პანკისის ხეობის ტერორისტული წარსული საფრანგეთის პოლიციამ გაიხსენა

*პანკისის ხეობის ტერორისტული წარსული დასავლეთმა კიდევ ერთხელ გაიხსენა. "The Financial Times"-ის ინფორმაციით, რამდენიმე თვიანი გამოძიების შემდეგ საფრანგეთის პოლიციამ საბოლოო დასკვნა გააკეთა და განაცხადა, რომ რამდენიმე თვის წინ პარიზში აღმოჩენილი დაკავებული ტერორისტები მომზადების ჩეჩნეთსა და პანკისის ხეობაში არსებულ სამხედრო ბაზებზე გადიოდნენ.*

საფრანგეთის პოლიციის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ექვსი თვის წინ პარიზში აღმოაჩინეს ტერორისტთა ბაზა, სადაც ქიმიური იარაღი - რიცინი მზადდებოდა. იგი საფრანგეთში ტერაქტების მოსაწყობად უნდა გამოეყენებინათ. პოლიციამ დააკავა ხუთი ტერორისტი, რომლებისგანაც აღიარებითი ჩვენებები მიიღო. საფრანგეთის ხელისუფლების განცხადებით, დაკავებულთაგან ერთ-ერთმა ქიმიური იარაღის დამზადებისა და გამოყენების შემსწავლელი კურსი გაიარა საქართველოში, პანკისის ხეობაში არსებულ სამხედრო ბაზაზე, სადაც ჩეჩენი მებრძოლები აფარებდნენ თავს.

გაზეთ "The Financial Times"-ის ინფორმაციით, ანტიტერორისტული ოპერაციები რამდენიმე თვის წინ საფრანგეთსა და ინგლისში ერთდროულად ჩატარდა და სხვადასხვა დროს დაკავებულ ტერორისტთა ჩვენებები ერთმანეთს დაემთხვა. მათი განცხადებებით, ისინი დაკავშირებულნი იყვნენ ჩეჩენ და პაკისტანელ ბოევიკებთან. გარდა ამისა, გაზეთის ინფორმაციით, ბრიტანეთისა და საფრანგეთის სპეცსამსახურებმა მოიძიეს ოპერატიული ინფორმაცია, რომ რიცინის დამზადება დაიწყო პანკისის ხეობაში არსებულ ლაბორატორიაში და ამ ქიმიური იარაღის ექსპერიმენტი პირველად ჩეჩნეთში ჩატარდა.

ბრიტანული გაზეთის "Sunday Times"-ის ინფორმაციით, რომელიც გაზეთმა აშშ-ს სპეცსამსახურებისგან მიიღო, აბუ ჰაფსი ალ-ისლამ ელ-მაჰრი, "ალ ქაიდას" ბიოლოგიური კომიტეტის წევრი, მომწამვლელ ნივთიერებათა დამზადების საკითხში ექსპერტი, რომლის რეცეპტითა და მითითებებით მზადდებოდა მასობრივი განადგურებს ქიმიური იარაღი - ნივთიერება რიცინი, თვეების წინ დააკავეს და ის გუანტანამოს ბანაკში იმყოფებოდა.

ჩვენი მონაცემებით, აბუ ჰაფსი (იგივე ამჟეტი) წლების წინ პანკისის ხეობაში მართლაც იმყოფებოდა და არსებული საწვრთნელი ბაზის "ა სალამ"-ის 3-სართულიან ჰოსპიტალს მეთაურობდა.

სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ საფრანგეთსა და ინგლისში ჩატარებულ ანტიტერორისტულ სპეცოპერაციას გამოეხმაურა აშშ-ს სახელმწიფო მდივანიც. კოლინ პაუელმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე პანკისის ხეობას უწოდა ტერიტორია, სადაც საერთაშორისო ტერორისტები შხამებს ამზადებდნენ. კოლინ პაუელის განცხადებით, ერთ-ერთი მსხვილი ტერორისტული ორგანიზაცია "ანსარ-ალ-ისლამის" წევრი აბუ ჰაფსი, რომელიც კავშირი აქვს "ალ ქაიდასთან", დაკავშირებული იყო პანკისის ხეობაში მყოფ დაჯგუფებებთან, რომლებიც მომწამვლელ ნივთიერებებს ამზადებდნენ. სახელმწიფო მდივნის ინფორმაციით, აბუ ჰაფსი, რომელიც პანკისში იმალებოდა, დაკავებულია.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რიცინის დამამზადებლის - აბუ ჰაფსის დაკავების ოპერაცია, უშიშროების მაშინდელი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას გადაწყვეტილებით, აშშ-სა და საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლებმა პანკისის ხეობაში ერთობლივად ჩაატარეს. საქართველოს უშიშროების სამინისტრომ დაკავებული აბუ ჰაფსი ამერიკელ კოლეგებს გადასცა და იგი გუანტანამოს ბანაკში გადაიყვანეს.

*24 საათი*

ნესტან ნიჟარაძე
იუსტინა მიელნიკიევიჩი

რეპორტაჟი (ფოტო)კომენტარებით

# სერიიდან „ქალაქები": მარნეული







პირველი გვერდიდან

"დღეები ერთმანეთს ჰგავს. დილით გავიღვიძებთ და ჩაიხანაში მივდივართ. მერე ქუჩაში ვდგავართ, რომ ეგებ დღე გავიდეს. მერე დასაძინებლად მივდივართ. ისევ თენდება და ისევ დღე უნდა გავიყვანოთ. ეს რა ცხოვრებაა?!" და ისინი არ ტყუიან, ერთფეროვნება აქაურობის სავიზიტო ბარათია.

მარნეულის მოსახლეობის 85 პროცენტი აზერბაიჯანელები, 10 პროცენტი ქართველები, 5 კი სომხები, რუსები და ბერძნები არიან. აზერბაიჯანელები ამბობენ, მეგობარს თუ ეძებ, ქართველი უნდა ეძებოო. ამბობენ იმასაც, რომ აქ, მარნეულში, ანუ ქართულ მიწაზე ყველა ეროვნების წარმომადგენლები გვერდიგვერდ და მშვიდობიანად ცხოვრობენ.

ისევე, როგორც საქართველოს სხვა ნებისმიერ კუთხეს, მარნეულსაც, საერთო პრობლემების გარდა, რაიონის სპეციფიკიდან გამომდინარე თავისი საკუთარი პრობლემებიც აქვს. თუმცა, პრობლემებზე საუბარს აქ ბევრი არიდებს თავს. ხშირად არც იმას ამბობენ, რაც იციან. ეგებ იმიტომაც, რომ იმამ ალის ქადაგებას მიყვებიან. იგი კი ამბობდა: "რაც იცი, ყველაფერს ნუ იტყვი, ეს შენი უგუნურობის დასადასტურებლად იკმარებს"; ან ეგებ იმიტომ, რომ თქმით არაფერი შეიცვლება და ხანდახან თქმას ართქმა ჯობია. თუმცა ისინი, ვინც არც ისლამის ქადაგებას მიყვებიან მკაცრად და ართქმას თქმას ამჯობინებენ, ერთხმად ამბობენ, რომ რაიონის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა მოსახლეობაში სახელმწიფო ანუ ქართული ენის არ ცოდნაა. იმაზე საუბარი, რომ აზერბაიჯანელები (მათი ძალიან მცირე ნაწილი!) უარს ამბობენ ქართული ენის შესწავლაზე, პრობლემის მხოლოდ ერთი და ალბათ ყველაზე უმნიშვნელო ნაწილია. თუმცა, მოსახლეობის ერთი ნაწილი ქართულს არაპერსპექტიულ ენად აღიარებს. ბუნებრივია, დავინტერესდით, როგორ განისაზღვრება ენის არაპერსპექტიულობა რეგიონში და კონკრეტული პასუხიც მივიღეთ: "თავის რჩენა აქ მხოლოდ ვაჭრობით შეიძლება. ბავშვებიც კი სწავლას ვაჭრობას ამჯობინებენ. ვაჭრობა კი ძირითადად აზერბაიჯანთან და რუსეთთან არის დაკავშირებული. აბა რაში გამოვიყენოთ ქართულის ცოდნა?" - გვიბრუნებენ კითხვას მარნეულელები.

ამ არგუმენტების მიუხედავად, ქართული ენა მარნეულში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ჯერ კიდევ სახელმწიფო ენაა. თუმცა, ქართულად აქ ერთმანეთში მხოლოდ ქართველები საუბრობენ. სამაგიეროდ არსებობს საერთაშორისო ენა - რუსული და, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ენა - აზერბაიჯანული.

აზერბაიჯანულ მოსახლეობაში სახელმწიფო ენის არცოდნის საკითხი ათწლეულების მანძილზე დაგროვილი პრობლემების ლოგიკური შედეგია, რომელთაგან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვნად საშუალო სკოლებში ქართულის შესწავლის ძალიან დაბალი დონე, მეთოდიკის არარსებობა და პედაგოგთა არასაკმარისი პროფესიული მომზადებაა. პედაგოგები, რომლებიც ქართული ენის სპეციალისტები და იმავდროულად აზერბაიჯანული ენის მცოდნეებიც არიან, რეგიონში თითზე ჩამოსათვლელია. რამდენიმე წლის წინ დაწყებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მარნეულის რაიონის მოსახლეობისთვის ქართული ენის შესწავლას ისახავდა მიზნად, ფაქტობრივად, კრახით დასრულდა. ქვეყნის კონსტიტუცია კი საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის შესასწავლად ყველა პირობის შექმნას გულისხმობს. თუმცა, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურები მოიცლიან ამ პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელი გზების მოსაძიებლად, ადგილობრივი და რაც მთავარია, კერძო სტრუქტურები პირველ ნაბიჯებს ამ მიმართულებით უკვე დგამენ - ქართული ენის ინტენსიური შესწავლის კურსები გაიხსნა ისლამის შემსწავლელ ტრადიციულ რელიგიურ სკოლაში მედრესი(!) და 2003 წლის სექტემბრიდან ორგანიზაცია Mercy Corps ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელიც კომპიუტერული ტექნიკისა და ქართული ენის შესწავლას მოიცავს. ქართული ენის გავრცელების ვალდებულება რეგიონში მხოლოდ ისლამის რელიგიურმა სკოლამ და ისევ და ისევ საერთაშორისო ორგანიზაციებმა იკისრეს. "სახელმწიფო ენის არცოდნა მრავალ ძალიან მწვავე პრობლემას ქმნის", - ამბობს ჩვენთან საუბარში ორგანიზაცია "ხიდის" ხალმძღვანელი რამინ ბაირამოვი, - "მოსახლეობა გარკვეულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება. მათთვის მისაწვდომი მხოლოდ აზერბაიჯანის ტელევიზიის არხები და პრესაა. შესაბამისად, ისინი მეტ ინფორმაციას არა საქართველოში, არამედ აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენების შესახებ ფლობენ. რეგიონი თითქოს იზოლირებულია დანარჩენი საქართველოსგან". რამინ ბაირამოვის განმარტებით, ისევ და ისევ სახელმწიფო ენის არცოდნას უკავშირდება ისეთი პრობლემები, როგორიცაა ინტეგრაცია, სამოქალაქო უფლებების არცოდნა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აზერბაიჯანელი მოსახლეობის მონაწილეობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი და მრავალი სხვა. რომ არაფერი ვთქვათ იმ ფენომენზე, რომ ამ ბოლო დროს საქართველოში გახშირებული არჩევნების ფონზე, რეგიონის ამომრჩეველი ელემენტარულ ინფორმაციასაც კი არ ფლობს პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე და კანდიდატებზე. "აქ არავინ იცის, რეალურად რაში მდგომარეობს, მაგალითად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემა", - განმარტავს რამინ ბაირამოვი, - "არავინ არის მიმდინარე მოვლენების კურსში. ერთადერთი, რაც უკვე ახლა იციან, ის არის, რომ ქვეყნის პრეზიდენტი შევარდნაძე აღარ არის. ამიტომ რეგიონში ძალიან ადვილია ნებისმიერი სახის აგიტაციის ჩატარება და მისი შედეგების სხვადასხვა მიზნით გამოყენება". შესაბამისად, მარნეულის რაიონში არჩევნების დემოკრატიულობაზე ლაპარაკი გროტესკულადაც კი ჟღერს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მარნეულის მოსახლეობისთვის არჩევნებზე ბევრად უფრო მწვავედ ყოველდღიური ყოფის საკითხი დგას: ისევე არ არის სამუშაო, როგორც ყველგან; როგორც ყველგან, ხელფასი დასაშვებ მინიმალურ ზღვარზე უფრო დაბალია, პენსიები იგვიანებს და თან სულ 14 ლარია. ახალგაზრდები ტოვებენ რეგიონს და უკეთესი მომავლის ძიებაში რუსეთისკენ და აზერბაიჯანისკენ მიემართებიან. მათ შორის ყველაზე დიდ ნაწილს ისინი შეადგენენ, ვინც უმაღლესი განათლება მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის მოსახლეობის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ უმაღლესი განათლება მიიღოს (სწავლა ფასიანია), მარნეულში რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ფილიალი არსებობს. მათ შორის არის სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტების, აგრარული და საგადასახადო აკადემიების და სხვა ფილიალები. მარნეულში სასწავლებლად არა მხოლოდ რაიონის სოფლებიდან, არამედ თბილისიდნ და აზერბაიჯანიდანაც კი ჩამოდიან სტუდენტები - თბილისთან შედარებით სწავლა იაფია, აზერბაიჯანიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის კი მარნეული გაცილებით უფრო ახლოა, ვიდრე ბაქო.

ძირითადი პრობლემები მათთვის, ვინც უმაღლეს განათლებას იღებს, სწავლის დასრულების შემდეგ იწყება. ბუნებრივია, არც უშუალოდ მარნეულში და მით უმეტეს, არც რაიონის სოფლებში არ არსებობს იმდენი სამუშაო ადგილი, რომ ყველა თუ არა ერთი პატარა ნაწილი მაინც დააკმაყოფილოს. უმართლებს მხოლოდ იმ ერთეულ სტუდენტებს, ვინც მიღებული განათლების გარდა სამუშაო ადგილის ყიდვის ფინანსურ საშუალებასაც ფლობს. ამაზე სტუდენტები ჩვენთან საუბარში ფრთხილად, მაგრამ მაინც საუბრობენ: "სასამართლოში მოსამართლის ადგილის ყიდვა 10-15 ათასი დოლარი ღირს. ყველას არ აქვს იმის საშუალება, რომ ეს თანხა გადაიხადოს. მშობლები სწავლის ფულს, წელიწადში 400 დოლარს ძლივს გვიხდიან", - ამბობენ ისინი, - "აბა რა პერსპექტივა გვაქვს? ისევ ჩაიხანაში მოგვიწევს დაჯდომა და დღეების ნარდის თამაშში გატარება".

ჩაიხანა კი აღმოსავლური ტრადიციის თანახმად, ნებისმიერი ასაკის მამაკაცის თავშესაქცევი ადგილია. ამ ტრადიციას არც მარნეული ღალატობს. სხვა უფრო მნიშვნელოვანი ცვლილება თუ არ მოიტანა გაზაფხულმა, აქაურ მამაკაცებს პირველი სითბო იმითაც ახარებთ, რომ ჩაიხანები ტერასებზე, პირდაპირ მზის გულზე იშლება. ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ რაიონში არც კინო, არც თეატრი, არც კულტურის სახლი და არც სპორტული დარბაზები აღარ ფუნქციონირებს, ჩაიხანა არა მხოლოდ გარკვეულ ასაკს მიღწეული მამაკაცებისთვის, არამედ ახალგაზრდების უდიდესი ნაწილისთვისაც, ტრადიციული რიტუალის ერთგულებასთან ერთად, თავის შექცევის ერთადერთი რეალური საშუალებაც არის. ამ პრივილეგიით, ბუნებრივია, ისევ და ისევ ტრადიციებიდან გამომდინარე, ქალები ვერ სარგებლობენ. ამიტომ, თუკი თავის შექცევაზე და დროის სასიამოვნოდ თუ არა, უბრალოდ გაყვანაზე ვსაუბრობთ, მათ ამის შესაძლებლობას მხოლოდ ოჯახის საქმე, შვილების გაჩენა და შემდგომ მათი აღზრდა აძლევს. მრავალშვილიანი მუსულმანური ოჯახის ტრადიციამაც კი მარნეულის რეალობაში ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადა. ამჟამად ოჯახში 4-5 ბავშვი თუ იბადება, მაშინ, როდესაც წინა თაობების წარმომადგენლებისთვის საშუალო მაჩვენებელი ოჯახში 8-10 ბავშვი იყო. მარნეულის სამშობიარო უკვე რამდენიმე წელია, აღარ ფუნქციონირებს. მისი დახურვის მიზეზად თავად მარნეულელები თავიანთ მძიმე მატერიალურ მდგომარეობას ასახელებენ - ქალები ბოლო წლების განმავლობაში სახლში მშობიარობენ. მანამდე კი უკვე 13 წლის ასაკში თხოვდებიან და მშობლების სახლში შესწავლილი ოჯახის საქმის კარგად ცოდნის ხარჯზე, საკუთარ ოჯახებს უძღვებიან ჯერ კიდევ მოზარდის ასაკში, აჩენენ შვილებს და წარბების ეპილაციის უფლებასაც იღებენ (ეს მხოლოდ დაოჯახებული ქალის პრეროგატივაა!).

ქორწილების სეზონი კი მარნეულში, ძირითადად, შემოდგომაზეა. ქორწილი იმართება ყოველ დღე ორშაბათისა და სამშაბათის გარდა და ორი დღე გრძელდება. პირველ დღეს პატარძალი წითელი კაბით იმოსება და ხელებს, ფეხებს და თმას ხნით იღებავს; ხელზე ისევ და ისევ ხნით მომავალი მეუღლის ინიციალებს იწერს. ხნას, როგორც ამბობენ, სიხარული და ბედნიერება მოაქვს. მეორე დღეს კი ხონჩით (ტკბილეული და წითელი ვაშლები) დატვირთული სიძე პატარძლის ოჯახში მიდის. პატარძალი ამ დროს მეგობართან იმყოფება, სადაც მას უკვე თეთრ კაბას აცმევენ. სიძე მიდის მეგობრის სახლში და უკვე იქიდან მიყავს თავისი საცოლე მეჩეთში. მეჩეთში პატარძალს ფატას ახდიან, რაც იმის ნიშანია, რომ იგი კანონიერი ცოლი გახდა.

დიდი თუ პატარა, ქალი თუ მამაკაცი, მარნეულში ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ქორწილები მათთვის ერთადერთი სასიამოვნო გასართობი და შეხვედრის ადგილია. "დიდება ალახს", - ამბობენ ისინი, - "რომ ქორწილები კიდევ იმართება, თორემ სულ მოვიწყენდით".

ქორწილებით თუ უქორწილოდ, მათი რეალობა მართლაც მოსაწყენი, მძიმე და ერთფეროვანია - სამწუხაროდ!




















www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# ქართველი ბიზნესმენები მზად არიან მინისტრებს ხელფასი გადაუხადონ

მაია ჭალაგანიძე

*ლუდის სეზონის წინ "ყაზბეგის" ბრენდი სხვა კომპანიებმაც მოისურვეს. წელს კომპანიას 10 წელი უსრულდება. როგორც ჩვენი დღევანდელი სტუმარი გოგი თოფაძე ამბობს, ივნისში, იუბილარს შესაფერის დაბადების დღეს გადაუხდიან (ალბათ, ლუდით არ ადღეგრძელებენ). თუმცა, ბატონი გოგი დიდი ხანია, რაც მხოლოდ ბიზნესმენი აღარ არის. ბიზნესი და პოლიტიკა ერთმანეთისგან ცალ-ცალკე ვერ იარსებებს. ასე იყო წინა ხელისუფლების დროსაც და ზოგჯერ ბიზნესიც ისეთივე საეჭვო ხერხებით ვითარდებოდა, როგორი პოლიტიკაც იყო ქვეყანაში. კომპანია "ყაზბეგის" ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ მათი ბიზნესი სულაც არ განვითარებულა წინა ხელისუფლების საეჭვო მეთოდიკით და სწორედ ამიტომ ჩამოყალიბდნენ ოპოზიციად. "მრეწველები" და "ახლები" ახალ პარლამენტში ოპოზიციური დასახელებით შესული ერთადერთი პოლიტიკური გაერთიანება გახლავთ. მართლა საინტერესოა, როგორ უნდა ჩაუდგეს მსხვილი ბიზნესი ოპოზიციაში მთავრობას, მაშინ, როდესაც ბიზნესი და პოლიტიკა პარალელურად უნდა ვითარდებოდეს, როდესაც ბიზნესმენის მხარდაჭერას პოლიტიკური ძალისთვის აქვს სერიოზული მნიშვნელობა და პირიქით.*


გოჩიტა ბახსაძის ფოტო

*გოგი თოფაძე „24 საათის" რედაქციაში.*

საგადასახადო კლიმატი უნდა შეიცვალოს. ჩამოყალიბდეს ეკონომიკური სტრატეგია და პრიორიტეტულად უნდა გამოცხადდეს დარგები, რომელიც მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით შეიძლება განვითარდეს. ამას თავადვე, სოროსისა და სავალუტო ფონდის გარეშეც ავაღორძინებთ.

ჩვენ შევთანხმდით. ჩვენი პოზიცია ყველა დარგში პროქართული ორიენტაციაა. მათ ამერიკისკენ ჰქონდათ გადახრები და უკვე სამი წელია, ამაზე ვერ ვთანხმდებით. დღეს "ახლები" მთლიანად ეროვნულ პოზიციაზე დგანან.

თქვენი გაზეთის საშუალებით კარგი განცხადება მინდა გავაკეთო - ქართველი ბიზნესმენები მზად ვართ, ჩვენს თავზე ავიღოთ მინისტრების ხარჯები, ჩვენ გადავუხდით მათ ხელფასს.

"აღორძინება" და "ლეიბორისტები" ჩვენს ოფისში მოვიდნენ. იმ დღეებში ძალიან გამწარებული ვიყავი, ისეთი სიუჟეტი გავიდა, რაც არ გვეკადრებოდა. უცებ, ერთიც და მეორეც გვერდით მომიჯდა... მე ჩემი გამოვხატე და მათთან არავითარი კონტაქტი არ მქონია.

- გახმაურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ყაზბეგი" იყიდება, პრესის მიერ წინასაარჩევნოდ აგორებული შავი პიარი იყო. საქართველოში, "ყაზბეგის" სისტემაში 5 000 კაცია დასაქმებული. ამდენი ადამიანი რომ გაიგებს, ხვალ უმუშევარი რჩება, შეიძლება აზრი შეიცვალოს. ეს იყო ამ პიარის მთელი ლაიტმოტივი.

**- ვისგან მოდიოდა?**

- მარტივად ავხსნი. ამ ბოლო დროს "ყაზბეგს" დიდი მიღწევები ჰქონდა. არც ერთი დიდი საერთაშორისო კონკურსიდან უმაღლესი პრიზის გარეშე არ ჩამოვსულვართ. ბუნებრივია, ამ კონკურსებზე სხვა ცნობილი ფირმებიც იყვნენ და დაინტერესდნენ ჩვენი კომპანიით. შეიძლება, არამხოლოდ ფრანგებისგან, არამედ სხვებისგანაც გვაქვს შემოთავაზებები. მას შემდეგ, რაც სასამართლო პროცესები მოვუგეთ, "კასტელთან" ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. ძველი ხელისუფლების ზეწოლის გადალახვა შევძელით და ნორმალური ბიზნესურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ისინი ხედავენ, რომ ჩვენს ბრენდს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის ბაზარზეც სერიოზული წარმატებები აქვს და რამდენიმე სახეობის ჩამოსხმის ლიცენზია გვთხოვეს. ეს ნორმალური ბიზნეს წინადადებაა. ჩვენც შევაფასეთ ჩვენი აქტივები. ისინი ფიქრობენ.

**- ეძვირათ?**

- ეძვირათ, მაგრამ საკუთარი თავის ფასი ვიცით. თუ გაიზიარებენ ჩვენს პოზიციებს, შეიძლება, მივცეთ უფლება. ჩვენთან ამ წინადადებით სხვა კომპანიებიც მოდიან - ორი სკანდინავიური ფირმაა; არ გამოვრიცხავ, რომ "ბალტიკამაც" იგივე შემოგვთავაზოს.

**- ბაკურიანში შორს მიმავალი გეგმები გაქვთ. ცოტა დაწვრილებით, თუ შეიძლება.**

- დიდი ხანია, ამ თემით ვარ დაინტერესებული. თუ მსოფლიოში ვინმე ცნობილი ექსპერტი არსებობს, ყველა ჩამოყვანილი მყავდა. ბევრი დაინტერესდა, რეალური პერსპექტივა დაინახა, მაგრამ არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო აქამდე თავს იკავებდა. 1999 წელს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ძვირი ექსპერტი - FIS-ის წამყვანი შვეიცარიელი ექსპერტი ბერნარ რუსი ჩამოვიყვანე. საკითხი FIS-ის სპონსორებისა და მენეჯერების სხდომაზე განიხილეს და დაასკვნეს, რომ ევროპასთან ახლომდებარე ასეთი კომპლექსი სხვა არ არსებობს.

საქმე ის არის, რომ სათხილამურო ტრასები ევროპაში დეფიციტი გახდა, ყველა ათვისებულია. ეს ძალზე მომგებიანი საქმეა, მსურველი კი ბევრია. ევროპელები თავის არეალში ველარ ეტევიან - ზოგი ჩილეში, კანადასა და ალიასკაზე მიდის და იქ სრიალებს. არა მარტო ბაკურიანი, თრიალეთიც ძალზე საინტერესო ყოფილა. სვანეთში კი უნიკალური ადგილებია. საქმე ის არის, რომ დღეს მაღალი კლასის სპორტსმენს, მწვერვალებს რომ მიაღწიოს, 9-10 თვიანი ვარჯიში ესაჭიროება. სპორტსმენი კი ზღვის დონიდან 2 500 მეტრზე მაღლა, კლიმატის გამო, ველარ ვარჯიშობს. სვანეთი არის ის უნიკალური ადგილი, სადაც ვარჯიში მთელი წლის მანძილზე შეიძლება და თანაც 1 900 მეტრზე. დარწმუნებული ვარ, ბაკურიანში პირველივე კომპლექსის ამუშავებისთანავე ეს თემა დღის წესრიგში დადგება და ევროპელები სიამოვნებით წამოვლენ.

**- ქართველი ბიზნესმენები არ გამოგხმაურებიან?**

- ამ შეკითხვას სტანდარტულად ვპასუხობ - ქართველი ბიზნესმენები ნამდვილად დაინტერესდებიან, თუმცა, ჯერ კონკრეტულად არავის არაფერი უთქვამს. როდესაც პროექტი საბოლოო სახეს მიიღებს, ამ საქმეში ბევრი ჩაერთვება. რეალური გათვლები რომ მექნება, პარტნიორების დაპატიჟებაც შემეძლება.

**- "ყაზბეგი" უფრო დიდი ხნის არის, თუ თქვენი პოლიტიკაში ყოფნის სტაჟი?**

- "ყაზბეგი" უფრო ხანდაზმულია.

**- დღეს მოღვაწე მსხვილ ბიზნესმენთა უმრავლესობამ კაპიტალი მაშინ დააგროვა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში იყო მხოლოდ ომები, არეულობა, ინფლაცია, კუპონი. თქვენც, დაახლოებით, იმ პერიოდში იწყებდით...**

- არც ერთი კუპონი სესხი არ აგვიღია, არც უცხოური გრანტები და კრედიტები გამოგვიყენებია. ასე რომ ყოფილიყო, წინა ხელისუფლება ამას არ გვაპატიებდა. გახსოვთ, ალბათ, როგორი ზეწოლა იყო ჩვენზე.

ეს კომპანია 1890 წელს აშენებული ქარხნის ბაზაზე აშენდა. ადრე "თბილლუდის" გენერალური დირექტორი ვიყავი და ყოფილი თბილისის მეორე ქარხანა, რომელიც მაშინ მთლიანად გაპარტახებული იყო, ჩვენთან შემოდიოდა. ჩემმა ძველმა კოლეგებმა და თანამშრომლებმა ეს ქარხანა აუქციონზე ვიყიდეთ. იმ პერიოდში მაღალი ფასი გადავიხადეთ და მისი აღორძინება დავიწყეთ.

სხვათა შორის, დღეს ყაზბეგს 27 მეპატრონე ჰყავს. ბევრმა ბინა, მანქანა, სამკაული გაყიდა და თანხა ისე შემოიტანა.

**- შევარდნაძესაც უყვარდა იმის შეხსენება, რომ თავის დროზე ის ძალიან დაგეხმარათ.**

- სულ ამბობდა, რომ საქართველოში უცხოელი ინვესტორების შემოსვლა მხოლოდ მისი დამსახურება იყო. 7 მილიონი დაყაჩეო, რომ მაბრალებდა, ეგ არის დახმარება?

ლუდის იმპორტი ისეთივე მომგებიანი ბიზნესია, როგორიც თამბაქოს ან ნავთობის შემოტანა. 1995 წელს, როდესაც "ყაზბეგი" ჩვენს ბაზარზე გამოვიდა, საქართველოში რამდენიმე უცხოური კომპანია იყო წარმოდგენილი და ბოთლი 3 და 4 დოლარი ღირდა. "ყაზბეგი" ბაზარზე 45 ცენტით და მაღალი ხარისხის ლუდით გამოვიდა. ამან სერიოზული დისონანსი შეიტანა ლუდის იმპორტში. ბევრი კომპანია ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან იყო დაკავშირებული და მათ ბიზნესს ხელი შეეშალა. სერიოზული ზეწოლა იყო ჩვენზე, თანხებიც კი შემოგვთავაზეს. დაიწყო ოფიციალური და აგრესიული შემოწმებები - საგადასახადო პოლიცია შემოვარდა, დამაპატიმრეს და წარმოების გაჩერება მომთხოვეს.

**- ამ ზეწოლის გამო პოლიტიკაში წასვლა და საკუთარი კომპანიის ამ გზით დაცვა გადაწყვიტეთ?**

- ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. 1997-1998 წელს ან საქართველოდან უნდა წავსულიყავით და წარმოება დაგვეხურა, ან თავი უნდა დაგვეცვა. მაშინ გადავწყვიტეთ პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და თავის დაცვა. ამ დღეში მარტო ჩვენ არ ვიყავით, მეპურეებიც ძალიან დაჩაგრულები იყვნენ.

"ყაზბეგს" არასდროს არავის ვალი არ აუღია. ჩვენ დიდი ტემპებით ვიზრდებოდით და ლუდის იმპორტს სერიოზული საფრთხე შევუქმენით.

**- პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა, არა?**

- პოლიტიკაში რომ მივედით, უკვე გადარჩენილები ვიყავით, სასამართლოები მოგებული გვქონდა.

**- დღეს მოღვაწე არც ერთ ბიზნესმენს, განსაკუთრებით მსხვილს, სახელმწიფოსთან დაპირისპირება ხელს არ უნდა აძლევდეს. თქვენ და "ახლები" კი ლამის ერთადერთ ოპოზიციად მოგვევლინეთ პარლამენტში - როგორ ახსნით ამ დისონანსს?**

- წინა ხელისუფლების დროს ოპოზიციაში ნამდვილად ვიყავით და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს პირად ბიზნესს ექმნებოდა საფრთხე. შექმნილი ეკონომიკური კლიმატი ჩვენთვის მიუღებელი იყო და ახლაც ამ პოზიციებზე ვართ.

სქემა ასეთი იყო - უცხოელი ინვესტორი ელაპარაკებოდა არა პარტნიორს, არამედ ზემდგომს სახელმწიფო სტრუქტურაში. კორუფციამ ანტიეროვნული მასშტაბები შეიძინა. შემოვიდა ოქროს უცხოელი მწარმოებელი, და ჩვენ რა დაგვრჩა აქედან?

**- მამალაძის ზოდები.**

- ეგ არის შედეგი? ჭიათურა რატომ არის გაჩერებული? ბაზარზე ნედლეულზე ხომ დიდი მოთხოვნაა?! "საგა პრინტი" პოლიგრაფიული კომპანიაა. ერთი ციცქნა ოთახი ჰქონდეთ პრაღაში... ეს ხომ გამოგონილი იყო - ეტიკეტების მბეჭდავი ფირმა ჭიათურის პრობლემას მოერეოდა? რომ არა კორუფციული სქემა, დივიდენდებს სახელმწიფო მიიღებდა.

**- დავუბრუნდეთ თქვენს ოპოზიციონერობას.**

- საბაჟოზე განუკითხაობას ვხედავდით, ქართველი მეწარმისთვის კაბალური გადასახადები იყო დაწესებული და იმპორტირებულ საქონელს კონკურენციას ველარ უწევდა, ამის შემხედვარე ვიყავით ოპოზიციაში.

**- დღეს თქვენს პოლიტიკურ გაერთიანებას რა ადგილს მიუჩენდით?**

- არაერთხელ მქონდა საუბარი ბატონ მიხეილ სააკაშვილთან და მიხარია, რომ მან რადიკალური ცვლილებების სურვილი გამოთქვა. ის ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებას გვპირდება. არსებულის გადაკეთებაც კი არ შეიძლება, სწორედ ის კოდექსი იყო კორუფციის მიზეზი საქართველოში. სრულიად ახალი კოდექსია შესაქმნელი.

**- რამდენად არიან დაინტერესებული დიდი კომპანიები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით, საგადასახადო კოდექსის გამარტივება ხომ ძირითადად, მათთვის არის აუცილებელი?**

- რა თქმა უნდა, დაინტერესებულნი ვართ, რადგან ამით ქვეყანას ეშველება. ჩვენს ქვეყანას ამდენი წლის მანძილზე ეკონომიკური სტრატეგია არ შეუმუშავებია. უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკური კონცეფცია და მომავლის პრიორიტეტები.

**- არა მგონია, ხელისუფლებას ეს ყველაფერი არ სურდეს. სად ხართ ოპოზიციაში?**

- ამ დარგში - საგადასახადო კლიმატი უნდა შეიცვალოს. ჩამოყალიბდეს ეკონომიკური სტრატეგია და პრიორიტეტულად უნდა გამოცხადდეს დარგები, რომელიც მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით შეიძლება განვითარდეს. ამას თავადვე, სოროსისა და სავალუტო ფონდის გარეშეც ავაღორძინებთ.

**- დიახ, ცნობილია, რომ არ გიყვართ ეს საერთაშორისო ორგანიზაციები. თქვენი პარტნიორები უფრო პროდასავლურნი არიან და არასდროს არ ყოფილან დონორების წინააღმდეგნი. რა გაქვთ საერთო "ახლებთან"?**

- ჩვენ დიდი ხანია ბევრი საერთო გვაქვს - ვართ ბიზნესმენები, ვმეგობრობთ. წლების მანძილზე განხეთქილების ერთადერთი მიზეზი იყო ის, რომ ამ ფონდების დახმარების წინააღმდეგი ვიყავი.

**- რატომ?**

- შედეგის გამო.

**- ქვეყანაში არსებული კორუფციის გამო თავად დონორები ვერ ხედავდნენ გაწეული დახმარების სიკეთეს, თქვენც კორუფციას არ უჩივით?**

- ფონდს უნდა გაეკონტროლებინა გაცემული თანხები.

**- სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა რამდენჯერმე მკაცრი მორატორიუმი გამოაქვეყნა და დახმარებები ხან შეამცირა და ხან შეაჩერა. ახალ ხელისუფლებას როგორი პოლიტიკა ექნება, რა ნიშნებს ხედავთ?**

- ბატონ მიხეილთან ვისაუბრე და იმედი მაქვს, მას ესმის, რომ საქართველომ დამოუკიდებელი ეკონომიკური, სოციალური, საკადრო და სხვა პოლიტიკა უნდა გაატაროს. ამას ალტერნატივა არ აქვს.

**- უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა რომელი რეგიონიდან წამოიღეთ?**

- ადგილობრივ ხელისუფლებაზე ძლიერი ზეწოლა იყო. ძალიან ბევრ რეგიონში პირდაპირ იყო მითითებული, რომ 7 პროცენტი არ უნდა გადაგველახა. ხმების ყველაზე მაღალი პროცენტი იმერეთში, გურიაში, კახეთში მივიღეთ.

**- რატომ ეს რეგიონები?**

- რეგიონებში ორივე პარტიას სტაბილური სტრუქტურები გვქონდა. ამის შენარჩუნება მხოლოდ ჩვენ მოვახერხეთ. თუმცა, ჩვენს აქტიურობას ბევრი შეეწირა, ბევრი გაათავისუფლეს, ბიზნესი შეავიწროვეს. რაიონში ჩვენი მხარდამჭერები, ძირითადად, ის ხალხია, ვისაც ბიზნესი აქვს. მათზე ზეწოლა კი ადვილია.

ყვარელში ჩვენი პარტიის ლიდერი თამაზ კონჭოშვილია - მეწარმე, მებრძოლი კაცი, რომელიც სულ მთავრობის ოპოზიციაში იყო. არჩევნებამდე სამი დღით ადრე მივიდა პროკურატურა, განცხადება გააკეთებინეს, ხელისუფლებას ვუჭერ მხარსო. შაბათ დილით ოფისში დაგვირეკა და მოიბოდიშა. იგივე მოხდა აგარის შაქრის კომბინატშიც. არჩევნების წინ პროკურატურა მუქარით შევიდა...

**- და აგარის ქარხნის ხელმძღვანელმაც ტელეფონით მოგიბოდიშათ?**

- არა. ბოლომდე იბრძოდა, მას სტიმული ჰქონდა, სიაში მეცამეტე იყო.

წინა ხელისუფლების მოცილებაში წამყვანი ფიგურა მიხეილ სააკაშვილი იყო. ხალხი მას ძალიან ენდობა, ამიტომ პარტიები, ვისაც სტრუქტურები არ ჰქონდა, პარლამენტში ვერ მოხვდა. რასაც ბატონი მიხეილი ხალხს ჰპირდება, უნდა გამართლდეს.

**- რომ არა "ახლები", 22 ნოემბრის პარლამენტის სხდომა ვერ შედგებოდა. მათ ამის გამო მხარდამჭერები და საკუთარი რეპუტაცია დაკარგეს. რამდენად მომგებიანი იყო მრეწველებისთვის "ახლებთან" გაერთიანება?**

- დამოუკიდებლად საარჩევნო ბარიერს ვერც ერთი ვერ გადავლახავდით. არჩევნების რეჟიმში ცხოვრება რთულია, ჩვენ ხომ სხვა საქმეც გვაქვს, ბიზნესმენები ვართ. არჩევნები ჩვენთვის სერიოზული ფინანსური დატვირთვაც არის.

**- ამიტომ, მათ რეპუტაციაზე თვალი დახუჭეთ?**

- ჩვენ შევთანხმდით. ჩვენი პოზიცია ყველა დარგში პროქართული ორიენტაციაა. მათ ამერიკისკენ ჰქონდათ გადახრები და უკვე სამი წელია, ამაზე ვერ ვთანხმდებით. დღეს "ახლები" მთლიანად ეროვნულ პოზიციაზე დგანან. არც ამერიკელებს და არც რუსებს არ ვლანძღავ, მაგრამ... რაღა დაგიმალოთ და არ მომწონს, სოროსი რომ აფინანსებს ჩვენს მთავრობას... თქვენი გაზეთის საშუალებით კარგი განცხადება მინდა გავაკეთო - ქართველი ბიზნესმენები მზად ვართ, ჩვენს თავზე ავიღოთ მინისტრების ხარჯები, ჩვენ გადავუხდით მათ ხელფასს.

**- და სანაცვლოდ არაფერს მოითხოვთ?**

- სანაცვლოდ არაფერი მინდა. იმისთვის, რომ საქართველოს ინტერესებს ემსახურონ, ჩვენ გადავუხდით ხელფასს.

**- შეიძლებოდა ინტერვიუს აქ დამთავრება, რომ არ იყოს კიდევ ერთი შეკითხვა თქვენს ბოიკოტზე ჩვენი კომპანიისადმი. რა იყო ამის რეალური მიზეზი?**

- მე და ეროსის დიდი ხანია, მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს. იყო შეთანხმება, რომ "რუსთავი 2" წინასაარჩევნო კამპანიისას ჩვენს შეხვედრებს გააშუქებდა. ეს არ მოხერხდა.

შედეგობრივად ყველა ვეთანხმებით იმას, რაც მოხდა და თქვენს გარეშე, შეიძლება, არც მომხდარიყო. ჩვენ ვიჩაგრებოდით, მეტ მხარდაჭერას ველოდით... ბოიკოტიც ამან გამოიწვია.

**- როდესაც ბოიკოტის შესახებ განცხადება გააკეთეთ, მხარს "ლეიბორისტები" და "აღორძინება" გიმშვენებდათ.**

- ისინი ჩვენს ოფისში მოვიდნენ. იმ დღეებში ძალიან გამწარებული ვიყავი, ისეთი სიუჟეტი გავიდა, რაც არ გვეკადრებოდა. უცებ, ერთიც და მეორეც გვერდით მომიჯდა, იმათაც თავისი პრეტენზიები ჰქონიათ... მე ჩემი გამოვხატე და მათთან არავითარი კონტაქტი არ მქონია.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენგან კარგი პოლიტიკოსი დადგა?**

- მოღვაწეობის ძალიან მძიმე სფეროა, სულ სხვა პრინციპებია. მეგონა, რომ არაკეთილგანწყობილი ხალხი მხოლოდ ბიზნესშია. ჩემთვის მიუღებელი ურთიერთობები პოლიტიკაში გაცილებით უფრო მეტია. ამ სპექტრში მოღვაწეობა ძალიან რთულია.

# 1978 წლის 14 აპრილთან დაკავშირებული მოვლენები

## აკაკი ბაქრაძის მოგონებებიდან

### როგორ დაიწყო ყველაფერი

#### 1978 წლის აპრილი

1978 წლის 23 მარტს, ხუთშაბათ დღეს, საქართველოს კპ ცკ-ში პროპაგანდის განყოფილების გამგემ გიორგი ბედინეიშვილმა თათბირი ჩაატარა. თათბირს კულტურის განყოფილების გამგე ალექსანდრე ალექსიძეც ესწრებოდა. მიწვეული იყვნენ შემოქმედებითი კავშირის მდივნები, კულტურის სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორები და პარტკომები. თათბირს პროპაგანდის გამგემ მოახსენა:

- ხვალ, 24 მარტს, პრესაში გამოქვეყნდება საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ მის განხილვას. რაც შეიძლება მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს იგი. ახალი კონსტიტუცია არსებითად იგივეა, რაც ძველი, მაგრამ არის ერთი ცვლილება: ამოღებულია მუხლი, სადაც ეწერა - საქართველოს სსრ-ის ენა არის ქართული - და მის მაგიერ შეტანილია 75-ე მუხლი, რომელიც ამგვარად გახლავთ ჩამოყალიბებული და გ. ბედინეიშვილმა წაიკითხა 75-ე მუხლი.

**"საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისთვის.**

**საქართველოს სს რესპუბლიკას ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე იმ ენებისა, რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს.**

**რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება."**

(საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი დაბეჭდილია 1978 წლის 24 მარტის გაზეთ "კომუნისტში")

როცა ამ მუხლის კითხვა დამთავრდა, დარბაზში უკმაყოფილების ჩურჩული გაისმა. ჯანსუღ ჩარკვიანმა პროპაგანდის განყოფილების გამგეს კითხვა მისცა: - რამ, რა აუცილებლობამ გამოიწვია მუხლის შეცვლა? გ. ბედინეიშვილმა მიუგო: - ძველ, 1936 წლის კონსტიტუციებში, მხოლოდ საქართველოსა და სომხეთს ჩაუწერეს, რომ ამ ქვეყნებში, შესაბამისად, ქართული და სომხურია სახელმწიფო ენები. სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებში არ ყოფილა მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. ამიტომ ყველა რესპუბლიკა ერთნაირ მდგომარეობაში რომ იყოს, გადაწყვიტეს 75 მუხლი, სადაც სახელმწიფო ენაზეა ლაპარაკი, ამოეღოთ. ჩაწერეს 75 მუხლი. ისიც უნდა გითხრათ, რომ გარდა საქართველოსა და სომხეთისა, 75 მუხლი არ არის არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციაში. ამით სკკპ-ის ცკ-მა ღრმა პატივისცემა გამოამჟღავნა ქართული და სომხური ენების მიმართ.

როცა პროპაგანდის განყოფილების გამგემ პასუხი დაამთავრა, სიტყვა ვითხოვე და ვთქვი: ამგვარ ცვლილებას ქართველი საზოგადოება დადებითად არ შეხვდება. ჩვენი ხალხი არ დაუშვებს ქართული ენის კონსტიტუციურ შეურაცხყოფას. ამან შეიძლება ძალიან ცუდი ნაყოფი გამოიღოს. ამიტომ უმჯობესია აღვადგინოთ ის, რაც ეწერა ძველ კონსტიტუციაში, და ამოვიღოთ ეს საეჭვო 75-ე მუხლი.





## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ანდრო კაკულია
"ფანჯარა"
რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კინგი
ET CETERA
რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, ლაშა ბუღაძე
"სამი ნოველა"
რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
პატრიკ ზიუსკინდი
"კონტრაბასი"
დას: 18:00 სთ.

## საკონცერტო დარბაზები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
იუმორინა 2004
დას 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ელფი"
დას: 13:00; 15:00; 20:00 სთ.
"სიყვარული წესების გარეშე"
დას: 17:30; 22:30

## გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"პერესტროიკიდან" გადატრიალებამდე
**TMS**
მაიკ ვუდკოკის ფოტონამუშევართა გამოფენა
**ბაიას გალერეა**
მერაბ აბრამიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
ალექსანდრე როინაშვილის ფოტონამუშევართა გამოფენა
**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

**ოთხშაბათს, 14 აპრილს 17 საათზე ჭავჭავაძის N22-ში, კაფე „პარნასში" გაიმართება დავით მაღრაძის წიგნის პრეზენტაცია.**

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 15 აპრილს, 17 საათზე** ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება". ნუგზარ შატაიძის წიგნი "ნოემბრის წვიმა", პრეზენტაცია.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*


*ეს ტექსტი ამოღებულია აკაკი ბაქრაძის წიგნიდან "ცამეტი წელიწადი კინოში. ნიღბების სამყაროში" (თბილისი, 1996). წიგნში ცალკეულ პირთა სახელები მითითებული არ არის, მათი გვარები ჩვენ აკაკი ბაქრაძის ჩანაწერების მიხედვით აღვადგინეთ.*

დარბაზში ვითარება დაიძაბა. მაშინ გიორგი ნატროშვილმა ითხოვა: აქ მოწვეულთაგან კონსტიტუციის პროექტი არავის წაუკითხავს. თქვენ მხოლოდ ერთი ცვლილება გაგვაცანით, სხვა რა წერია და როგორ, არ ვიცით, ამიტომ გთხოვთ, ჯერ ნუ გამოაქვეყნებთ პროექტს. მოგვეცით საშუალება წავიკითხოთ, ღრმად გავეცნოთ, მოგახსენოთ ჩვენი აზრი. მოისმინეთ იგი. აწონდაწონეთ და ამის შემდეგ გამოაქვეყნეთ პროექტი.

- რუსულ ტექსტში არაფრის შეცვლა არ შეიძლება, - უპასუხა გ.ნატროშვილს პროპაგანდის განყოფილების გამგემ. - ქართული თარგმანი კი, ბატონო, დახვეწეთ, დაამუშავეთ, გააშალაშინეთ, არავის არაფერი აქვს საწინააღმდეგო, - და თათბირი დახურულად გამოაცხადა.

მეორე დღეს, 24 მარტს, გაზეთ "კომუნისტში" საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა. იმავე დღეს, საქართველოს კპ ცკ-ს სხდომათა დარბაზში დიდი საზოგადოება შეიკრიბა.

მომავალი ამბებისათვის ამ კრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისში თვალის დახამხამებაში გავრცელდა მისი ამბავი.

დაიწყო საზოგადოებრივი აზრისა და კომუნისტური პროპაგანდის ბრძოლა.

1978 წლის 26 მარტს გაზეთ "კომუნისტში" გამოქვეყნებული საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისაგან მოითხოვდა ერთსულოვნად დაეჭირათ მხარი კონსტიტუციის ახალი პროექტისათვის.

"საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ერთხელ კიდევ დაადასტურებს საქართველოს მშრომელთა მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის – პარტიისა და ხალხის გამოჩენილი შვილის ლ.ი. ბრეჟნევის გარშემო".

აქტიურად ამოქმედდა პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატი. იგი ყველა ღონეს ხმარობდა ზეგავლენა მოეხდინა ადამიანებზე. დაებნიათ და დაეშინებიათ ისინი.

თანამდებობის მქონე პირებს ემუქრებოდნენ მოხსნით.

12 აპრილს მწერალთა კავშირში ხელმეორედ ჩატარდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა. ბევრი ხალხი ვერ შეგროვდა. საგანგებოდ ცრუ ხმა იყო გავრცელებული – მწერალთა კავშირში პარტიული კრებააო. მოვიდნენ ისინი, ვინც მიხვდა, რა მიზნით კრებდნენ ხალხს. მაინც ცხარე სჯა-ბაასი გაიმართა. დარბაზში ემოციის სახმილი გიზგიზებდა.

ერთნი იცავდნენ კონსტიტუციის პროექტს.

მეორენი კატეგორიულად იწუნებდნენ მას. ზოგიერთმა მწერალმა კავშირის წევრობაზეც თქვა უარი (მაგალითად, პოეტმა ნელი გაბრიჩიძემ). კავშირის წიგნაკები კრების პრეზიდიუმს დაუწყვეს წინ.

მესამენი მორიგების გზას ეძებდნენ. არც მწვადი უნდოდათ დაეწვათ და არც შამფური.

ოცზე მეტი კაცი გამოვიდა მაშინ სიტყვით. მაგრამ გვარებს აღარ ჩამოვთვლი, რაკი აუცილებლად მიმაჩნია ამ კრების სტენოგრაფიული ჩანაწერის გამოქვეყნება. საერთოდ, გადაუდებლად უნდა შეგროვდეს ყველა ის სიტყვა, რომელიც ითქვა ენათმეცნიერების, ისტორიის, ლიტერატურის ინსტიტუტებში, საქართველოს ისტორიის მუზეუმში, უნივერსიტეტში და სხვა დაწესებულებებში და გამოიცეს ცალკე წიგნად. ეს სრულ წარმოდგენას მოგვცემს იმჟამინდელ საზოგადოებრივ განწყობილებაზე.

მეც ვთქვი მწერალთა კავშირში სიტყვა.

(სიტყვა თქმული მწერალთა კავშირის კრებაზე 1978 წლის 12 აპრილს)

დოკუმენტი, რომელსაც დღეს ჩვენ ვიხილავთ, უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი გახლავთ. იგი მომავალში, მრავალი წლის მანძილზე, განაპირობებს კონსტიტუციურად ქართველი ხალხის ბედს. ამიტომ ყველა მოქალაქის ვალია მკაფიოდ, გულწრფელად და აშკარად გამოთქვას თავისი დამოკიდებულება საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტისადმი.

ყველა განხილვაზე ძირითადად ლაპარაკი მიმდინარეობს 75-ე მუხლის შესახებ. ეს ბუნებრივია, რადგან ეს მუხლი ქართულ ენას ეხება და ამას ყველა მტკივნეულად განიცდის. მაგრამ ახალი კონსტიტუციის ამ პროექტში, მარტო ეს პუნქტი არ არის საგანგაშო – არის სხვაც. კერძოდ, კონსტიტუციის პროექტის პრეამბულაში წერია – საქართველოს სსრ ხალხი აცხადებს ამ კონსტიტუციას... ერთი შეხედვით აქ თითქოს არაფერია განსაკუთრებულად საშიში, მაგრამ ნამდვილად ასე არ არის. ეს სიტყვები სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ქართველი ერი გაუქმებულია და საქართველო არის არა ეროვნულ-პოლიტიკური ცნება, არამედ გეოგრაფიული ადგილი.


*აკაკი ბაქრაძე.*

საქართველო ეკუთვნის ქართველ ხალხს და ქართველი ხალხი უნდა აცხადებდეს ამ კონსტიტუციას. ყველა იმ უფლებას კი, რომელიც აღნიშნულია კონსტიტუციის პროექტში, ქართველი ხალხი ანიჭებს სხვა ხალხებს, რომელნიც დღეს საქართველოში ცხოვრობს. კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს ქართველი ხალხისთანდაყოლილ ინტერნაციონალიზმს, ქართველი ხალხის ტოლერანტულ დამოკიდებულებას სხვა ხალხების მიმართ.

როცა ვამბობთ – საქართველოს ხალხი, - მაშინ ქართველი ხალხი გათანაბრებულია ყველა იმ ხალხებთან, რომელიც დღეს საქართველოში ცხოვრობს. მაგრამ ამ ხალხებს აქვთ თავიანთი სამშობლოც. იქ არიან ისინი ყველაფრის ბატონ-პატრონები. ქართველ ხალხს კი არა აქვს სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი. მაშასადამე იგი საკუთარ მამულში გათანაბრებულია სხვასთან. ჩვენ ვუფრთხილდებით სხვათა უფლებებს, მაგრამ ამით ვამცირებთ ქართველი ხალხის უფლებებს. ყოველ ადამიანს აქვს ბინა. ამ ბინაში იგია სრულუფლებიანი პატრონი. მასზეა დამოკიდებული, როგორ მიიღებს სტუმარს. ასეთი ბინაა ყოველი ერისთვის თავისი ქვეყანა. ამ ქვეყნის პატრონი თავად უნდა იყოს და მასზე უნდა იყოს დამოკიდებული მიიღებს თუ არა ხელგაშლილი სხვა ხალხებს. ქართველ ხალხს არასოდეს უკრავს ხელი მოსული ხალხისათვის და ხშირად უპატიებელი ინტერნაციონალიზმი გამოუმჟღავნებია. ამიტომ დღეს კონსტიტუციურად მტკიცედ და უცვალებლად უნდა იყოს განსაზღვრული – საქართველო ქართველი ხალხის ქვეყნაა და კონსტიტუციასაც ქართველი ხალხი აცხადებს.

თუ პრეამბულის ფორმულა – საქართველოს ხალხი – არ შეიცვლება ქართველი ხალხით, მაშინ ეს კონსტიტუცია არ იცავს ქართველი ხალხის ინტერესს.

მეორე. ახალი კონსტიტუციის პროექტში წერა, რომ საქართველოს სსრ მთავრობას აქვს უფლება ახალი ავტონომიური რესპუბლიკების შექმნის. მაგრამ ამ მთავრობას არა აქვს უფლება ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების. აბსურდი გამოდის. ელემენტარული კანონიერება მოითხოვს, რომ იმას, ვისაც შექმნის უფლება აქვს, უნდა ჰქონდეს გაუქმების უფლებაც. სხვანაირად შექმნის უფლება უუფლებობაა, თან საშიში უუფლებობა. საქართველოში ბევრი სომეხი, ბევრი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ცხოვრობენ ისინი კომპაქტურად. ეს მათ სრულ ნებას აძლევს კონსტიტუციის თანახმად მოითხოვონ ავტონომია. საქართველოს მცირე ტერიტორიაზე ისედაც ბევრი ავტონომიაა. ამას ახალი ავტონომიები დაემატება და ისედაც ერთი ციცქნა ტერიტორია მთლად დაქუცმაცდება. გარდა ამისა, ჩამოსულ, ჩამოსახლებულ ხალხს მისცე ავტონომია, ეს იმას ნიშნავს, რომ მას მისცე სხვისი მიწა-წყალი. არც სომხები, არც აზერბაიჯანელები, არც ოსები საქართველოს ტერიტორიის აბორიგენი მოსახლეობა არ არის. მათთვის ტერიტორიის გამოყოფა ნიშნავს ქართველ ხალხს ჩამოართვა ტერიტორია. ტერიტორიის ჩამორთმევა კი ეროვნული დისკრიმინაციაა. მაშასადამე, ქართველი ხალხის ეროვნული დისკრიმინაციის საფუძველზე ეძლევა სხვა ხალხებს უფლება ავტონომიები შექმნან საქართველოში. ხომ ნათელია, რომ კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, მიმართულია ქართველი ხალხის წინააღმდეგ!

მესამე. უკვე ყბადაღებული 75-ე მუხლი, რომელმაც ამდენი მღელვარება გამოიწვია.

კონსტიტუციის პროექტის პროპაგანდისტებმა ქართული ენისათვის "სახელმწიფო ენის" სტატუსის ჩამორთმევა იმით გაამართლეს, რომ არც რუსული ენაა მოხსენიებული სახელმწიფო ენად რუსეთის კონსტიტუციაში. მაგრამ ამგვარი მსჯელობა კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან სრულიად სხვადასხვა მდგომარეობა აქვს რუსულსა და ქართულს. დღეს რუსული ენა მსოფლიო მნიშვნელობის ენაა. მის წინააღმდეგ ბრძოლა აღარ შეუძლიათ ისეთ დიდ ენებსაც კი, როგორიც ფრანგული და ინგლისურია. მით უმეტეს, საბჭოთა კავშირში რუსულ არ ჰყავს მეტოქე, არც პოლიტიკური და არც კულტურული თვალსაზრისით. ქართული კი მცირერიცხოვანი ერის ენაა. ქართულად სხვაგან არსად ლაპარაკობენ. ქართულს არ გააჩნია მონათესავე ენაც კი. იგი ობოლი ენაა და თუ საქართველოშიც არ მიეცა მას სახელმწიფო უფლებამოსილება, ქართული დასალუპავად განწირული ენა იქნება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ენას ორი ფუნქცია აქვს: იგი ან არის სახელმწიფო ენა, ან არის პატუა (შინაური, შინ სახმარი) ენა. ახალი კონსტიტუციის პროექტი ქართულ ენას უტოვებს პატუა ენის ფუნქციას.

ყოველივე ზემოთქმულიდან რა დასკვნის გაკეთება შეიძლება? მე ვაკეთებ ერთადერთ დასკვნას – საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი კონსტიტუციურ საფუძველს უყრის ქართველი ხალხის გარუსების საქმეს.

აქ იყო ლაპარაკი, ბევრი ამბობდა, რომ ეს შემთხვევითია, აქ დაშვებულია შეცდომა, ეს გაუგებრობაა, სტილისტური შეცდომაა და ა.შ. ამდაგვარი დიპლომატობიას თამაში არავითარ შედეგს არ მოგვცემს. კონსტიტუციის პროექტს შემთხვევითი ადამიანები არ ადგენენ. ისინი ასე იოლად არ უშვებენ შეცდომებს, გაუგებრობებს, შემთხვევითობებს... მათ შესანიშნავად იციან, რას აკეთებენ, რატომ და რა მიზნით. ვერც ჩვენი "დიპლომატობიით" მოვატყუებთ მათ. ამიტომ სრულიად აშკარად და პირდაპირ უნდა ვუთხრათ – ჩვენ წავიკითხეთ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი და მივხვდით მის ნამდვილ აზრს და რაკი მივხვდით, მაშასადამე, პასუხიც უნდა მივაგოთ ახალი კონსტიტუციის პროექტის შემდგენლებს.

ამიტომ სრული პირდაპირობით უნდა ითქვას – აქვს თუ არა რომელიმე ქართველს უფლება, რა მდგომარეობის, რა განათლების, რა შეხედულებებისაც უნდა იყოს იგი, მხარი დაუჭიროს ამ კონსტიტუციის პროექტს? მე გეუბნებით, არა რომელიმე პუნქტს, არამედ მთლიანად კონსტიტუციას? ამ კონსტიტუციის სტილისტური გასწორება-დაზუსტება საქმეს არ უშველის. მისი არსი მაინც ანტიქართული დარჩება, ამიტომ ქართველმა ხალხმა არ უნდა მიიღოს ეს კონსტიტუცია. არც ერთ ჩვენთაგანს არა აქვს მორალური უფლება ხმა მისცეს ახალ კონსტიტუციას.

დღეს ჩვენ არა გვაქვს უფლება ამ დოკუმენტს ზერელედ მოვეკიდოთ. აქ კარგად თქვა მურმან ლებანიძემ, რომ ხშირად ვიხილავთ ამა თუ იმ დოკუმენტს. ზერელედ ვეკიდებით მათ, ფეხებზე გვკიდია რას ვიხილავთ და რატომ. ყველა შინ გაქცევაზე ფიქრობს და აი წინ დაგვხვდა ამ ზერელობის შედეგი. როცა გაუთავებელი ლაპარაკი იყო ხალხთა ურთიერთდაახლოებაზე, ერთიან საბჭოთა ხალხზე, საქმე აქითკენ მიდიოდა. ჩვენ კი ამას პირდაღებული მივჩერებოდით.

დღეს კი დოყლაპიობის უფლება არა გვაქვს. ჩვენ კატასტროფის წინაშე ვიმყოფებით. ეს დაადასტურეს იმათაც, ვინც იცავდა კონსტიტუციის პროექტს. როცა რაიმეს ასეთი დასაბუთება, ახსნა-განმარტება, ფერუმარილის წასმა სჭირდება, ეს იმის უტყუარი დასტურია, რომ საქმე ცუდად არის. ასე რომ არ იყოს, ამდენი ხვეწნა-მუდარა ეს პროექტი მიიღეთო, არ დასჭირდებოდათ.

მაშასადამე მდგომარეობა ნათელია. არავინ ტყუვდება. მე ისიც კარგად ვიცი, რომ არც ამ ჩვენს ლაპარაკს და კრებას აქვს რაიმე მნიშვნელობა. ახალი კონსტიტუციის პროექტს მიიღებენ სულ ტაშის გრიალით და ჩვენი კრებების ოქმებს ვატერკლოზეტის "არქივი" ელით. მაგრამ ჩვენ მაინც მოვალენი ვართ, ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ზნეობრივად უნდა ვიყოთ ჩვენ მართალნი შთამომავლობის წინაშე. ჩვენ არ გაგვაჩნია სხვა ძალა, სხვა უფლება. დღეს ქართულმა მწერლობამ საქვეყნოდ უნდა განაცხადოს – ვის მხარეზეა იგი, ქართველი ხალხისა თუ ქართველი ხალხის მტრების. უკან დასახევი გზა მას არა აქვს. ამიტომ წინადადება შემომაქვს, კენჭი ეყაროს – აძლევენ თუ არა ხმას საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები.

■ ■ ■

14 აპრილიც მოვიდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიაც დაიწყო. უნივერსიტეტის ეზოში ზღვა ახალგაზრობდაა თავშეყრილი. მიმდინარეობს ხვეწნა-მუდარა – ჯერ ნუ წახვალთ. დარჩით აუდიტორიებში. იქნებ უმაღლესი საბჭოს სესიამ ის გადაწყვეტილება მიიღოს, რაც თქვენ დაგაკმაყოფილებთ. სტუდენტები დრტვინავენ. მათ არ სჯერათ დაპირებების. არადა, შიშიც ბუნებრივია. თბილისის ქუჩები, შუკები, ფოლორცები საბჭოთა არმიის რაზმებით არის გაჭედილი. ყველგან დგას საომარი ტექნიკა. საკმარისია განკარგულება და გაუგონარი ხოცვა-ულეტა ატყდება.

მილიცია (მართლია, არაგულმოდგინედ) ცდილობდა ხალხი მთავრობის სახლისაკენ არ გაეშვა. მართლაც დაახევინეს უკან უნივერსიტეტის მეორე კორპუსისა და საავადმყოფოსაკენ (ე.წ. "სამკურნალო კომბინატისაკენ").

ასე, პირველის ნახევარი იქნებოდა, საავადმყოფოს წინ უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მწკრივად დაეწყვნენ, ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს და მთავრობის სასახლისაკენ დაიძრნენ. მათ უკან უთვალავი ადამიანი გამოჰყვა. მოდიოდნენ ისინი და მელიქიშვილის და რუსთაველის ქუჩების პერპენდიკულარული ქუჩებიდან უერთდებოდა და უერთდებოდა ხალხი. ადამიანებით სავსე და გაჭედილი რუსთაველის პროსპექტი აპრილის მტკვარს ჰგავდა. ამ ხალხის შეჩერება ჩვეულებრივი ძალით უკვე აღარ შეიძლებოდა.

ხალხის თავზე აღმართული იყო სისხლისფერი ასოებით დაწერილი ტრანსპარანტები – აი, ია! ქართული ენა – სახელმწიფო ენა! ილიასა და აკაკის ენა – სახელმწიფო ენა! დედა ენა!

მთავრობის სახლიდან მძლავრი რეპროდუქტორებით გადმოიცემა სესიის სხდომა. სულ ტყუილი ლაპარაკია. სესიაზე მსხდომმა დეპუტატებმა და ქუჩაში აბობოქრებულმა ხალხმაც ჩინებულად იციან – არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლია საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს სესიას. გადაწყვეტილება იქნება ისეთი, როგორი განკარგულებაც მოვა მოსკოვიდან.

თბილისსა და მოსკოვს შორის უწყვეტი სატელეფონო კავშირია. ჯერ არც იქ იციან, როგორ მოიქცნენ: დაუთმონ ქართველ მანიფესტანტებს, უკან დაიხიონ, აღიარონ ქართული ენა სახელმწიფო ენად თუ ცხელი ტყვიით გაუმასპინძლდნენ გათავხედებულებს, თავისი გაიტანონ და ამით მოატავონ საქმე?

შევარდნაძე ტაატით კითხულობს მოხსენებას. ფეხს ითრევს. მოსკოვის პასუხს ელის. არ უნდა იმის წაკითხვა, რაც მის მოხსენებაში წერია.

თუ ამას წაიკითხავს საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი, არავინ უწყის, რას იზამს გამძვინვარებული ხალხი. არადა, რამდენ ხანს უნდა გაჭიანურდეს მოხსენების კითხვა? გარეთ, ქუჩაში, ადამიანებს მოთმინების ფიალა ევსებათ. შიგნით, მთავრობის სახლში, დეპუტატები გულის კანკალით ელიან მოსკოვიდან პასუხს.

ჰაერი გაჟღენთილია მოლოდინით: რა მოხდება – განმეორდება 1956 წლის 9 მარტი თუ ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება?

მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა: მოსკოვმა უკან დაიხია, დათმო. ქართულმა ენამ სახელმწიფო ენის ფუნქცია შეინარჩუნა. ედ. შევარდნაძე და მისი თანმხლები პირები ქუჩაში გამოვიდნენ. ხალხს გამარჯვება მიულოცეს.

# დაასრულო წიგნი, რომლის წერაც შარლოტა ბრონტემ დაიწყო

### სენტიმენტალურ-ქალური ამბავი

ოთხი წლის წინ ირლანდიელი მწერალი ქალი ქლერ ბოილენი ლიტერატურულ ფესტივალს ესწრებოდა. ერთ-ერთ ღონისძიებაზე მან გულუბრყვილო ღიმილით იკითხა: დაწერდა თუ არა შარლოტა ბრონტე დაოჯახების შემდეგ (1854 წ.) კიდევ რამეს, 38 წლის ასაკში, ქორწინებიდან მეცხრე თვეს რომ არ გარდაცვლილიყოო.

ბრონტეს ბიოგრაფებმა ლინდოლ გორდონმა და ჯულიეტ ბარკერმა მას, ასევე გულუბრყვილოდ, მაგრამ ამომწურავად უპასუხეს, - მწერლის არქივებში დაცულია ორ თავად დაყოფილი ხელნაწერი, რომელიც შარლოტა ბრონტემ დაქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა. ეს კი, სავარაუდოდ, იმის დამადასტურებელია, რომ ხელნაწერზე მუშაობას ბრონტე აუცილებლად დაასრულებდა, რომ ეცოცხლაო.

ეს პასუხი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქლერ ბოილენს, ბრონტესთან თანაავტორობით, წიგნი დაეწერა. დიახ, საუბარია სწორედ იმ შარლოტა ბრონტეზე, რომელმაც "ჯეინ ეარის" ისტორიებზე თქვენ და კიდევ ბევრ სხვას აღვრევინა ცრემლები და რომელიც 149 წლის წინ გარდაიცვალა.

"ემა ბრაუნი" – ასე ჰქვია ბრონტეს მიერ დაწყებულ და ბოილენის მიერ დასრულებულ წიგნს, რომელიც ამერიკაში გამომცემლობა "ვაიკინგმა" გამოსცა. რომანი შტატებში ამ კვირიდან გავა გაყიდვაში და ის 25.95 დოლარი ეღირება.

თუ როგორ მოხდა ყოველივე, ამის შესახებ, ჯობს, თავად მწერალს მოვუსმინოთ: "ფესტივალზე გაგებულმა ამბავმა, თითქოს, მომაჯადოვა. შარლოტა ისევ იმ პატარა გოგონაზე წერდა... მჯერა, რომ მას ამ ახლად დაწყებულ რომანშიც "ჯეინ ეარის" მსგავსი თემის აღება სურდა. როცა მან "ეარი" დაწერა, 30 წლის იყო, ახალ რომანზე მუშაობის დაწყებისას კი – 37-ის. ვფიქრობ, სურდა, უფრო მრავალშრიანი სიუჟეტი შეედგინა, უფრო სრულყოფილი და ღრმა შეხედულებები წარმოედგინა...

გადავწყვიტე, მის მიერ დაწყებული რომანი გამაგრძელებინა. ერთი გვერდი ისე დავწერე, ვერც გავიგე. მეჩვენებოდა, რომ ასოები ფურცელზე თავისით იხაზებოდნენ. მერე შუაღამისას გამეღვიძა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს, ვიღაც თავზე დამყურებდა. თუმცა, ეს ვიღაც უფრო მეტაფორულად იყო ჩემთან.

"ემა ბრაუნი" იყო პირველი წიგნი ჩემ ცხოვრებაში, რომელიც მარტოობის განცდის გარეშე დავწერე. ამ რომანზე მუშაობისას სულ თან მდევდა განსაკუთრებული ინტიმურობის განცდა. როცა შედარების ხერხს მივმართავდი, მეჩვენებოდა, რომ შარლოტა თითებზე ფრთხილად დამკრავდა ხოლმე – თავად ხომ ამ სტილისტურ ხერხს არასდროს მიმართავდა. თითქოს, ჩამესმოდა კიდეც, - "მიდი, ამას კარგად წერ"; ანდა, - "არა, ეგ არ გინდა, შეეშვი".

ერთი სიტყვით, ქლერ ბოილენი ამტკიცებს, რომ "ემა ბრაუნი" შარლოტა ბრონტესთან ქვეცნობიერი დიალოგებისა და რჩევების შედეგად დაწერა. აჰყვა მის შექსპირულ რითმებს, მელოდრამისა და ირონიის მისებურ ნაზავს და, როგორც თავად ამბობს, "მისთვის დამახასიათებელ, თხრობის დედობრივ სტილს".



"ჯეინ ეარი" ხომ ყველას წაგვიკითხავს

ქლერ ბოილენმა მოიარა ბიბლიოთეკებიც, მუზეუმებიც და ყველა ის ადგილი, სადაც რომანში მოქმედება ხდება. დაიქირავა ისტორიკოსი ქალიც, ჩამოუწერა ადგილები და სთხოვა, თითოეული მათგანი აღეწერა ისე, როგორც შარლოტა ბრონტეს დროს იყო. საბოლოო ჯამში, ბოილენმა და მოხუცმა ისტორიკოსმა ლონდონის გარშემო ათ საათს იარეს. "ბოლოს ფეხებიდან სისხლი მდიოდა. ჩემი ხანდაზმული გიდი კი მშვენივრად გრძნობდა თავს", - იგონებს ავტორი.

"ემა ბრაუნი" პატარა გოგონას, მატილდას ამბავს გვიამბობს. მას მდიდარი მამა ქალთა პროვინციულ პანსიონში მიაბარებს და გაქრება. რომანში თხრობა სწორედ იმ ორი თავით იწყება, რომლებიც შარლოტა ბრონტეს არქივში იპოვეს და მისი გარდაცვალების შემდეგ ერთ-ერთ ლიტერატურულ ჟურნალში დაბეჭდეს კიდეც. შემდეგ თავებში განვითარებული მოქმედება უკვე მთლიანად ქლერ ბოილენის ფანტაზიის ნაყოფი გახლავთ.

თუმცა, დასაწყისშივე სწორედ შარლოტა ბრონტე ქმნის რომანის მთავარ სახეებს: გულჩათხრობილ და მარტოსულ მატილდას, რომელიც მოგვიანებით აღმოაჩენს, რომ სინამდვილეში ემა ჰქვია; განათლებულ, სანდომიან ქვრივს, იზაბელ შალფონტს, რომელიც მთხრობელის როლში გვევლინება; მარტოხელა ჯენტლმენს, უილიამ ელინს, რომელიც ემა ბრაუნის საიდუმლოს ახსნაში ეხმარება მკითხველს; და სამ სასაცილო დას, რომლებიც ქალთა პანსიონატს უძღვებიან.

ბოილენი მიიჩნევს, რომ ეს სამი გმირი ბრონტესა და მისი დების მაგალითითაა შექმნილი. შარლოტას, ემილისა და ანასაც ერთხელ ქალთა სკოლის გახსნა სურდათ, მაგრამ მოსწავლეები ვერ შეაგროვეს.

ასე რომ, "ემა ბრაუნი" – ბრონტესა და ბოილენის ლიტერატურული ტანდემის შედეგი თანდათან პოპულარული წიგნი ხდება. ჯერ-ჯერობით უცნობია, გახდება თუ არა ის ისეთივე ცნობილი, როგორიც "ჯეინ ეარია", მაგრამ ბოილენს ეს უკვე აღარ აღელვებს. მისთვის ისიც საკმარისია, რომ შარლოტა ბრონტეს ოცნებას შეასხა ფრთები და რომ ამ ავტორთან მრავალი დამთხვევა აკავშირებს – მათ ერთნაირი წერის მანერა აქვთ, ერთნაირად ტანდაბლები არიან და დაბადების დღეც ერთ დღეს აქვთ – 21 აპრილს.

ქლერ ბოილენი საკუთარი წიგნის ამერიკულ პრეზენტაციაზე ვერ წავიდა. ის სიმსივნით არის ავად და, ქიმიოთერაპიის გამო, ექიმმა მგზავრობა სასტიკად აუკრძალა. "ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, რადგან შარლოტას, ალბათ, ამ ღონისძიებაზე დასწრება ძალიან მოუნდებოდა. თუმცა, ამის ახსნაც შეიძლება. რადგანაც ქალი, რომელმაც წიგნის წერა დაიწყო ამერიკაში ვერ წავიდოდა, ვერ წავიდა ვერც ის, რომელმაც წიგნი დაასრულა", - აცხადებს ქლერ ბოილენი და კიდევ ერთხელ სიამოვნებით ილიმება იმის გააზრებისას, რომ საკუთარი ცხოვრება შარლოტა ბრონტეს ბიოგრაფიას ასე მჭიდროდ დაუკავშირა.

# ქალი - რა ქალი!

ჟურნალში International Journal of Gynecology and Obstetrics განსაცვიფრებელი ფაქტია განხილული: იმისთვის, რომ შვილი გაეჩინა, ორსულმა ქალმა, სრულიად ცნობიერ მდგომარეობაში, საკუთარი ხელით გაიჭრა მუცელი. 40 წლის მექსიკელმა ქალბატონმა ჭიპლარის გაჭრა და შეკვრაც მოახერხა, შემდეგ კი გრძნობა დაკარგა. დედა და მისი ახალშობილი ბავშვი უფროსმა ქალიშვილმა აღმოაჩინა და საავადმყოფოში წაიყვანა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან რვა საათის მანქანით სავალში იყო განლაგებული. იქ ექიმმა 16 საათის განმავლობაში გახსნილი ჭრილობის დამუშავება დაიწყო. საოცარია: დედა-შვილი დღეს უკვე ჩინებულად გრძნობს თავს. არადა, ეს პირველი შემთხვევაა, როცა საკუთარი ხელით გაკვეთილი ქალი გადარჩა.

ექიმის თქმით, დედის მიერ ჩადენილ საქციელს თამამად შეიძლება გმირობა ვუწოდოთ. "მან იცოდა, რომ საკეისროს გადაყვებოდა, მაგრამ ბავშვის სიცოცხლე მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო," თქვა მან. ქალს კიდევ ერთი ოპერაცია უნდა გაუკეთონ, რის შემდეგაც მას საავადმყოფოდან წასვლის უფლება ექნება.

როგორც გაირკვა, ქალს ასეთი ნაბიჯისკენ სამედიცინო დაზღვევის უქონლობამ და მშობიარობის


ორსული და თავგანწირული

შემდგომი გართულებების შიშმა უბიძგა. ის ცხოვრობდა სოფელში, სადაც არც ელექტროდენი იყო და არც წყალი. გულის გასამაგრებლად მას სამი პატარა ბოთლი არაყი დაულევია და ამის შემდეგ დაუსვია მუცელზე ჩვეულებრივი, სამზარეულოს დანა.

# სიყვარულის აღლუმი?


ბერლინი, 2003 წელი

თუ ამ დღეებში ერთსულოვნებას ვერ მიაღწიეს, ბერლინის კოლორიტული "სიყვარულის აღლუმის" ტრადიციის დასრულება ოფიციალურად გამოცხადდება. გასულ წელს, ორგანიზატორთა შეცვლის "წყალობით", ღონისძიების შედეგად ქალაქის ზარალმა 500 ათასი ევრო შეადგინა. წელს ბერლინს ასეთი მარცხის განცდა აღარ სურს.

პასუხისმგებელ პირთა ნაწილი ამტკიცებს, რომ "სიყვარულის აღლუმი" ბერლინის სასტუმროებისა და პანსიონებისთვის შესანიშნავი შემოსავლის წყაროა. მართალია, ბოლო დროს 17 ივლისის ქუჩაზე მოცეკვავეთა რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო – თუკი 1999-ში ისინი 1,5 მილიონი იყვნენ, გასულ წელს ცხოვრება მხოლოდ 500 ათას ადამიანს უხაროდა.

სამწუხარო ამბავია, მაგრამ რა გაეწყობა. სამაგიეროდ, "სიყვარულის აღლუმებს" ისრაელსა და მექსიკაში გამართავენ, იქაურები ჯერჯერობით მხიარულად არიან.

# ფისო, ფისო...

ადამიანი და კატა 9500 წლის წინათ დამეგობრდნენ – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მკვლევარები, რომელთაც კვიპროსზე, არქეოლოგიური გათხრების დროს, სამარხში ადამიანისა და კატის ჩონჩხები აღმოაჩინეს. ისინი ერთმანეთისგან 40 სანტიმეტრის დაშორებით, სიმეტრიულად იწვნენ. "ეს აღმოაჩენა იმაზე მეტყველებს, რომ განსვენებულსა და მის ცხოველს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ," ჰყვება პარიზის საბუნებისმეტყველო-ისტორიული მუზეუმის მკვლევარი ჟან-დენი ვინი. მის მიერ აღმოჩენილი ჩონჩხების ფოტოსურათები და მათი შესწავლის შედეგები სამეცნიერო ჟურნალ Science-ში გამოქვეყნდა.


კვიპროსელი კატის შთამომავალი

აშკარაა, რომ ნუბიური კატა, რომელსაც მეცნიერთა ენაზე Felis silvestris libyca ჰქვია, გარდაცვლილს სავსებით შეგნებულად მიუწვინეს გვერდში. კატის ეს ჯიში ჩვენი დღევანდელი ფისოების წინაპრად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ აშკარა ძალადობის კვალი არ ეტყობა, მეცნიერები თვლიან, რომ ის მოკლეს, რათა თავის პატრონთან ერთად დაემარხათ. თავად გარდაცვლილი საკმაოდ შეძლებული ადამიანი იყო – ამაზე სამარხში ნაპოვნი დიდძალი სამკაული და ზღვის ნიჟარები მეტყველებს. სავარაუდოა, რომ კატის სამარხში ჩაყოლებას რაღაც სულიერი დატვირთვაც უნდა ჰქონოდა.

ცნობილი ფაქტია, რომ კუნძულ კვიპროსზე კატები ადამიანის მეშვეობით მოხვდნენ. სამარხი ნასახლარში იყო აღმოჩენილი, სადაც ადამიანები ქრისტეს შობამდე 8300-7000 წლებში ცხოვრობდნენ. აქამდე კი ითვლებოდა, რომ პირველი კატების მომშინაურებლები ეგვიპტელები იყვნენ, და რომ ადამიანისა და კატის ურთიერთობა მხოლოდ 4000 წლის წინათ დაიწყო.

## ლაშა ბუღაძის სვეტი



# ფრაგმენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის სატელევიზიო გამოსვლიდან

გა...მარჯობა-თ.

ციხიდან გამოუშვებ თენგიზ ასანიძე. ხომ ნახეთ? გახსოვთ, როგორი იყო ეგი, როდესაც დავიჭირენ? ვერ ლაპარაკობდა, ვერ აკეთებდა მეტყველს, - არ იცოდა მშობლიური ენა. თერთმეტ წელიწადში იგი განათლებულ კაცად ვაქციენ, რამეთუ იქ წიგნების კითხვის დაჩვევა ჰქნა და შედეგმაც ვერ დააყოვნა – ისწავლა ლაპარაკი, ისწავლა ჩამოყალიბება იმისა, რაც არის, რაც... (წინადადების დასრულება უჭირს) ... გამარჯობათ.

წარმოიდგინეთ გომბეშო, რომელიც ზის ტლაპოში და ტირის, - ცხელი ცრემლებით...

აი, ასეა ჩვენი ცენტრალური ხელისუფლება, ვინაიდან... უკეთუ, არ იტიროს, არ... (კვლავ უჭირს წინადადების დასრულება)... არ იქნება ხორბალი, მეურნეობა, ეკა... ნომიკა...

შარშან, წლეულს, მოსკოვიდან ჩამოვიდენ სტუმრები და ნახენ ჩვენი ბავშვთა ოპერა, რომელიც პირველია ჩვენს... პლანეტაზე. მათ მოეწონენ ჩვენი ბავშვები, რამეთუ ბავშვი არ შეიძლება, რომ არ მოგეწონოს, თუკი ის... მართლა... ბავშვია.

წარმოიდგინეთ ფარშევანგი, რომელიც უშნოა სახით, მაგრამ ლამაზი კუდი აქვს. აი, სწორედ ასეა ზოგიერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც სახეზე პომადი უსვია და კუდით ქვას ისვრის...

ჩვენ გვეკითხებიან მხარდამჭერები, რატომ არ დახვრიტენ ბატონი ასან-ძე?.. რატომ? პასუხი: იმიტომ... და რამეთუ, რომ ფაშისტები ხვრეტდნენ საბჭოელებს... (აზრის ჩამოყალიბება უჭირს) ესროდენ, ვთქვათ, ორჯერ და... შესაძლოა... მესამედაც... (ავიწყდება, რა თქვა დასაწყისში) ომი – საშინელებაა... ხალხი კვდება. მაგრამ ხალხი მარტო ომში არ კვდება... ბევრი მომკვდარა საწოლშიც... ჭამის დროს... ტენისის კორტზედაც...

წარმოიდგინეთ მაღალი ცხენი, რომელიც ჭიხვინებს და იპოდრომზე კი არ მიდის... აი, ასეა ჩვენი პრეზიდენტი – ბევრს ლაპარაკობს და, როგორც მეუბნებიან, თბილისის ცენტრალურ იპოდრომს არ უვლის, არ აკეთებს აქ რემონტს...

რამდენი რამე ჩამოვთვალო? რამდენზე გამოვთქვენ აზრი?

ხშირად მეკითხებიან, რატომ არ ჩავდივარ დედაქალაქში. პასუხი: როცა საბჭოთა კავშირი ბობოქრობდა, მაშინ არ ჩავსულვარ მოსკოვში და ეხლა რაღატომ ჩავიდე იქა... თბილისში.

მე "ბაბუს" მეძახიან. რატომ? განა იმიზა, რომ ასაკით ვარ დიდი... არა. იმიტომ, რომ თეთრი ვარ. როგორც რუსები იტყვიან, ბელი. ფითქინური.

შევარდნაძეს ჩემი მოკვლა სწყუროდა. სახლში, თავისიანებს ეუბნებოდა, თურმე, მისი სისხლი უნდა დავხვრიპოვო.

ბებია – როგორც იტყვიან – მისისა!.. ჩემი, ასე ვთქვათ, ფეხები!.. ბაბუს გატეხვა არ გახლავთ ეგზომ ადვილი იგი...

ვერც ესენი, ახალბედები, ჰქნავენ აქ რამეს...

იყუჩეთ, რამეთუ მართლები ვერა ხართ...

ხომ ნახეთ, ლუჟკოვს ჩემი ცხვრები რო ვაჩვენე?! კიდევ ბევრი მაქვს მისთვის საჩვენებლი... ნუ გამაბრაზებთ, ისედაც ბრაზიანი ვარ...

(მერე რუსულად აგრძელებს ლაპრაკს).

# საბავშვო ბონდიანა გზაშია

"შეიძლება ითქვას, რომ ჯეიმს ბონდთან ერთად გავიზარდე", - ამ ფრაზის ავტორობას ბევრი იჩემებს, მაგრამ მათგან უმართლებს მხოლოდ ერთს. ეს ერთი წერს რომანებს, მსახიობობს, მაგრამ მისი მთავარი ღირსება მაინც ის არის, რომ იან ფლემინგის სუპერპოპულარული პერსონაჟი უყვარს. ახლახან ამ ერთს გამომცემლობა "პინგვინ ბუქსმა" ფრიად საპასუხისმგებლო დავალება მისცა – 45 წლის ჩარლი ჰიგსონმა ჯეიმს ბონდის სერიალი წერა უნდა განაგრძოს. თუმცა, შეიცვლება აგენტი 007-ის მოღვაწეობის დრო და ადგილი. ჰიგსონის ვარიანტში მკითხველი შეიტყობს, თუ როგორი იყო ბონდი ბავშვობაში, როგორ მარტინის სვამდა თინეიჯერობის ასაკში და როგორი გოგონები მოწონდა.

წიგნში, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი წლის მარტში უნდა გამოიცეს, მოქმედება 1930-იან წლებში ხდება. ბონდი იტონის ბიჭუნათა სკოლაში სწავლობს. პირველივე თავებში მისი მშობლები თხილამურებზე სრიალისას იღუპებიან. შემდეგ პატარა ჯეიმსი შოტლანდიურ ციხე-სიმაგრეში მოხვდება, სადაც მდიდარი ამერიკელი "საშინელ" ექსპერიმენტებს ატარებს. როგორც ჩანს, იქვე იწყება ბონდის სახიფათო თავგადასავლებიც.

პირველ წიგნზე მუშაობა ჰიგსონმა უკვე დაიწყო. მწერალი ხუმრობს, - მაშინ, როცა ძლივს შევეგუე აზრს, რომ ვერასდროს ვითამაშებდი ჯეიმს ბონდის როლს, მის შესახებ წერის შანსი გამიჩნდა და ამ შესაძლებლობას ხელიდან როგორ გავუშვებო. ჰიგსონს ბრიტანული პუბლიკა "ბი-ბი-სი-2"-ის ერთ-ერთი გადაცემით იცნობს კარგად. თუმცა, მას, ასევე, დაწერილი აქვს ტელეპიესები და თრილერები.

ჯეიმს ბონდის თინეიჯერულ წიგნს "პინგვინ ბუქსის" საბავშვო ფრთა Puffin გამოსცემს. გამომცემლები იმედოვნებენ, რომ ბავშვებზე გათვლილი ბონდიანა ისეთივე წარმატებული გახდება, როგორიც - "ჰარი პოტერი".


უკვდავი აგენტი ჯეიმს ბონდი

*მოკლედ*

## ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ბათუმში გაიმართება

როგორც დაგეგმილი იყო, მსოფლიო ჩემპიონატი ქალ მოჭადრაკეთა შორის ბათუმში ჩატარდება. ამის შესახებ შეთანხმება ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა და ასლან აბაშიძემ გააფორმეს. კირსან ილიუმჟინოვის თქმით, შეჯიბრება 21 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით გაიმართება. ტურნირის საპრიზო ფონდი 500 ათასი ამერიკული დოლარია.

წინა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, ჩინელმა ჩჟუ ჩენმა რუსი ალექსანდრა კოსტენიუკი დაამარცხა.

## მე-700 გამარჯვება კარიერაში

ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა WTA-ის სერიის ტურნირებზე თავისი მე-700 გამარჯვება მოიპოვა. მარტინესი მხოლოდ მეშვიდე ჩოგბურთელია მსოფლიოში, რომელსაც 700 გამარჯვების პატივი ხვდა წილად. ეს წარმატება მარტინესმა აშშ-ის ტურნირში მოიპოვა და მან ტიან ტიან სანი დაამარცხა – 6:1, 6:0.

ამჟამად მსოფლიო კლასიფიკაციაში მარტინესი 24-ე ადგილზეა. 32 წლის ჩოგბურთელის ანგარიშზე WTA-ის სერიის ტურნირების 32 ტიტულია, მათ შორის უიმბლდონის ტურნირიც.

იმ დროს, როცა მარტინესი ძალიან იოლად გასცდა პირველი წრის ბარიერს, სხვა განთესილებს ოფლისღვრა მოუხდათ. მაგალითად, კაროლინა სპრემმა ტურნირს გამოთიშა მე-15 ნომრად განთესილი ფრანგი ნატალი დეში. მარი-გაიან მიქაელიანმა კი მე-14 ნომერი, კოლუმბიელი ფაბიოლა სულუაგა გაისტუმრა სამშობლოში – 6:2, 6:2.

ამასობაში ჰიუსტონის ტურნირზე ამერიკელი ტეილორ დენტი, რომელიც მესამე ნომრად არის განთესილი, არგენტინელ ფრანკო სკილიარისთან დამარცხდა – 6:0, 5:7, 6:7. სკილიარიმ პირველი სეტი პირწმინდად წააგო, მეორეში კი 1:4 აგებდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მდგომარეობის გამოსწორება და, უნდა ითქვას, რომ მას ეს მშვენივრად გამოუვიდა.

ამასთან, ჯეიმს ბლეიკმა უპრობლემოდ დაამარცხა უეინ ოდესნიკი, რომელმაც არპ-ტურში თავისი პირველი მატჩი გამართა. აღსანიშნავია ლუის ჰორნას გამარჯვება ბრაიან ვახალთან შეხვედრაში – 6:3, 6:1. აგრეთვე, ტოდ მარტინის წარმატება იტალიელ მარტინ ვასალო არგუელოსთან – 6:3, 6:1.

## დევიდი და ვიქტორია შეტევაზე გადადიან

დევიდ ბექჰემმა და მისმა მეუღლე ვიქტორიამ გადაწყვიტეს, ომი გამოუცხადონ ინგლისურ ტაბლოიდს News of the world. ეს გადაწყვეტილება წყვილმა მას შემდეგ მიიღო, რაც ამ გამოცემაში დაიბეჭდა წერილების სერია, რომელიც ბექჰემის პატივსა და ღირსებას შეურაცხყოფს. ფეხბურთელის თქმით, იქ მოყვანილი ფაქტები აბსურდული და გადაუმოწმებელია.

შეგახსენებთ, რომ მარტო წინა კვირაში News of the world-მა ორჯერ გამოაქვეყნა მასალა, რომელიც თითქოს ბექჰემის საყვარლებს ეხებოდა. დევიდის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია ინტერვიუმ ყოფილ მდივან რებეკა ლუსთან. ამ ინტერვიუში ის ამბობს, თითქოს ბექჰემს მასთან სექსუალური კავშირი ჰქონდა.

ბექჰემის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დოკუმენტები, რომელიც გასულ უქმეებზე გამოქვეყნდა და დევიდისა და ვიქტორიას პირად საქმეებს შეეხებოდა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. "ბრიტანულ პრეს-სააგენტოში ამ დოკუმენტების კომენტირებაზე უარი განაცხადეს. ჩვენ უკვე მზად გვაქვს სარჩელი ამ გამოცემის წინააღმდეგ, რომელიც ბექჰემებზე ტყუილს წერს", – აღნიშნა ბექჰემების ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

გამოცემის პუბლიკაციები დევიდ ბექჰემის პირად ცხოვრებას შეეხებოდა. კერძოდ, მალაიზიელმა ფოტომოდელმა სარა მარბეკმა განაცხადა, რომ მას ორწლიანი რომანი ჰქონდა ფეხბურთელთან. ამჟამად 29 წლის გოგონა ავსტრალიაში ცხოვრობს. ბექჰემი კი 2001 წელს გაიცნო სინგაპურში, სადაც დევიდის მაშინდელი გუნდი "მანჩესტერ იუნაიტედი" შეკრებაზე ჩავიდა.

ფოტომოდელის თქმით, ის და დევიდი დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ცვლიდნენ SMS-ებს. ამის დასტურად ფოტომოდელმა გამოცემას წარუდგინა პირადი ხასიათის რამდენიმე SMS, სადაც ისინი ცნობილი საბავშვო ზღაპრის "პიტერ პენის" გმირების სახელებით მოიხსენიებდნენ ერთმანეთს.

რაც შეეხება ლუს, ისიც ამტკიცებს, რომ დევიდ ბექჰემთან ინტიმური კავშირი ჰქონდა მაშინ, როცა წყვილი ესპანეთში გადაბარგდა. ლუსმა თავისი ისტორიის სანაცვლოდ, ჰონორარის სახით, 350 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

*TV-სპორტი*

### ოთხშაბათი. 14 აპრილი

**НТВ+ ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
07:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "ATLANTA HAWKS" - "BOSTON CELTICS". მე-6 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" – "ლივერპული"
15:00 "ევროფანკლუბი"
15:30 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:25 თავისუფალი დარტყმა
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:10 "FUTBOL MUNDIAL"
18:45 რუსეთის თასი. ფინალი. "კრილია სოვეტოვ" – ცსკა პირდაპირი ტრანსლაცია. პირველი მატჩი
20:55 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
21:25 თავისუფალი დარტყმა
21:40 სახვალიო ტელეპროგრამა
21:45 რუსეთის თასი. ფინალი. "როტორი" – "ტერეკი". პირველი მატჩი
23:25 "დარტყმა გოლისთვის"
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ბეტისი" – "ბარსელონა". პირდაპირი ტრანსლაცია
01:50 თავისუფალი დარტყმა
02:05 რუსეთის თასი. ფინალი. "შინიკი" – "ლოკომოტივი". პირველი მატჩი
03:05 03:05-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
05:00 NBA TV. დღიური
05:30 NBA TV. "SAN ANTONIO SPURS" - "DENVER NUGGETS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 14:00, 16:35, 22:40 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:40 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/8 ფინალი
14:35 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:35 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის ჩემპიონატი. დღე მესამე
16:50 ჩოგბურთი. დევისის თასი. მეორე წრის მატჩების მიმოხილვა
17:45 "NHL – პლუს"
18:00 ფიგურული სრიალი. კურტ ბრაუნინგის შოუ
18:55 ფეხბურთი. რუსეთის თასი. ფინალი. "როსტოვი" – "ტორპედო-მეტალურგი". პირდაპირი ტრანსლაცია. პირველი მატჩი
21:00 "ათენის გზაზე"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:10 "Power week – NHL-ის კვირა"
23:00 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/8 ფინალი
01:15 ახალი ამბები
01:30 "NHL – პლუს"
01:45 01:45-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
13:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა - საუკეთესო
15:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
16:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
17:30 კრივი. ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში
19:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ისტორიიდან
20:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა - საუკეთესო
22:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
23:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
23:30 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი გერმანიაში
00:00 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი გერმანიაში
00:30 გოლფი. ევროპული ტური პორტუგალიაში
01:00 გოლფი. ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში
01:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
01:45 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. უეფას თასი
04:15 ახალი ამბები

*ფეხბურთი*

# იმპერიის დაცემა

ნინო პირველი

შავბნელი აღდგომა გაუთენდათ 2004 წლის 11 აპრილს მადრიდის "რეალის" ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს. "კოპა დელ რეის" წაგებას და ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნას პრიმერა დივიზიონში ლიდერობის დაკარგვაც დაემატა. "მონაკოსთან" დამარცხების შემდეგ მადრიდელთა პორტუგალიელი თავკაცი კარლოს კეიროში ხმამაღლა გაიძახოდა, ახლა მთელი ჩვენი ძალ-ღონე ესპანეთის ჩემპიონატის მოგებას უნდა შევალიოთ, რომ "რეალი" საერთოდ უტიტულოდ არ დარჩესო. მადრიდელთა გენერალური დირექტორი ხორხე ვალდანო კი ყველას უმტკიცებდა, "რეალში" კრიზისი არ არისო, მაგრამ ოცდამეთორმეტე ტურში "ოსასუნასთან" ჩაფლავების შემდეგ უკვე ვალდანოსაც მოუხდა იმის აღიარება, რომ "რეალს" მძიმე პერიოდი უდგას: "ოთხი წელიწადია, ასეთ რთულ სიტუაციაში აღარ ვყოფილვართ", - ოხვრით უთხრა არგენტინელმა ჟურნალისტებს.



"ოსასუნამ" "რეალი" მიწაზე დასცა

ესპანური პრესა შოკშია. ჟურნალისტები ერთმანეთს ეჯიბრებიან "რეალის" კრიზისის მხატვრულად აღწერაში. "რეალის" გალაქტიკაში მზის დაბნელებაა", - გლოვობს "მარკა". "ვინსენტე დელ ბოსკეს შეცვლა კარლოს კეიროშით დიდი შეცდომა იყო", - მიიჩნევს "AS"-ი. "რეალის" მცველები დაბნეული ქათმებივით აწყდებოდნენ აქეთ-იქით. საჯარიმო მოედანზე ჩაწოდებული ყოველი ბურთი პენალტზე უფრო სახიფათო იყო", - ირონიულად შენიშნავს "ელ პაისი". მოკლედ, "სამეფო კლუბის" ვარსკვლავები არავინ დაინდო - არც ჟურნალისტებმა და არც გულშემატკივრებმა. "სანტიაგო ბერნაბეუზე" "რეალის" მხარდასაჭერად მისული 60 ათასი ფანი მატჩის ბოლოს ფიგუს და კომპანიას უსტვენდა, მათ უნიათო თამაშს დასცინოდა, "ოსასუნას" ფეხბურთელებს "ოლეს" ძახილით ამხნევებდა და სტუმრების მიერ წამოწყებულ ყველა შეტევას ტაშით აჯილდოებდა. "რეალის" გალაქტიკოსებს საერთოდ არაფერი გამოსდიოდათ. იმ საღამოს მხოლოდ "ოსასუნა" იყო მოედანზე. მადრიდელთა განადგურება სტუმრებმა პირველივე წუთებიდან დაიწყეს. როგორც კი მატჩის არბიტრმა კარმონა მენდესმა სასტვენი მისცა, "ოსასუნას" ფეხბურთელებმა პირველი შეტევა განახორციელეს "რეალის" კარის მიმართულებით. რაულ ბრავომ და მიჩელ სალგადომ ერთმანეთს შეუშალეს ხელი, რითაც მშვენივრად ისარგებლა "რეალის" სკოლის აღზრდილმა, ექსფეხბურთელმა ვალდომ და თავის ყოფილ გუნდს ოცდამეთორმეტე ტურის უსწრაფესი გოლი გაუტანა. მადრიდელებისთვის ეს მოულოდნელი გოლი ისეთი შოკი აღმოჩნდა, რომ "რეალი" საერთოდ გამოვიდა წყობიდან. მატჩის დაწყებიდან თხუთმეტიოცი წუთის შემდეგ გულშემატკივრებმა სტვენა და ყვირილი დაიწყეს. "სამეფო კლუბის" საცოდაობის ყურებას ზოგიერთმა საერთოდ წასვლა ამჯობინა. ვინც არ წავიდა და ბოლომდე დარჩა, ნამდვილად არ უნანია. მართალია, "რეალმა" მთელი 90 წუთი საშინლად ჩაატარა, მაგრამ, სამაგიეროდ, "ოსასუნა" იყო შესანიშნავ ფორმაში. სტუმრები უტევდნენ, თავს კარგად იცავდნენ, ბურთს დამაჯერებლად აკონტროლებდნენ და "რეალის" შეცდომებს ელოდნენ, რომ ანგარიშში სხვაობა გაეზარდათ. პირველი ტაიმის მიწურულს "ოსასუნას" ამ სურვილის განხორციელებაში დაეხმარა "რეალის" გოლკიპერი იკერ კასილასი, რომელიც უაზროდ გამოვიდა კარიდან და პაბლო გარსიამ მას თავზე გადაუგდო ბურთი. "რეალს" ამის შემდეგაც შეეძლო, მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა - მადრიდელებს ხომ მთელი პირველი ტაიმი ჰქონდათ წინ. მაგრამ, სიტუაციის გამოსწორების ნაცვლად, მასპინძლებმა კიდევ ერთი გოლი მიიღეს საკუთარ კარში. 61-ე წუთზე ვალდომ ზუსტად გადააწოდა მოჰას, რომელმაც ზუსტი თავური დარტყმით გაიტანა ბურთი "რეალის" კარში. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ აღარაფერი მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ბოლომდე კიდევ ნახევარი საათი იყო დარჩენილი. "რეალმა" ისე დატოვა მოედანი, რომ პრესტიჟის გოლიც კი ვერ გაიტანა. ყველა სიკეთესთან ერთად, რონალდომ ტრავმაც მიიღო და, როგორც ექიმები ვარაუდობენ, ორი კვირა მაინც დასჭირდება ფორმის აღსადგენად. რას მოახერხებს "რეალი" რონალდოს გარეშე? "ფენომენთან" ერთად ვერაფერს გახდა და უმისოდ რაღა იქნება? ორი თვის წინ "რეალი" რვა ქულით უსწრებდა უახლოეს მდევრებს და ვერ შეძლო ამ სოლიდური უპირატესობის შენარჩუნება. ამ წაგების შემდეგ პრიმერა დივიზიონის ლიდერი გახდა "ვალენსია", რომელმაც "სარაგოსა" დაამარცხა სტუმრად. სწორედ ის "სარაგოსა", ვისი დაძლევაც ვერაფრით ვერ შეძლო "რეალმა" "კოპა დელ რეის" ფინალში. ფლორენტინო პერესი საგონებელშია ჩავარდნილი. სეზონის ბოლომდე ექვსი ტური რჩება და "ვალენსიას" უმეტესად სუსტ მეტოქეებთან უწევს თამაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტრიპლექსის შესრულებაზე მეოცნებე "რეალი" შეიძლება სულაც ცარიელი დარჩეს. თუ თავად "ვალენსია" არ წაიბორძიკებს, "რეალი", ალბათ, ვერ შეძლებს პირველ ადგილზე დაბრუნებას. რონალდოს ტრავმას დევიდ ბექჰემის ოჯახური კრიზისიც ემატება. ინგლისურმა ბულვარულმა გაზეთმა "სანმა" მთელ ქვეყანას გააგებინა ბექჰემისა და ჰოლანდიელი დიპლომატის ქალიშვილის, რებეკა ლოსის სასიყვარულო ისტორიის პიკანტური დეტალები. ყვითელი პრესის შეტევის შემდეგ ვიქტორია ადამსმა მეუღლის გამხნევება გადაწყვიტა და მადრიდში ჩავიდა. "პოშ სპაისი" მთელი საღამო გაღიმებას ცდილობდა, მაგრამ ისეთი დაძაბული სახე ჰქონდა, რომ ღიმილი საოცრად ყალბი და ნაძალადევი გამოსდიოდა. როგორ დასრულდება ბექჰემის ოჯახური დრამა? როდის დააღწევს თავს "რეალი" კრიზისს? ვის დანიშნავს ფლორენტინო პერესი კარლოს კეიროშის ნაცვლად? ბოლოს და ბოლოს, დაადგება საშველი კარგი მცველების შეძენას? მოიგებს "სამეფო კლუბი" ერთ ტიტულს მაინც ამ სეზონში? ეს ის კითხვებია, რომელიც მოსვენებას არ აძლევს "რეალის" ხელმძღვანელობას. კრიზისი არათუ დაიწყო, სენიორ ვალდანო, არამედ უკვე პიკს მიაღწია და თუ რამეს არ იღონებთ, გალაქტიკური გუნდისგან ნამსხვრევებიღა დარჩება...

# იაშინი მერვეა

ყოფილი საბჭოეთის ნაკრებისა და მოსკოვის "დინამოს" ლეგენდარულმა მეკარემ, ლევ იაშინმა უეფას გამოკითხვის მიხედვით ევროპაში მერვე ადგილი დაიკავა. გამოკითხვის (იგი უეფას 50 წლის იუბილეს მიეძღვნა) მიზანი იყო, გაერკვია ფეხბურთის ისტორიაში უძველესი კონტინენტის საუკეთესო მოთამაშე.



უეფა-მ იაშინი დააფასა

გამოკითხვაში, რომელიც უეფას ოფიციალურ საიტზე მოეწყო, ლევ იაშინი მერვე პოზიციაზე, ფრანგ მიშელ პლატინისა (9) და პორტუგალიელ ეუსებიოს (7) შორის დამკვიდრდა. "შავ ობობას" (ასე უწოდებდნენ ლეგენდარულ მეკარეს ევროპაში) საიტის 101,862 მომხმარებელმა მისცა ხმა. "ტოპ-10"-ში შესვლას იაშინი, ალბათ, პირველ სამ ევროპის ჩემპიონატზე თამაშს უნდა უმადლოდეს, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრები მუდმივად ფინალში გადიოდა.

1960 წელს საფრანგეთში იაშინი ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო იმ გამარჯვებისა, რომელიც საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა. მაშინ იაშინმა ჩეხების წინააღმდეგ ნახევარფინალურ მატჩში საკუთარი კარი მშრალად შეინახა. შემდეგ კი წარმატებით ითამაშა ფინალურ მატჩში, რომელიც საბჭოთა ნაკრებმა 2:1 მოიგო.

საინტერესო ის არის, რომ ფინალში იაშინი არა მხოლოდ საკუთარ კარს იცავდა, არამედ ის გუნდის მიერ გატანილი გოლების ერთ-ერთ თანაავტორადაც გვევლინებოდა.

აი, როგორ აღწერს 1960 წლის ფინალური მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდს იუგოსლავიის ნაკრების კარში გადამწყვეტი გოლის ავტორი ვიქტორ პონედელნიკი. "იაშინმა, როგორც ყოველთვის, ჩვენი გუნდის შეტევა წამოიწყო. მან ბურთი თამაშში ხელით შეიყვანა და თითქმის 60 მეტრზე გადმოაგდო მოედნის ცენტრალურ ზონაში, სადაც ვოინოვი და ბუბუკინი იდგნენ. ბუბუკინმა მიშა მესხს გადასცა პასი, ხოლო სამივე ფორვარდმა, მათ შორის მეც, მყისვე გავქუსლეთ მეტოქის საჯარიმო მოედნისკენ. მესხმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მაღალი ბურთი დაჰკიდა და მე თავით მეკარისგან შორეულ კუთხეში გავგზავნე ბურთი..."

იმ წარმატებული მატჩის შემდეგ იაშინს გულის გასატეხად ერთადერთი მიზეზი დარჩა. გამარჯვებით გამოწვეული იმ აჟიოტაჟის დროს ერთმა ფრანგმა გულშემატკივარმა მეკარეს მისი ცნობილი კეპი წაართვა.

ოთხი წლის შემდეგ ესპანეთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში იაშინი არცთუ ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა და საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ის მატჩი 1:2 წააგო. თუმცა, იაშინმა ექსტრა-კლასის თამაში გაცილებით უფრო ადრე, მერვედფინალში, იტალიის ნაკრების წინააღმდეგ აჩვენა. მოსკოვში საბჭოთა ნაკრებმა 2:0 მოიგო, მაგრამ განმეორებით შეხვედრაში იტალიელებმა მათ მოედნის ცენტრს იქით გადასვლის საშუალება არ მისცეს. მდგომარეობა დაძაბა თერთმეტმეტრიანმა საჯარიმო დარტყმამ, რომელიც იაშინის კარში პირველ ტაიმში დანიშნეს. თუმცა, "შავმა ობობამ" იტალიის ნაკრების ლიდერს, სანდრო მაცოლას ისეთი ჰიპნოზი გაუკეთა, რომ იტალიელმა პენალტი ვერ გამოიყენა. მისი დარტყმული ბურთი ლეგენდარულმა მეკარემ დაიჭირა.

იაშინმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ იტალიელებთან მატჩისა და მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლის გათვალისწინებით, რომელიც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის არსებობის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა, "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვით, საბჭოთა კავშირის ნაკრების მეკარე ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ეს ამბავი 1963 წელს მოხდა.

მომდევნო ევროპის ჩემპიონატზე იაშინმა შესარჩევ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ფინალურ ეტაპზე, 1968 წელს, უკვე აღარ უთამაშია.

სახელგანთქმული "შავი ობობა", რომელიც ფეხბურთის ისტორიაში უკვე ევროპის ათ საუკეთესო ფეხბურთელს შორის დამკვიდრდა, 1990 წელს 61 წლის ასაკში გარდაიცვალა.

# ერიქსონს ინგლისის არ სჯერა

ინგლისის ეროვნული ნაკრების შვედი მწვრთნელი, სვენ-გორან ერიქსონი არ თვლის ინგლისის ნაკრებს ევრო 2004-ის ფავორიტად. ერიქსონმა ესპანურ გაზეთ AS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ევრო 2004-ის მთავარი ფავორიტი ბუნდესნაკრებია. შვედის სიტყვებით, გერმანიის ნაკრები უძლიერესი გუნდია დღევანდელ ევროპაში და სწორედ ის მიაჩნია უმთავრეს ფავორიტად. "რა თქმა უნდა, ფანტასტიკური გუნდი ჰყავთ ფრანგებს, არც ტურნირის მასპინძლების, პორტუგალიელთა ჩამოწერა შეიძლება, მაგრამ გერმანელები ყოველთვის გამორჩეულად და ბოლომდე იბრძვიან, რაც იძლევა იმის საბაბს, რომ ბუნდესნაკრები უმთავრეს ფავორიტად მიმაჩნდეს", - განაცხადა შვედმა სპეციალისტმა, რომლისგანაც ასეთ სიტყვებს არავინ ელოდა - მას ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები ჰყავს. შეიძლებოდა ეს სიტყვები საბერძნეთის ან შვეიცარიის ნაკრები გუნდების მწვრთნელებს ეთქვათ და მართლებიც იქნებოდნენ, მაგრამ მწვრთნელს, რომლის გუნდშიც დევიდ ბექჰემი, მაიკ ოუენი, სტივენ ჯერარდი, სოლ ქემბელი და კიდევ ძალიან ბევრი უმაღლესი დონის ფეხბურთელი თამაშობს, ასეთ განცხადებას არ უნდა აკეთებდეს.

ერიქსონის პროგნოზი და მსოფლიოს უმსხვილესი ბუკმეკერული კანტორის, William hill-ის პროგნოზები ერთმანეთისგან განსხვავდება. ჰილის კანტორა უმთავრეს ფავორიტად საფრანგეთის ეროვნულ გუნდს თვლის. მას მოყვება იტალიის ეროვნული გუნდი, მერე მოდიან პორტუგალიელები, გერმანიის ნაკრები კი მეშვიდე ადგილზეა. მართალია, ევროპის თუ მსოფლიოს თითქმის არც ერთი ჩემპიონატი უსენსაციოდ არ მთავრდება, მაგრამ ბუნდესნაკრებმა უკვე მოახდინა სენსაცია, როდესაც იაპონია-კორეაში ფინალში გავიდა. მეორე სენსაციის მოხდენა ნამეტანი გაუჭირდებათ, მით უფრო, რომ ევროპაში მათზე გაცილებით და აშკარად ძლიერი გუნდები არიან, მათი პოტენციალი კი დღითი-დღე ეცემა.

რაც შეეხება პორტუგალიის შანსებს, თავად ლუიშ ფიგუმ განაცხადა, რომ მათ ტურნირის მოგების არანაირი შანსი არა აქვთ.

როგორ შეიძლება დავიჯეროთ ერიქსონის ან ფიგუს სიტყვები? შესაძლოა, ასეთი გამოსვლები ევროპის ჩემპიონატის წინ რაღაც ხერხები, ეშმაკური ტყუილები იყოს, მაგრამ თუ ეს მართლა ეშმაკობაა, ვერ უნდა მიხვდნენ, რომ მათ სიტყვებს არავინ დაიჯერებს? და თუ ერთი ან მეორე ხელმძღვანელობას დააჯერებს თავიანთ სიტყვებში, მაშინ მათ, ალბათ, გაუშვებენ ნაკრებიდან.

ყოველ შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატი ახლოვდება და სულ მალე გავიგებთ, ვინ აღმოჩნდება მართალი - სვენ-გორან ერიქსონი თუ უილიამ ჰილი. ერიქსონს კი ნამდვილად შეუძლია მოინდომოს და გუნდს მაქსიმუმი გააკეთებინოს.

სვენ-გორან ერიქსონს მხოლოდ დაცვის პრობლემა აქვს, რისი აღმოფხვრაც ძალიან გაუჭირდება, მაგრამ საკმარისია ერთი-ორი ნორმალური მცველი და, ყველაფერი თუ არა, პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგვარდება - მას ხომ ძალიან ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავს, რის ხარჯზეც შეუძლია, დაცვის დანაკლისი აანაზღაუროს.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ესპანეთის "ბარსელონასა" და ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი რონალდინიო არ ითამაშებს ლონდონის "ჩელსის" შემადგენლობაში. ამას წინათ "ბარსას" ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა, განეხილა აბრამოვიჩის წინადადება, რომელიც ბრაზილიელის სანაცვლოდ 50 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიდა. ამასთან, კატალონიური კლუბის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ რონალდინიო საფეხბურთო კარიერას სწორედ "ბარსელონაში" განაგრძობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მილანის "ინტერის" ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ დაადასტურა, რომ ოთხშაბათს უეფას თასის განმეორებით მატჩში საფრანგეთის "მარსელის" წინააღმდეგ ითამაშებს. კვირას ვიერის "პერუჯასთან" მატჩის შემდეგ თავი გაუტყდა. ვიერი მიემართებოდა ავტობუსისკენ, რომელსაც გუნდი სტადიონიდან უნდა გაეყვანა, როცა ერთ-ერთმა ფანმა მას ბოთლი ესროლა. "მე უკვე კარგად ვგრძნობ თავს, – განაცხადა იტალიის ნაკრების ფორვარდმა, – ცოტა თავბრუ მეხვევა და თავი მტკივა, მაგრამ სერიოზული არაფერია. ნამდვილ გულშემატკივრებთან არავითარი პრეტენზია არა მაქვს, იმ რამდენიმე ხულიგანს კი უბრალოდ, არაფერს ვეტყვი".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "პორტუს" ხელმძღვანელობამ კონტრაქტები გაუგრძელა პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელებს – ვიტორ ბაიასა და ჟორჟე კოშტას. ამრიგად, ახალი შეთანხმების საფუძველზე, გუნდის კაპიტანი კოშტა "პორტუში" 2006 წლის ზაფხულამდე, ბაია კი 2007 წლამდე დარჩება. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ "პორტუ" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა, სადაც ესპანურ "დეპორტივოს" შეხვდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დანიის ნაკრების ფორვარდმა იონ დალ ტომასონმა "მილანისგან" წინადადება მიიღო კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. "მილანი" პლანეტის საუკეთესო კლუბია, ამიტომ დაუფიქრებლად დავთანხმდები", – განაცხადა იონ დალ ტომასონმა. შეგახსენებთ, რომ დანიელის ახლანდელი კონტრაქტი 2006 წელს ამოიწურება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსი" ამ სეზონის ბოლოს აპირებს, "პორტუს" ნახევარმცველი მანიშე გადაიბიროს. პორტუგალიელმა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში "ლიონის" წინააღმდეგ დუბლი შეასრულა და, როგორც ჩანს, აბრამოვიჩზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შეთანხმების ალბათობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ითამაშებს მანიშე ევროპის ჩემპიონატზე.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" ფორვარდი რონალდო ვერ ითამაშებს მადრიდულ დერბიში "ატლეტიკოს" წინააღმდეგ, რომელიც კვირას გაიმართება. ბარძაყის ტრავმის გამო ის, ალბათ, ერთი კვირის შემდეგ, "ბარსელონას" წინააღმდეგაც ვერ ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "პსვ ეინდჰოვენის" ფორვარდი არიენ რობენი, როგორც ჩანს, ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს. "გრონინგენთან" მატჩში მან ტერფის ტრავმა გაიღიზიანა. "ვფიქრობ, არიენმა "პსვ ეინდჰოვენის" შემადგენლობაში თავისი უკანასკნელი მატჩი ითამაშა", – განაცხადა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა. ზაფხულში ფეხბურთელი ლონდონის "ჩელსიში" გადადის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "დეპორტივოს" მწვრთნელი ხავიერ ირურეტა გუნდთან კონტრაქტს უახლოეს პერიოდში განაახლებს. შეთანხმება "პორტოსთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის დასრულების შემდეგ გაფორმდება. ირურეტას ახლანდელი კონტრაქტი ზაფხულში იწურება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები თავისი ფეხბურთის ფედერაციის 125 წლისთავს გერმანიის ნაკრებთან შეხვედრით აღნიშნავს. ამხანაგური მატჩი 4 ივნისს "უინძორ პარკზე" გაიმართება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლოს მადრიდის "რეალის" ახალგაზრდა ფორვარდმა ხავიერ პორტილიომ კლუბი დატოვოს. ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი უკმაყოფილოა იმ სათამაშო დროით, რომელსაც მას გუნდის მთავარი მწვრთნელი გამოუყოფს. "პორტილიო უბედურია, რადგან მინდორზე მისთვის ადგილი არ გამოინახა", – განაცხადა ჰერმინიო მენენდესმა. ფორვარდის შესყიდვაზე "ბარსელონა", "ნიუკასლი" და "ჩარლტონი" აცხადებენ პრეტენზიას.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ფიამ უარი თქვა იდეაზე, გრან-პრის დროს ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტები სტიუარდების როლში გამოიყენოს. ფიას ხელმძღვანელობის აზრით, ყოფილი პილოტები სტიუარდებზე უკეთ ვერ გაუძღვებიან საქმეს. საუბარია იმ სასჯელზე, რომელიც უშუალოდ რბოლის დროს პილოტებისთვის გამოაქვთ. სტიუარდები შეცდომებს უშვებენ და სასჯელს მიზანმიმართულად უდგენენ.

## ინტერვიუ

# სპორტი და კულტურა სამინისტროს თვალით

გიგა გურასაშვილი

რა მოყვება სპორტისა და კულტურის სამინისტროების შერწყმას, რამდენად მოქნილი შეიძლება იყოს ორივე დარგი, რამდენად ბალანსირებული, ან ხელს ხომ არ შეუშლიან ერთმანეთს? ასეთი კითხვები ლოგიკურად გაჩნდა მას შემდეგ, რაც "ვარდების რევოლუციას" ამ დარგების გაერთიანება და ერთ სამინისტროში მოქცევა მოყვა. შესაძლოა, ვინმეს უცნაურადაც მოეჩვენა ამგვარი ნაბიჯი, მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ველოსიპედი არ გამოგვიგონია. კარგა ხანია, უცხოეთში ეს მეთოდი აპრობირებულია. თუ ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სპორტსა და კულტურას ერთიან ორგანიზმად განიხილავდნენ. ამის ბრწყინვალე დასტურია ის, რომ ანტიკურ ხანაში ბერძნები ოლიმპიური თამაშების პარალელურად აწყობდნენ კულტურულ ოლიმპიადებს.

და მაინც, ამ თემასთან დაკავშირებით უინტერესო არ უნდა იყოს სპორტისა და კულტურის მინისტრთან **გიორგი გაბაშვილთან** გასაუბრება.

**- რამდენად შერწყმული იქნება სპორტი და კულტურა და, საერთოდ, რამდენად მართებულად შეიძლება ჩაითვალოს ამ ორი სფეროს გაერთიანება?**

- რასაკვირველია, სპორტი და კულტურა შერწყმული იქნება. ბევრ ქვეყანაში ესაა ერთი და იგივე სტრუქტურის მმართველობის სფერო. და, საერთოდ, სპორტისა და კულტურის განვითარება არ არის დიდად დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მმართველობის ფორმა ექნება ამ სფეროებს. მთავარია, მთავრობის მხრიდან მეტი ყურადღება მიექცეს და საზოგადოებრივი აქტივობაც მაღალი იყოს. ვთვლი, რომ ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ, სამინისტროს საშტატო რიცხოვნება ან სხვა რამ. აქ მთავარი ის კი არაა, როგორი იქნება ბალანსი, არამედ საუბარია ახალ სამინისტროზე, სადაც თავიდან იქნება გააზრებული თითოეული ერთეული.


გაბაშვილი საზოგადოებას აქტიურობისაკენ მოუწოდებს

**- დღემდე პრობლემად რჩება მეცენატობის საკითხი. ის ბიზნესმენები, რომლებიც სპორტსა და კულტურას ფინანსურად შეეწევიან, ალბათ, გარკვეული შეღავათებით უნდა სარგებლობდნენ...**

- ამ საკითხთან დაკავშირებით კანონმდებლობაში აუცილებლად შევიტანთ ცვლილებებს. უკვე ვმუშაობთ ამაზე.

**- მთავრობის ერთ-ერთი სხდომა ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას მიეძღვნა. ორი წლის წინ ოლიმპიურ ჩემპიონთა და პრიზიორთათვის დაწესებული პრემიალურების საკითხი თუ იქნა განხილული და ამ მხრივ რამე ცვლილება ხომ არაა?**

- შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს და დაარეგულირებს ყველა საკითხს, მათ შორის, ამ საკითხსაც.

**- ესე იგი, კონკრეტული ცვლილებები არ არის და არც პრემიებით გათვალისწინებული თანხა დაიბეგრება?**

- მთავრობის დადგენილებით, ოლიმპიური პრემიები გათავისუფლებულია ბეგარისგან. არც პრემიების ოდენობა შემცირებულა. ასე რომ, მათ, ვისაც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე წარმატების პრეტენზია აქვთ, საფრთხე არ ემუქრებათ.

## კალათბურთი

# ჩემოდნები ჩაალაგე, ანდრიუშა!

სანდრო ნავერიანი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი დღე დარჩა, მაგრამ "დენვერ ნაგეთსმა" უკვე გაინაღდა პლეი-ოფში თამაში. ნიკოლოზ ცქიტიშვილი ერთადერთი ქართველია, რომელმაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალურ თამაშებში გააღწია. გუშინ თბილისში თენდებოდა, როდესაც დენვერელებმა საკრამენტოელ მეფეებზე გამარჯვება იზეიმეს. მათთვის ეს გამარჯვება, ალბათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება ცხოვრებაში - მათ ხომ პლეი-ოფში გააღწიეს? ეს კი ვერ შეძლეს ისეთმა გუნდებმა, რომლებშიც ალენ აივერსონი და ტრეისი მაკგრეიდი თამაშობენ.

"დენვერს" კოჭებში ეტყობოდა, რომ სენსაციას მოახდენდა, მაგრამ მოვლენების ასეთი განვითარება თვად კალათბურთელებსაც კი ვერ წარმოედგინათ. ჯეფ ბზდელიკი, როგორც მოსალოდნელი იყო, რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელი გახდა და თუ პლეი-ოფის ერთი ბარიერი მაინც გადალახა, ალბათ, წლის საუკეთესო მწვრთნელი გახდება. საკრამენტოელ მეფეებთან შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია ნიკოლოზ ცქიტიშვილს, მაგრამ ბზდელიკს ჩვენებური არ დავიწყებია და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში "სკიდაზეც" ჩამოაგდო ლაპარაკი. "მართალია, ჩვენ მოვიგეთ კონკრეტული მატჩი და პლეი-ოფში გავედით, მაგრამ, იცოდეთ, ყველა იმ კალათბურთელს, რომელსაც დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია, დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს წარმატებაში. მინდა გამოვყო ნიკოლოზ ცქიტიშვილი, რომელმაც დამარწმუნა, რომ შეუძლია დიდი კალათბურთის თამაში. ეს ზამთარში, "მინესოტასთან" მატჩის დროს მოხდა, როდესაც ის ჩვენი გუნდის აშკარა ლიდერი იყო", - აი, ასეთი მაღალი აზრის არის ჯეფ ბზდელიკი ნიკოლოზ ცქიტიშვილზე. ბზდელიკმა ბევრი ილაპარაკა სხვა კალათბურთელებზეც, მაგრამ ყველაზე მეტი ქათინაური, რა თქმა უნდა, კარმელო ენტონის ერგო. კარმელო, მართლაც, იმსახურებს ქათინაურებს - მან პირველი სეზონი ჩაატარა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და თავისი გუნდის აშკარა ლიდერი იყო. ასე რომ, ანდრეი კირილენკოს ჩემოდნების ჩალაგება და "მატიუშკა რასიაში" ჩასვლა მოუწევს.


კარმელო ენტონი და მისი "დენვერი" პლეი-ოფში ითამაშებენ

მოკლედ, დასავლეთ კონფერენციაში, ისევე როგორც აღმოსავლეთში, პლეი-ოფის რვავე მონაწილე გარკვეულია. აღმოსავლეთ კონფერენციის მერვე საგზურის პრეტენდენტად, ჯერ იყო და, "კლივლენ კავალიერსი" მოიაზრებოდა, შემდეგ - "ტორონტო რეფტორზი". საბოლოოდ კი მერვე საგზური "ბოსტონ სელტიქსმა" მოიპოვა.

ერთი სიტყვით, პლეი-ოფის თექვსმეტივე მონაწილე გარკვეულია. ესენი არიან:

**აღმოსავლეთ კონფერენციიდან:** "ინდიანა პეისერზი", "ნიუ-ჯერსი ნეთსი", "დეტროიტ პისტონზი", "მილუოკი ბაქსი", "მაიამი ჰიტი", "ნიუ-ორლენს ჰორნეთსი", "ნიუ-იორკ ნიქსი" და "ბოსტონ სელტიქსი".

**დასავლეთ კონფერენცია:** "მინესოტა თიმბერვულვზი", "საკრამენტო ქინგზი", "სან-ანტონიო სფურზი", "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი", "მემფის გრიზლის", "დალას მავერიქსი", "ჰიუსტონ როქეთსი" და "დენვერ ნაგეთსი".

## ბოულინგი

# ბოულინგური აზარტის ხიბლი

ანუ რა სარგებლობა მოაქვს ბოულინგს

თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ ბოულინგის პოპულარობა განსაზღვრა, ერთი მხრივ, თამაშის წესების სიმარტივემ და, მეორე მხრივ, იმ გარემოებამ, რომ იგი აქტიურ გართობასთან ერთად სპორტულ აზარტსაც მოიცავს. მაინც რით არის აგრერიგად სახეირო ასეთი თავშექცევა? გნებავთ, გაიგოთ, რატომ თამაშობენ ბოულინგს ასეთი გატაცებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და რატომ ცდილობენ სარეიტინგო მაჩვენებელთა სტაბილურ დარეგულირებას პროფესიონალი მოთამაშეები?

უმთავრესი მოტივი, რის გამოც ბოულინგმა საყოველთაო სიყვარული მოიპოვა, ეს არის მისი დემოკრატიული ბუნება. ბოულინგს ერთნაირი ხალისით თამაშობს დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყოველგვარი ზედმეტი წვრთნისა და წინასწარი ფიზიკური მომზადების გარეშე. რაც მთავარია, არ არის საჭირო სპეციალური სპორტული აღჭურვილობის შეძენა. ერთადერთი მოთხოვნა, რაც აუცილებლად უნდა დაიცვან მოყვარულმა მოთამაშეებმა (პროფესიონალებმა ხომ ეს ისედაც იციან), ბოულინგის სათამაშო ფეხსაცმლის ჩაცმაა. ყველა ბოულინგცენტრი უზრუნველყოფილია ასეთი ფეხსაცმლით სათანადო ერთჯერად წინდებთან ან ფეხსაცმლის სადეზინფექციო საშუალებებთან ერთად. მაშ, მოირგეთ ფეხზე სპეციალურლანჩიანი ბოტასი და გააგორეთ ბურთი ბილიკზე.



არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოულინგის თამაშისას სხეულის სხვადასხვა კუნთები კოორდინირებულად იტვირთება და მოძრაობათა დაბალანსება თქვენი ორგანიზმის ჰარმონიულ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ სათამაშო ბილიკებზე მონიშნული ისრები, ე.წ. სამიზნეები, სწორედ ის ორიენტირია, რომლის მიმართულებითაც უნდა გაასრიალოთ ბურთი. პრაქტიკოსთა დაკვირვებით, ბურთის სროლისთვის სასურველი ტრაექტორიის შერჩევა მხედველობის გაუმჯობესების საწინდარია.

სხვათა შორის, ასე მარტივად გადაწყვეტილი ტაქტიკური სამოქმედო სვლების გაკეთება ლოგიკური აზროვნების შემდგომ დახვეწასაც წაადგება. შეიძლება ითქვას, რომ თამაშის წესები თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილებისთვის გარკვეულ პრაქტიკულ დანიშნულებას იძენს. ასე ხალისით შეძლებთ, დაგეგმოთ, რა გზა აირჩიოთ მიზნის მისაღწევად და როგორ იმოქმედოთ საქმეში წარმატების მოსაპოვებლად. შედეგი კი, გარწმუნებთ, ეფექტური იქნება, რაკი ფიზიკურად განტვირთული ხართ, ემოციურად დადებითად დამუხტული და გონებრივად მიზანმიმართული ქმედებისკენ განწყობილი. აი, რატომ გირჩევთ, გაერთოთ ბოულინგით.

კიდევ რა ხეირს მოგვიტანს? თუ კარგად აითვისებთ მარტივი თამაშის რთულ ნიუანსებს, ანუ "დაამულამებთ" თამაშს და გახდებით პროფი, დიდი შანსი გაქვთ, გახვიდეთ საერთაშორისო ასპარეზზე. იქ კი, შეგახსენებთ, საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდები თქვენნაირ მოყვარულ მოთამაშეებს მრავალ სიურპრიზს უმზადებს.

*ახლა მთავარია, მოინდომოთ. ჩვენ კი გარწმუნებთ, რომ ბოულინგური აზარტით მოხიბლულებს, მართლაც, მრავალი სარგებელი გელით.*

# პაპთა კალეიდოსკოპი

ცუდად იყო საქმე XIII საუკუნის ბოლოს: ჯვაროსნები მარცხდებოდნენ, კარდინალებიც ერთმანეთს ვერ უთანხმდებოდნენ. აი, 1291 წელს პაპი **ნიკოლოზ IV** გარდაიცვალა, შემცვლელი კი ვერა და ვერ აირჩიეს. ორი წლის განმავლობაში კამათობდნენ კანდიდატურაზე და ბოლოს იტალიაში, აბრუცოს მთებში გადაკარგული განდეგილი იპოვეს. ძალიან არ სურდა, მაგრამ რომში წაიყვანეს და **ცელესტინე V**-ის სახელით აიყვანეს წმიდა საყდარზე. მაგრამ განა წმინდანი შეძლებს პაპობას? ცელესტინემაც მმართველობის სრული უუნარობა გამოამჟღავნდა და საეკლესიო ქონების უპოვართათვის დარიგება დაიწყო. სახარება ჰქონდა წაკითხული და რა ექნა? ბოლოს თვითონაც მიხვდა რა დავიდარაბაში გაჰყო თავი და ნებაყოფლობით დაუბრუნდა თავის გამოქვაბულს.

ჰქონდა კი გადადგომის უფლება. თანამედროვენიც და შემდგომი თაობებიც ბევრს კამათობდნენ ამ საკითხზე. **დანტე ალიგიერიმ** თავის მოგონილ ჯოჯოხეთში მოათავსა საბრალო ქრისტიანი. მაგრამ კამათზე გაცილებით მნიშვნელოვანი ახალი პაპის არჩევა იყო.

ასე მოვიდა **ბონიფაციუს VIII**. ეს კი თავისი წინამორბედის სრული ანტიპოდი იყო და სწორედ ამიტომაც ვერ აღმოჩნდა პაპობისთვის მიზანშეწონილი. ანჩხლი და ძალაუფლების მოყვარული ბონიფაციუსი მთელ ქვეყნიერებას გადაეკიდა. იტალიაში **კოლონას** უძლიერეს საგვარეულოს დაუწყო დევნა, საფრანგეთში თვით მეფის, **ფილიპე მშვენიერის** გადაყენება მოინდომა. მეფემაც არც აცია, არც აცხელა და თავის მინისტრს, **გიომ დე ნოგარეს** პაპის დაპატიმრება უბრძანა იტალიის ქალაქ ანანიში. მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაცია იტალიელი **შარა დი კოლონას** დახმარებით ჩატარდა. რომელი იყო ცენტრი და რომელი რეგიონი? საკითხი ასე არ იდგა: ძალაუფლებისთვის ბრძოლა საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შორის მიმდინარეობდა. ბონიფაციუსი მალე გაათავისუფლეს, მაგრამ ერთ თვეში გარდაიცვალა ნერვიული შოკის გამო.

საინტერესოა, როგორ შეძლო მეფემ პაპზე ხელის აღმართვა? 1303 წლის 14 ივნისს საფრანგეთის სამღვდელოების კრებამ პაპი ბონიფაციუსი ერეტიკოსად გამოაცხადა. მისი დაპატიმრების საბაბიც ეს იყო: ნოგარეს საფრანგეთში უნდა ჩამოეყვანა პონტიფიკი, რომ ამ უკანასკნელს კრების წინაშე ემართლებინა თავი. მართალია, ბონიფაციუსი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ პრობლემა დარჩა: შეიძლება თუ არა, პაპი ერეტიკოსი იყოს? უნდა ითქვას, რომ თვით ბონიფაციუსმა შეუწყო ხელი ამგვარ თვალსაზრისს, როცა აღწერილ მოვლენებამდე ცოტა ადრე განაცხადა, რომ ეს შესაძლებელია და მაშინ პაპი ძალით უნდა იქნეს გადაყენებული. ამგვარად ბონიფაციუსმა თვითონვე უარყო პაპის უცდომელობის დებულება. ეს განცხადება მის წინააღმდეგ შემოტრიალდა. ვილაც-ვილაცეები ამტკიცებდნენ, რომ პაპს სულის უკვდავებისა არა სწამს. ეკლესია ორად გაიყო.

ბოლოს კარდინალების კონკლავმა გადაწყვიტა, რომ მოკამათე მხარეებს **ბენედიქტე IX** შეარიგებდა. მაგრამ ახალმა პონტიფიკმა, როგორც კი აირჩიეს, მომრიგებელი მოსამართლის ნიღაბი ჩამოიშორა და სასტიკი რისხვა დაატეხა თავს ნოგარესაც და შარა დი კოლონასაც. ეს ბუნებრივი იყო: ძალიან ძნელია საკუთარი წინამორბედის ერეტიკოსობა აღიარო, როცა იცი, რომ ამით შენივე მომავალს ართულებ. პოლიტიკური ვითარება ფილიპე მშვენიერის წინააღმდეგ შემობრუნდა. მაგრამ პაპმა ბენედიქტემ ზომაზე მეტი ლეღვი მიირთვა და მოუნელებლობით გარდაიცვალა.

ნოგარე წერდა: "ყველა საერო და საეკლესიო მთავარზე უძლიერესმა ღმერთმა განგმირა მეუფე ბენედიქტე და ის მე ველარ გამასამართლებს".

ახალი პაპი, **კლიმენტ V** საფრანგეთში დარჩა: იქ ლეღვი უფრო გვიან მწიფდება და შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში სიცოცხლის შენარჩუნების მეტი შანსი იყო. მაგრამ ამ პაპმაც უარი თქვა ბონიფაციუსის ერეტიკოსად გამოცხადებაზე. სულაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მეფისა და მისი მინისტრის მტერი იყო. უბრალოდ, ეკლესიის ამქვეყნიური ძალაუფლებისთვის მართლაც სახიფათოა მისი თუნდაც გარდაცვლილი მეთაურის ერეტიკოსად გამოცხადება. პაპის მთელი ენერგია პროცესის გაჭიანურებაზე დაიხარჯა. შუა კრიზისში კი ფილიპემ მას ტამპლიერთა საქმის დეტალები გააცნო. პაპი მართლაც რომ ავინიონის ტყვეობაში აღმოჩნდა: რომში იმ დროს სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და იქ დაბრუნება შეუძლებელი იყო.

ხშირად ამბობენ, რომ კლიმენტმა ტამპლიერთა ორდენი გაწირა, რათა ბონიფაციუსის სახელი გადაერჩინა. თითქოს ასეთი იყო მეფესა და პაპს შორის გარიგება. მაგრამ ეს საკმაოდ მარტივი ახსნა ქრონოლოგიით არ დასტურდება.

ბონიფაციუსის კრიზისი საკმაოდ მოხდენილად ჩაიფარცხა 1310 წელს, როცა მეფე პაპის დატყვევებაში უდანაშაულოდ სცნეს და ყველაფერი ნოგარეს გადააბრალეს. ამ უკანასკნელმაც სასამართლო დარბაზშივე მიიღო პაპის შეწყალება. ბონიფაციუსის უკანონო განჩინებები გააუქმეს და ერთადერთი, რაშიც ბრალი დასდეს, "სიჯიუტე" იყო. ამგვარად, ბონიფაციუსს მოეხსნა ერეტიკოსობის ბრალდება. ერთადერთი რამ რჩებოდა: არჩევნების ლეგიტიმურობა. აქაც კლიმენტმა მშვენიერი გამოსავალი იპოვა. მან წმინდანად შერაცხა ცელესტინე, რითაც კანონიერად იქნა აღიარებული მისი გადადგომა. კანონიერი გადადგომის შემდეგ კი არჩევნებიც კანონიერია.

იყო თუ არა დანტეს მიერ ჯოჯოხეთში ჩაგდებული ცელესტინე სინამდვილეში წმინდანი? ან ბონიფაციუსი — ერეტიკოსი? ამ შეკითხვებს ისტორიისათვის არანაირი აზრი არ გააჩნია. სააქაოში მოვლენები ისე განვითარდა, რომ პირველზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ, მეორეზე კი უარყოფითად. როგორ განსჯის ღმერთი? შეიძლება სულ სხვანაირად განსაჯოს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ პოლიტიკაზე საუბარს პოემების კითხვა ურჩევნია.


ცელესტინე მეხუთე

# ტამპლიერთა ტრაგედია II

## ტამპლიერები პროცესამდე

ტაძრის ორდენი XIV საუკუნის დასაწყისში ეს უკვე აღარ იყო რაინდთა ის მისტიური ძმობა, რომელსაც წმიდა ბერნარი ასხამდა ხოტბას. ორდენი საოცრად შეიცვალა და ამის მიზეზად სიმდიდრე უნდა მივიჩნიოთ: ფული ყოველთვის აფუჭებდა კაცთა იდეალურ ზრახვებს. მაგრამ ეს უცნაური სიმდიდრე იყო, რადგან ორდენის ისტორიის ბოლომდე ყოველ ცალკე აღებულ ტამპლიერს არავითარი საკუთრება არ გააჩნდა და, როგორც ორდენის წესდება ითვალისწინებს, თავისი თავის გამოსასყიდად მხოლოდ მოსასხამისა და ხანჯლის დათმობა შეეძლო. ამ წესიდან არც თვით მაგისტრი იყო გამონაკლისი. ტამპლიერთა ორდენი ღატაკი წევრებისაგან შედგენილი უმდიდრესი ორგანიზაცია იყო.

იმ ტიპის ისტორიკოსები, რომლებიც ყველაფრის გადაჭარბებას არიან ჩვეული, ორდენის მოძრავ ქონებას 112 მილიარდი ფრანკით ითვლიან. რა შეიძლება ითქვას? — ორდენის სიმდიდრე მართლაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ, ძირითადად, უძრავი ქონებით გამოიხატებოდა: ტერიტორიები, 10 000 მეტი ციხე-დარბაზი...

ეს სიმდიდრე ოთხი წყაროდან გროვდებოდა:

ა) ორასი წლის განმავლობაში მიღებული შემოწირულობები. ტამპლიერები ძალიან ცოტას ხარჯავდნენ და ძალიან ბევრს იღებდნენ ძღვნად.

ბ) საბრძოლო ნადავლი, რომელიც ოფიციალურად დაშვებული იყო რომის პაპის 1139 წელს გამოცემული დადგენილებით.

გ) წმიდა მიწის მომლოცველთაგან აღებული გადასახადები და მათი ნებაყოფლობითი შეწირულობა.

დ) საბანკო ოპერაციები. ეს საქმე იმდენად მაღალ დონეზე იყო, რომ თანამედროვე ეკონომისტებსაც უკვირთ. სწორედ ტამპლიერებმა გამოიგონეს თამასუქი, ჩეკის საშუალებით უნაღდო ანგარიშსწორება და კრედიტის ყველა სახეობა.

მაგრამ იბადება ერთი ძალიან მარტივი და საბედისწერო შეკითხვა: რას ემსახურება ორდენი? არაბთა სულთნის, **სალაჰ-ედ-დინის** (ევროპული წყაროები მას სალადინად მოიხსენიებენ) სამხედრო მოქმედების შედეგად 1187 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი დაკარგეს. 1291 წელს კი დაეცა ქალაქი აკრა, იერუსალიმის ლათინური სამეფოს უკანასკნელი ბასტიონი. ტამპლიერები გააფთრებით იბრძოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლათინური სამეფო გაუქმდა, გაქრა მათი არსებობის პირვანდელი მიზანიც: ტამპლიერთა ორდენი უკვე აღარაფერს ემსახურებოდა. საოცარია, მაგრამ ამან კიდევ უფრო სასიკეთო გავლენა იქონია მის ყოფაზე.

რეზიდენცია გადაიტანეს საფრანგეთში, ტამპლიერებმა შეინარჩუნეს თავიანთი ევროპული ტერიტორიები და მშვიდად შეუდგნენ საბანკო საქმეს, რადგან სხვა საკეთებელი არაფერი ჰქონდათ. ორდენის სიმდიდრე და გავლენა განუხრელად და ყოველგვარი რისკის გარეშე იზრდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ არავის მოსვლია თავში უკვე ნახსენები მარტივი შეკითხვა: რას *ემსახურებოდა ორდენი?*

სამაგიეროდ ამ დროიდან იწყება ტამპლიერთა რეპუტაციის დაცემა. იგივე ადამიანები, რომლებიც სხვა პირობებში იერუსალიმს გაემგზავრებოდნენ და მათ დამცველ ჯვაროსან რაინდთა მიმართ მადლიერებით აღივსებოდნენ, ახლა უკვე ძუნწ და ცბიერ ბანკირებს უთვლიდა წყევლა-კრულვას. გაჩნდა გამოთქმა: "სვამს, როგორც ტამპლიერი". ამოქმედდა ჭორების მექანიზმი და სოფლებსა თუ ქალაქებში პატარა ბიჭუნებს აფრთხილებდნენ, თავი აერიდებინად თეთრმოსასხამიანი რაინდების ალერსისაგან.

XIII საუკუნის ბოლოდან უკვე ვერც ერთ ფრანგულ ქრონიკას ვერ ვიპოვით, ტამპლიერთა მიმართ რაიმე კეთილი სიტყვა გაიმეტოს. ზოგი ისტორიკოსი ორდენის გამართლებას ცდილობს, მაგრამ განა მათ მეტი იციან, ვიდრე თანამედროვე მემატიანეებმა, **ჟუანვილმა** და **გიომ ტირელმა**? ფეოდალებიც არ სწყალობენ ორდენს. ცნობილია გრაფ **არტუას** მიერ ნათქვამი სიტყვები: "ტამპლიერებს რომ სდომებოდათ, წმიდა მიწას კარგა ხანია დავიპყრობდით". ფეოდალს ბევრი მიწა აქვს, მაგრამ ყოველთვის აწუხებს ნაღდი ფულის პრობლემა. ბუნებრივია, რატომაც არ უყვარს ბანკირები.

მაგრამ ტამპლიერთა წინააღმდეგ უფრო სერიოზული ბრალდებები არსებობდა:

1) როცა 1187 წელს სალადინმა იერუსალიმი აიღო, მან ქალაქის ქრისტიანულ მოსახლეობას სიცოცხლე შეუნარჩუნა და გამოსასყიდი დააწესა: 10 ოქრო მამაკაცზე, 5 — ქალზე და 2 — ბავშვზე. მხოლოდ მდიდრებმა შეძლეს საკუთარი თავისა და ნათესავების გამოსყიდვა. სხვებს იმედი არ დარჩათ. ტამპლიერებმა ამ დროს სრულიად შეინარჩუნეს თავიანთი დიდძალი სიმდიდრე, მაგრამ ერთი ოქროც ვერ გაიმეტეს ქრისტიანთა გამოსასყიდად. მათი სიძუნწის გამო 16 000 ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები, არაბთა მონობაში დარჩა. მართალია, ორდენის მაგისტრი, **ჟირარ დე რიდფორი**, ტყვეობაში იყო და მისი ბრძანების გარეშე ხაზინის განკარგვა არ შეიძლებოდა, ეს მაინც ფორმალობა იყო.

2) ტამპლიერებმა არ იბრძოლეს იერუსალიმის ლათინური სამეფოს დასაბრუნებლად მისი დაცემის შემდეგ, თუმცა ეს მათი მოვალეობა იყო.

3) 1199 წელს ტიბერიადის ეპისკოპოსმა ორდენს დიდი თანხა დაუტოვა შესანახად. ტამპლიერებმა თანხის დაბრუნება არ ისურვეს. ამის გამო სიდონის ეპისკოპოსმა ისინი ეკლესიისგან განკვეთა. ეს, რა თქმა უნდა, უფლებამოსილების გადამეტება იყო, რადგან ორდენი მხოლოდ პაპს ემორჩილებოდა. მართლაც, პაპმა **ინოკენტი III**-მ ანათემა მოხსნა, სიდონის ეპისკოპოსი კი "სიბრიყვისთვის" გადააყენა, მაგრამ სკანდალი სკანდალად დარჩა. თანაც უცნობია, დააბრუნებინეს თუ არა ტამპლიერებს საეკლესიო ოქრო.


გუსტავ დორე - სალადინის მეომრები ჟლეტენ ჯვაროსნებს

4) 1263 წელს პაპმა **ურბან IV**-მ რაღაც უცნობი დანაშაულისთვის ეკლესიიდან განკვეთა ორდენის მაგისტრი **ეტიენ დე სისეი**. მართალია, ანათემა მასაც მოხსნეს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პაპმა მეტად საგულისხმო სიტყვები წარმოთქვა. მან შეუთვალა ტამპლიერებს, ბოროტად აღარ ესარგებლათ ეკლესიის მოთმინებით და იმით, რომ ბევრ რამეზე წმიდა საყდარი თვალს ხუჭავს.

5) ორდენის ისტორიის ბოლო წლებში ბევრმა რაინდმა დატოვა ის. ბევრ სხვასაც უნდოდა გაქცევა, მაგრამ ფიცი და შემდგომი დევნის შიში აჩერებდათ. როგორც ეტყობა, რაღაც მოირღვა ორდენის რკინისებურ დისციპლინაში.

## ტამპლიერთა პროცესის დასაწყისი

საინტერესოა, რომ სასამართლო დევნა ტაძრის რაინდთა წინააღმდეგ მეტად წვრილმანი საბაბით დაიწყო. პირველი მომჩივანებიც მეტად მდაბიო წარმოშობისანი იყვნენ...

1305 წლის დასაწყისში ქალაქ აჟენის ციხის ერთ საკანში აღმოჩნდნენ მონფოკონის პრიორი, ყოფილი ტამპლიერი და ქალაქ ბეზიეს მცხოვრები ვინმე **ესკენ დე ფლუარაკი**. პირველმა მალე სული განუტევა, მაგრამ სიკვდილის წინ თითქოსდა მეორე ტუსაღს გაუმჟღავნა რაინდობისას ჩადენილი საშინელი ცოდვები. თავისთავად, ამბავი საკმაოდ სარწმუნოა, რადგან ტუსაღებს იმხანად საეკლესიო აღსარება ეკრძალებოდათ და ისინი ერთმანეთთან საუბრით იმსუბუქებდნენ სინდისს. ესკენ დე ფლუარაკმა იმწამსვე ყვირილი ატეხა და გათავისუფლება მოითხოვა, რადგან, როგორც ამბობდა, მას მნიშვნელოვანი სახელმწიფო საიდუმლოება გაანდეს. ასე თუ ისე, ფლუარაკის ინფორმაციამ საფრანგეთის მეფის, **ფილიპე მშვენიერის** ყურამდე მიაღწია. შემდგომშიც სწორედ ამ საეჭვო დაბეზღებაზე იქნება აგებული სასამართლოს მთელი სტრატეგია.

ძნელი სათქმელია, განრისხდა თუ არა მეფე მაშინვე. ყოველ შემთხვევაში, ორი წლის განმავლობაში ტამპლიერებს თითქმის არაფერი დასტყობია. ფილიპე მხოლოდ ინფორმაციას აგროვებდა, რაც ძალიან ძნელი არ ყოფილა, რადგან იმ დროს უკვე მრავლად იყვნენ ორდენიდან გამოქცეული რაინდები, რომლებიც სიამოვნებით აბეზღებდნენ თავიანთ ყოფილ თანამოძმეებს. მეფეც არ დაეძებდა ინფორმაციის სანდოობას, რადგან მის წინაშე ერთადერთი მიზანი იყო: შთაბეჭდილება მოეხდინა პაპზე. ამ მიზნის მისაღწევად კი რაც უფრო დაუჯერებელი და საშინელი იყო ჭორი, მით უფრო ეფექტურად მოქმედებდა. ბოლოს და ბოლოს ეკლესიის წინამძღოლადაც ისეთი პიროვნება აირჩიეს, რომელიც სრულიად მორჩილი იქნებოდა საფრანგეთის მეფის ნებისა. ერთადერთი, რაც ეკლესიას შეეძლო, დროის გაწელვა იყო, მაგრამ ჯერ არც მეფეს ეტყობოდა დიდი მოუთმენლობა.

1305 წლის ნოემბერში პაპად აირჩიეს ფრანგი **ბერტრან დე გო**, რომელმაც **კლიმენტ V**-ის სახელი მიიღო და ავინიონში დამკვიდრდა. პაპად კურთხევას ლიონში მეფე ფილიპეც ესწრებოდა. არავინ იცის, პაპისა და მეფის საუბრის შინაარსი, მაგრამ შესაძლებელია, რომ სწორედ მაშინ გადაწყდა ტამპლიერთა ორდენის ბედიც. მეფემ ორდენის წინააღმდეგ ოფიციალური გამოძიება დანიშნა. მაგისტრი კი მაშინ **ჟაკ დე მოლე** იყო.


ფილიპე მშვენიერი

## ჟაკ დე მოლეს პიროვნება

სამწუხაროდ, ამ კაცის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. შემორჩენილიდან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი თავის თანამდებობას და, განსაკუთრებით, ისტორიულ როლს არ შეესაბამებოდა. ისტორიკოსებს აინტერესებთ, რატომ აირჩიეს ასეთ მნიშვნელოვან პოსტზე ასეთი უუნარო ადამიანი. ეს არჩევა კი 1295 წელს მოხდა.

ახალი რაინდებისაგან განსხვავებით ჟაკ დე მოლეს პალესტინაში უცხოვრია, მაგრამ არავინ იცის, მონაწილეობდა თუ არა ბრძოლებში. თავის მთავარ დანიშნულებად ახალი მაგისტრი ორდენის ევროპაში დაბრუნებას მიიჩნევდა. იქნებ თავისი ეთნიკური წარმოშობის გამო აირჩია მან მთავარი რეზიდენციის სამყოფელად საფრანგეთი და არა პორტუგალია ან იტალია? — ესეც არავი იცის.

მაგისტრი 64 წლის ასაკში დააპატიმრეს და საკვირველია, რომ სასამართლო დოკუმენტებში ის ყოველთვის ფიგურირებს როგორც საბრალო უმეცარი რაინდი. რა თქმა უნდა, განათლება იმხანად დიდი იშვიათობა იყო, მაგრამ ეჭვს იწვევს, რატომ აირჩიეს ასეთი დიდი ორდენის წინამძღოლად წერა-კითხვის უცოდინარი კაცი?

## შემდგომი მოვლენები

1307 წლის გაზაფხულამდე საქმე არ დაძრულა. სანამ კლიმენტ V და ფილიპე მშვენიერი ერთმანეთს პუატიეში არ შეხვდნენ. მეფემ ყველაფერი გადმოულაგა ეკლესიის მწყემსთმთავარს, რაც კი ტამპლიერების შესახებ გაიგო. პაპი იმდენად შეძრწუნდა, რომ საკუთარი, საკლესიო გამოძიების დაწყება ბრძანა. საქმეები მაშინ ნელა და დინჯად ირჩეოდა. 1307 წლის 24 აგვისტოს პაპი სწერდა მეფეს: "თქვენ არ დაგვიწყებიათ, რომ პუატიეში მრავალჯერ ვისაუბრეთ ტამპლიერებზე. ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რაც კი ამის თაობაზე ითქვა, იმდენად შეუძლებლად მიგვაჩნია ეს ყველაფერი. მაგრამ ეჭვი გვაიძულებს, დავიწყოთ გამოძიება, თუმცა კი გული გვეთანაღრება".

ეს წერილი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გვიჩვენებს, რომ პაპი რამდენიმე თვის განმავლობაში ყოყმანობდა. ჟაკ დე მოლე ამასობაში თვითონაც ითხოვს გამოძიების დანიშვნას, რადგან პაპის ყოყმანით გულმოცემულს ჰგონია, რომ ასე გაიმართლებს თავს. მაგისტრის ერთადერთი ხერხი მდგომარეობის დაბალანსება და დროის მოგებისკენ სწრაფვა იყო. ამ ხერხმა არ გაჭრა.

ბუნებრივია, რომ 1307 წლის აგვისტოდან ტამპლიერებს უკვე ეჭვი აღარ ჰქონდათ, რომ ორმხრივი გამოძიების ქვეშ იმყოფებოდნენ. ამიტომაც თავდაცვითი ზომები მიიღეს.

თავის ჩვენებებში რაინდი **ჟერო დე კოსი** ადასტურებს, რომ აგვისტოში ორდენის მაგისტრმა გასცა ბრძანება, ამოეღოთ და გაენადგურებინათ წესდების ის ეგზემპლარები, რომლებიც რიგით რაინდებთან ინახებოდა. ამ ბრძანებას ყველა არ ემორჩილება, რის წყალობითაც წესდების ტექსტი ჩვენამდე აღწევს. მაგრამ იგივე ბრძანება ხსნის იმ გარემოებას, რომ ვერასოდეს ვერავინ იპოვა ტამპლიერთა მთავარი არქივი. მაგრამ არსებობდა კი ეს მთავარი არქივი?

თავდაცვის წინასწარი ზომებითვე აიხსნება ისიც, რომ დღემდე ვერ უპოვიათ ტამპლიერთა ხაზინა. დაპატიმრების შემდეგ აღმოჩენილი სიმდიდრე ვერ ჩაითვლება ორდენის სრულ ქონებად. მაგალითად, ნორმანდიაში ორდენი ძალიან დიდ და მდიდარ ტერიტორიებს ფლობდა. საყოველთაო კონფისკაციის შედეგად ბაიეს კარ-მიდამოში ამოიღეს 33 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი, 100 სული ცხვარი, ამდენივე ღორი, 28 ცხენი. ამ მეურნეობაში 24 კაცი იყო დასაქმებული, მაგრამ ეკლესიაში მხოლოდ ერთი ბარძიმი იპოვეს, ისიც იაფი და უხარისხო. და, რაც მთავარია, ვერ იპოვეს ფული. მეფის მოხელეებმა ასევე ჩაწერეს ოქმში: "ერთი გროშიც კი არსად იყო". მარანში ღვინის კასრებიც ცარიელი დახვდათ.

ერთი მხრივ, ტამპლიერები მზად იყვნენ უსიამოვნებისთვის, მაგრამ არ ეგონათ, რომ ყველაფერი ასე სწრაფად დაიწყებოდა და ასე სასტიკად დასრულდებოდა. იმედი ჰქონდათ, რომ პაპის მშვიდობისმოყვარე ხასიათის წყალობით ყველაფერი მალე ჩაიფარცხებოდა. როგორც ეტყობა, ცუდად იცნობდნენ საფრანგეთის მეფეს.

ბევრი მათგანი, მაგალითად, **ჟან დე ვობელანი**, სამი დღით ადრე გააფრთხილეს, რომ დააპატიმრებდნენ. ის სუასონის პროვინციის სერჟანტი იყო და, ბუნებრივია, ერთადერთი არ იქნებოდა გაფრთხილებულთა შორის. მაგრამ ცოტა ვინმე თუ ცდილობდა მიმალვას. ვინ იცის, იქნებ სიმდიდრით გაზულუქებულებს ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად.

ასეა თუ ისე, პაპის ყოყმანი უკვე აუტანელი იყო და 1307 წლის 14 სექტემბერს საფრანგეთის სამეფო საბჭოზე დადგინდა ტამპლიერების დაპატიმრება. მეფემ მაშინვე გასცა თავისი საიდუმლო ინსტრუქციები. მაგრამ თვით ოპერაცია მხოლოდ 13 ოქტომბერს ჩატარდა. ამ ერთი თვის განმავლობაში ორივე მხარეს ჰქონდა მოსამზადებელი დრო.

და მაინც: მიუხედავად XIV საუკუნისთვის შესაფერი კომუნიკაციების დონისა, პოლიციური ოპერაცია ზედმიწევნით კარგად ჩატარდა. პარასკევს, 13 ოქტომბერს სულ ერთ დღეში საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე მყოფი ყველა ტამპლიერი დააპატიმრეს. არავის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

# ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის "საბას" ნომინანტები

### წლის საუკეთესო პროზაული კრებული

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| ლაშა ბუღაძე | მესამე სართული | "არეტე" |
| ლაშა იმედაშვილი | ბიოგრაფიები | "ლომისი" |
| ირაკლი ლომოური | ექსლიბრისი | "მერანი" |
| აკა მორჩილაძე | წიგნი | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| ირაკლი სამსონაძე | გარეუბანი | "სანი" |
| დავით ქართველიშვილი | დღიურები მირანდასათვის | "მერანი" |
| გოდერძი ჩოხელი | მოთხრობები | "მარსი" |
| გიორგი ცოცანიძე | ნაწერი ხანჯრის წვერითა | "თეთრი გიორგი" |

### წლის საუკეთესო რომანი

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| ჭაბუა ამირეჯიბი | გიორგი ბრწყინვალე | "ბაკმი" |
| ზაზა ბურჭულაძე | მინერალური ჯაზი | "ლოგოს პრესი/მერანი" |
| გურამ დოჩანაშვილი | ლოდი ნასაყდრალი | "მარსი" |
| აკა მორჩილაძე | ძირს სიმინდის რესპუბლიკა | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| ზურაბ ქარუმიძე | თხა და გიგო | "მედიატორი" |
| ოთარ ჭილაძე | გოდორი | "რუსთავი 2 პრინტი" |

### წლის საუკეთესო პოეტური კრებული

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| შალვა ბაკურაძე | წერილი ნინოს | "მერანი" |
| ელა გოჩიაშვილი | პარასკევი ჩემი დღეა | "მერანი" |
| ბათუ დანელია | მთვარის დღესასწაული | "მერანი" |
| ზაზა თვარაძე | ტან-ცზი სიცივეში | "კავკასიური სახლი" |
| თემურ ჩხეტიანი | ბუდე | "მერანი" |
| ოთარ ჭილაძე | კიბე | სანი |
| ბესიკ ხარანაული | წიგნი ამბა ბესარიონისა | "არეტე" |

### წლის საუკეთესო დებიუტი

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა | ჟანრი |
|---|---|---|---|
| გიო მგელაძე | გაიღიმე, ჩიტი გამოფრინდება | "A.M.I." | პიესა |
| ანი მოსულიშვილი | კიპლინგის "სწორედ ასეთი მოთხრობები" | "დიოგენე" | თარგმანი |
| თამარ ფხაკაძე | სანამ დაგვიძახებენ | "დიოგენე" | პროზა |
| ნიკა ჯორჯანელი | განცდა ხავერდისაგან | "დიოგენე" | პოეზია |

### წლის საუკეთესო თარგმანი

| სახელწოდება | მთარგმნელი | გამომცემლობა |
|---|---|---|
| გერმანულენოვანი პროზა და პოეზია, ალმანახი "აფრა" | ნაირა გელაშვილი | "კავკასიური სახლი" |
| ალბერ კამიუ გადასახლება და სამეფო | გიორგი ეკიზაშვილი | "სანი" |
| უილიამ შექსპირი ვენერა და ადონისი | მედეა ზაალიშვილი | "ლიტერა" |
| ტომაზო ლანდოლფი ხელები | ნოდარ ლადარია | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| ჯიბრან ხალილ ჯიბრანი იესო ძე კაცისა | გიორგი ლობჟანიძე | "დიოგენე" |
| აზერბაიჯანული ეპოსი ქოროღლი | ზეზვა მედულაშვილი | "კავკასიური სახლი" |
| ტუვე იანსონი "ჯადოქრის ქუდი", "უჩინარი ბავშვი" | ბაკურ სულაკაური | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| პინდაროსი ოდები | ნანა ტონია | "ლოგოსი" |
| კატულუსი 33 ლექსი | მანანა ღარიბაშვილი | "ლოგოსი" |

### წლის საუკეთესო პიესა

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| ლაშა ბუღაძე | ნუგზარი და მეფისტოფელი | "ახალი ქართული პიესები" (საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი) |
| მანანა დოიაშვილი | თამაში რემარკის გარეშე | კრებული "კვალი-პროზა, დრამატურგია" (გამომც. "მარსი") |
| მამუკა დოლიძე | თამაშგარეთ დარჩენილ თეატრში | კრებული "კვალი-პროზა, დრამატურგია" (გამომც. "მარსი") |

### წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა და ესსე

| ავტორი | წიგნი/გაზეთი |
|---|---|
| ივანე ამირხანაშვილი | "ტკივილის დიალექტიკა" "საგურამო" |
| თეიმურაზ დოიაშვილი | "დაბრუნება" "მერანი" |
| ელგუჯა თავბერიძე | გაზ. "ჩვენი მწერლობა" |
| ნუგზარ მუზაშვილი | გაზ. "ჩვენი მწერლობა" |
| ნანა ტონია, ქეთი ნადარეიშვილი | "პენელოპე" "ლოგოსი" |
| მერაბ ღაღანიძე | გაზ. "ჩვენი მწერლობა" |
| მალხაზ ხარბედია | გაზ. "24 საათი"; ჟურნ. "არილი" |




## სკანვორდი



## TV პროგრამა

13 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "მისია". მთ. რ-ში: რობერტ დე ნირო, ჯერემი აირონსი

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "ეირ ამერიკა" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **14.40** ახალი სეზონი ხელოვნების მუშაკთა სახლში **15.15** მხ. ფილმი "ჩემი ამერიკელი ბიძა" 3-4ს. **16.45** ოქროს მართვე **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ენერგია **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.10** მათი შვილები **23.30** მხ. ფილმი "პიანისტი"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** ფილმი "28 დღე". მთ. რ-ში სანდრა ბალოკი, ვიგო მორტენსენი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ალყა" მთ.რ-ში ტენდი ნიუტონი, დევიდ ტიულისი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "ფანტომები" (პიტერ ოტული) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "კაზინო" (დე ნირო)

### მეორე არხი

**19.00** მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.30** კინოსეანსი "გალია ბოცვრებისათვის" **21.00** და არს მუსიკა **21.25** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმი "თიხის ძაღლის საიდუმლოება"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "დაქირავებული მკვლელები" **14.00** მხ. ფილმი "მუმია 2" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ჯუმანჯი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "თომას კრაუნის აფიორა" **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია ფ" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.20** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შტოკინგერი" **15.15** მხ. ფილმი "თეთრი ქვიშა" **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "თენდება გვიან" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "ერთად სიკვდილი" (პ. ანდერსონი)

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** სათავგადასავლო ფილმი "მალაზიელი მეკობრეები" **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.20, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** თრილერი "სიკვდილის სადარაჯოზე" **13.50, 15.45, 19.50, 21.40, 23.35** მუსიკა **14.10** მხ. ფილმი "ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება" **16.20** მულტფილმი "მეტროპოლისი" **18.20** კომედია "გურუ" **20.10** თრილერი "საყიდლები გვიან ღამით" **23.00** "ჩვენი საუნჯე" (ავტორი თ.მიქაძე) **23.15** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მელოდრამა "დედინაცვალი" **03.00, 05.40** მუსიკა **03.30** მხ. ფილმი "სადგური ორისათვის"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 19.50 Сериал "Клон" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.20 Игрь Бочкин в боевике "Репортаж" 15.00** Город женщин **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** Просто смех! **20.50** "Стирка на миллион" **21.00 Сериал "Евлампия Романова: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30** Время **23.40** Спецназ. "Не верь горному эху" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** "Звезды эфира". "Кабачок "13 стульев" **01.40** "Цирковые династии". Дуровы **02.10** "Большой взрыв" **02.40 Худ.фильм "Дураков нет" 04.30 Сериал "Мертвая зона"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал "Пятый ангел" 11.00** Сегодня утром **11.25** Кулинарный поединок: А.Самойленко - А.Емков **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Двое и одна" 15.15** Время есть **15.35** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Дальнобойщики". "Побег" 19.35** Протокол **20.40 Сериал "МУР есть МУР". 3 с. 21.45 Сериал "Пятый ангел". 7 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.45 Сериал "Детектив Раш". 3 с. 00.50 Сериал "МУР есть МУР"**

# მამაკაცები - ცრემლის და დეპრესიის მიზეზი



მამუკა ქირია

სხვადასხვა ქვეყნის ყველაზე საიმედო და მასობრივი გამოკვლევები მიუთითებენ, რომ მსოფლიოში ზრდასრული ადამიანების 6-7 პროცენტი დეპრესიას განიცდის. აქედან, ქალები 3-ჯერ მეტია, ვიდრე მამაკაცები. ახალგაზრდა მამაკაცებში და ქალებში, რომელთა ასაკი 28-ს არ აღემატება, ეს თანაფარდობა ერთნაირია, დაახლოებით, 50/50-ზე.

გათხოვილ ქალებში, ასაკთან ერთად მატულობს დეპრესიულთა რიცხვი, ხოლო გაუთხოვრებში ასაკთან ერთად ეს ფსიქიკური დარღვევები არ მატულობს. უცოლო მამაკაცებში ეს ფაქტი პირიქით არის, ისინი დეპრესიაში ვარდებიან მანამ, სანამ ცოლს შეირთავენ და დროთა განმავლობაში ფსიქიკური ჯანმრთელობაც ურთულდებათ. აღსანიშნავია, რომ ცოლიან მამაკაცებში დეპრესიულთა რაოდენობა იგივე დონეზე რჩება.

ვასკვნით, რომ გაუთხოვარ დეპრესიულ ქალთა რაოდენობა წილობრივად მცირეა, გათხოვილ ქალებთან შედარებით, ხოლო მამაკაცებში პირიქით, უცოლო მამაკაცები უფრო იტანჯებიან დეპრესიით ვიდრე ცოლიანი მამაკაცები. თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტოხელა მამაკაცები უფრო ცოტანი არიან, ვიდრე მარტოხელა ქალები და იმასაც, რომ მამაკაცები, დაახლოებით, 9-10 წლით ცოტას ცხოვრობენ, ვიდრე ქალები, ადვილი მისახვედრია, რომ წილობრივად დეპრესიული ადამიანებში გათხოვილი ქალები სჭარბობენ. აშკარად ჩანს, რომ ქალებისთვის გათხოვება სიცოცხლის ხანგძლივობას ამცირებს და მამაკაცებში- კი ზრდის.

ისმის კითხვა, რატომ არის გათხოვილ ქალებში დეპრესიულობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი და რა არის ამის მიზეზი?

დღეს ფსიქოლოგები დაბეჯითებით თვლიან, რომ მამაკაცები თავის მხრივ, ცუდი პარტნიორები არიან ქალებისთვის და ოჯახური ჰარმონიისთვის; ყველაზე ნამდვილად ვერ ითქმის, მაგრამ უმეტესი შემთხვევა და კონფლიქტი სპეციალისტების აზრით მამაკაცების ხასიათის და სუსტი სასაუბრო ტაქტიკით თუ აიხსნება. მამაკაცების სასაუბრო ლექსიკა 3-ჯერ მცირეა, ვიდრე ქალების და კიდევ ის, რომ ემოციების გამომხატველი სიტყვები ქალებთან შედარებით 6-ჯერ მცირეა. ამას ემატება ისიც, რომ მამაკაცების გარკვეული ნაწილი ფიზიკურ და მორალურ ზემოქმედებას არ ერიდება. ეს ყველაფერი გათხოვილი ქალებისთვის ცრემლის და დეპრესიის არც ისე მცირე მიზეზია. დაბოლოს, მთავარი სულიერი დარტყმა გათხოვილი ქალებისთვის არის ის, რომ მამაკაცების უმეტესობა ღალატით არის დაკავებული. თუ 20 წლის წინ გამოკითხულთა 65 პროცენტი ღალატობდა ცოლს, ახლა ეს 76 პროცენტამდე გაიზარდა. ამ და სხვა მიზეზით ქმარს გაყრილი ქალებიდან მეორეჯერ მხოლოდ 26 პროცენტი თხოვდება, იმის შიშით, რომ იგივე არ განმეორდეს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სახლში ქალები გაცილებით მეტ დროს ატარებენ ვიდრე მამაკაცები და შესაბამისად საკმაოდ მძიმე შრომით არიან დაკავებული, სულაც არ არის გამორიცხული, რომ უმეტესობა მარტოობის სინდრომით იყოს შეპყრობილი. საბოლოოდ მივიღეთ ის სურათი, რაზეც დასაწყისში გავუსვით ხაზი - ქალები უფრო დეპრესიულები არიან, ვიდრე მამაკაცები.




საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოგიდგენთ

*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*

## "ყვითელი ანგელოზი"

*19, 26 აპრილი*
*"თავისუფალი თეატრი"*
*დასაწყისი 19.00 საათზე*
*ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21*



განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

### ს.ს კორპორაცია "ქინძმარაულის" აქციონერთა საყურადღებოდ

2004 წლის 14 მაისს დღის 2 საათზე ქ. ყვარელში კორპორაციის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება აქციონერთა საერთო კრება.

**განსახილველი საკითხებია:**
1. 200 წლის საფინანსო-სამეურნეო ანგარიში;
2. ცვლილებები წესდებაში
3. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში

*ადმინისტრაცია*

## ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები

ვიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის სახელდება ხანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

მაგისტრატურა £3950
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციების ტექნოლოგიაში
1 წლიანი პროგრამა

ბაკალავრიატი £6950
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში
2 წლიანი პროგრამა

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის ბაკალავრიატის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები
თბილისი, მეხუთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი
ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84: მობილური: 893-35-20-67
ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან ერთი სტუდენტი მიიღებს დახმარებას სკოლიდან 1000£

შესაძლებელია ინგლისური კურსების გავლა

## ლონდონში

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.